



დავით ბერიაშვილი

შენიღბული საზოგადოება

თბილისი  
2011

რედაქტორი: ნინო მაღალაშვილი  
დიზაინერი: ხათუნა ბერიაშვილი  
ISBN 978-9941-0-3593-7

## პროლოგი

ცუდია, როცა რაღაცას შექმნი და ვინმეს არ მოეწონება, მაგრამ უაღრესად მძიმეა, როდესაც ავტორი წინასწარ დარწმუნებულია, რომ მისი ნაწერი ბევრს სიმულვილის გრძნობით აღავსებს.

ვიცი, ეს გამოცემა, ისევე როგორც მისი წინამორბედი არ არის ვინმეს ან ვიღაცის საამებლად დაბეჭდილი. იმისთვისაც მზადა ვარ, რომ ჩვენი დროის ვინმე მედროვემ გიჟი და გადარეული მიწოდოს, თუ ეს წიგნი სწორედ იმ მახინჯი სულის მქონე ადრესატამდე მივიდა, ვისზეც აქ მაქვს საუბარი და ვისაც ჩვენი ქვეყნის ხორცმეტად მოვიხსენიებ.

მე არც ქვების სროლა და ფურთხება მიკვირს გამწარებული მედროვეებისაგან და სიმართლე გითხრათ, ამას შეგუებულიც ვარ.

გამოდის, რომ არც მაშინებს და არც მიხარია ამ წიგნის გამოცემა. რაღა დაგიმალოთ და ნამდვილად ეგრეა. შიშზე უკვე მოგახსენეთ, სიხარულს რაც შეეხება, რა უნდა მოხდეს, იქნებ რომელიღაც მკითხველს ძალიან მოეწონოს და ამან გამახაროს?

მე ის უფრო გამეხარდებოდა, ამ წიგნის გამოცემა საჭირო რომ არ ყოფილიყო. და თუ ეს თემა, რაზეც ქვემოთ მექნება საუბარი აქტუალურია, მაშინ სასიხარულოდ არც ავტორს და არც მთელ საზოგადოებას არა ჰქონია საქმე.

ერს რომ მძიმე სწეულება ტანჯავს, ეს არ გახლავთ ისე უბრალოდ სხვა ქვეყნიდან ქარის მიერ მოტანილი ავადმყოფობა, რომელსაც ისევ ქარი წაიღებს და ჯანსაღ ცხოვრებას დააბრუნებს.

ამ შემთხვევაში ასე მარტივად არ დგას საქმე, რადგან ჩვენი სწეულება თავად ჩვენგანვე ჩაისახა, აღმოცენდა და განვითარდა.

თავისთავად ცხადია, იყო გარეშე ძალების ჩარევაც, მაგრამ უმთავრესი კერა, მაინც ჩვენივე თანამემამულეთა მიერ ხელთქმნილია და მკურნალობაც ჩვენივე ძალებით უნდა მოვახერხოთ.

დღეს მეძავი პატოსნებაზე მიდებს თავს, ქვეყნის გამყიდველი პატრიოტიზმს მასწავლის, ავაზაკი ეკლესიის მადლზე მელაპარაკება, ხარბი და გაუმადლარი სხვას ლუკმას უთვლის, უზნეო ზნეობას ძალიან ხშირად ახსენებს, უვიცი მცოდნეზე წინ მიძვრება და მხდალს სხვისი ვაჟკაცობა არ აკმაყოფილებს.

ახლა ვიღაცეები მეტყვიან, რაც შენ ჩამოთვალე, მთელი სამყაროს პრობლემად ქცეულა და მარტო ქართველი საზოგადოება არაფერ შუაშიაო.

ჯერ ერთი, მე რაც მტკივა, იმაზე ვსაუბრობ, სხვა ერებმა კი თავისი ქვეყნის ტკივილს მიხედონ. და მეორეც, იმ პრობლემებს, რაზეც აქ საუბარი გვექნება, დამიჯერეთ, სხვა ვერცერთ ნორმალურად განვითარებულ ქვეყანაში ვერ წააწყდებით.

ასე რომ, თავის დამშვიდების, ფეხის ფეხზე გადადებისა და სიამოვნებისგან თვალების მინახვის დრო ჯერ არ დამდგარა.

ახლა ისეთ მდგომარეობაში ვართ, კაცი რომ ჭაობში ჩადგამს ფეხს და უკან ველარ გამოდის, წვალობს, ფართხალებს, მაგრამ ამყაყებულნი წყალი და ტალახი, მაინც დაბლა, ფსკერისკენ მიაქანებს, სადაც საზარელი სიკვდილი და სამუდამოდ გაქრობა ელოდება.

ასეა ზოგიერთი ჩვენებურის საქმეც.

ისღა დაგვრჩენია, მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბოთ, ჩავავლოთ ხელი და ამოვათრიოთ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი ამ მყრალი ჭაობიდან.

თუ ვინმე გაგვიძალიანდება და იტყვის, - მე თქვენი გადასარჩენი და ჭაობიდან ამოსათრევი არაფერი მჭირსო, მაშინ ზებუნებრივ ძალებს მივანდოთ მისი გონზე მოყვანა და ამოთრევა.

და თუ დადებითი შედეგი არც ამჯერად მივიღეთ, სხვა რა გზაა, უნდა შევეგუოთ, რომ დანაკარგი არის, მაგრამ ეს ის დანაკარგია, როცა სხეულს ხორცმეტი მოაკლდა, მიწას კი ერთი ნაძირალით ნაკლები ამძიმებს.

## I

### იქ, სადაც ახსოვთ შვეიცარია

დღეს პოლიტიკურ დისკუსიებში ჩართვა საკმაოდ მიღებული ფორმაა: -დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მწიგნობარი თუ უვიცი ყველა ბობოქრობს, ყველა წუხს, ყველა ჭირვეულობს. რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ჭკუა სწორედ მას მოეკითხება და სადაც თავად დგას, სიმართლედ სწორედ იქ არის. არადა, მოგეხსენებათ, სიმართლე ისეთი რამაა, რომ მას ერთ ადგილზე ორჯერ და მითუმეტეს სამჯერ ვერ

აღმოაჩენ, - ვერ აღმოაჩენ იმიტომ, რომ მოდავე პიროვნებებს შორის სიმართლე, ისევე როგორც სამშობლო - მხოლოდ ერთია.

და ვინ ამბობს სიმართლეს? ალბათ ლოგიკურია ასეთი სახის შეკითხვის დასმა და პასუხიც ვიცი, რომ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, უკვე მრავალჯერ გაგონილი და გადამღერებული იქნება, სიმართლე იქ არის, სადაც ხალხია, რადგან ხალხი ბრძენია – ხალხი ძალაა და ყოველთვის სიმართლეს სწორედ იქ არისო.

და თქვენ გჯერათ ამის? მე პირადად, არ მჯერა, იმიტომ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, მთელ რიგ შემთხვევებში ხალხის უდიდესი ნაწილის თანადგომა სულაც არ არის ქვეყნის განმსაზღვრელი. სხვა საკითხია, როგორ დგას ამ მხრივ საქმე სხვა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ საქართველოში, ამ პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში საზოგადოების უმეტესი ნაწილის მიერ ცნება – სიმართლე, რომ შეუარაცხყოფილი და სანთლით საძებარია, ამას ყველა სადად მოაზროვნე ადამიანი უნდა ამჩნევდეს.

დაინგრა საბჭოთა კავშირი, დავიწყეთ ახალი ქვეყნის შენება, მაგრამ გვავიწყდება ერთი რამ, - კერძოდ, ვინ უნდა ააშენოს ეს ახალი, თანამედროვე სტანდარტების ქვეყანა?

რა თქმა უნდა ხალხმა, მთელმა ქართველმა საზოგადოებამ, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა დადოს ერთი აგური ძლიერი და განვითარებული საქართველოს აღმშენებლობის საქმეში, - იტყვის მავანი.

კი, ორი აზრი არ არსებობს, მეც მანდა ვდგავარ, სწორედ ჩვენი საზოგადოების ასაშენებელია ეს ქვეყანა, მაგრამ მოდით, ვიყოთ უფრო კონკრეტულები, - მაინც რომელ საზოგადოებასა და ხალხს ვგულისხმობთ?

დღევანდელი ჩვენი საქართველოს დიდი ნაწილი ხომ სწორედ იმ დეგრადირებული და დეფორმირებული საზოგადოებისგან შედგება, რომელიც ერთი შეხედვით ფიზიკურად კი გამოვიდა საბჭოთა წყობიდან, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მენტალურად ისევ უძრაობის ხანაშია ჩარჩენილი და კვლავ სადათას ძილს მისცემია.

რამდენჯერაც დავიჩივლე და გულდაწყვეტილმა ბალტიისპირეთის მაგალითი მოვიყვანე იმის დასტურად, თუ ნახეთ, რა შესძლებიათ მენტალურად მტკიცე და ურყევე ერებს – მეთქი, იმდენჯერ უამრავი ოპონენტი გამომიჩნდა, თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, სიტყვა – ოპონენტი – ნამეტანი ხმამაღალი ნათქვამია. ეს უფრო ის კატეგორიაა, რომელმაც რაღაცა მხოლოდ იმიტომ უნდა თქვას, რომ მერე ვინმემ უვიცობა არ დასწამოს. არადა, ესენი იმასაც ვერ ხვდებიან, რომ შეიძლება ადამიანი რაიმეს წამოროშვით უფრო უვიცი გამოჩნდეს, ვიდრე ჩუმად ყოფნით.

დიახ, ჩემი აზრით, უვიცობაა დღეს იმის მტკიცება, რომ ჩვენ თურმე ბალტიისპირელებს არ უნდა შევედაროთ, რადგან ის ევროპაა, იქ სხვა ხალხია, იქ სხვა სიტუაციაა, იქ სხვა მენტალობისა და ზნეობის ადამიანები ცხოვრობენ და ასეთები...

მამ, თურმე ბალტიისპირელებს არ უნდა შევედაროთ, იმ მიზეზით, რომ ისინი თანამედროვე ევროპელები ყოფილან. მაინტერესებს, აბა ვის შევედაროთ? მსოფლიოს მესამე და მეოთხე ხარისხოვან ქვეყნებს, რომლებიც საკუთარი ხალხის ზნეობრივ-კულტურული განვითარებითა და დემოკრატიის ხარისხით ჯერ კიდევ შუა

საუკუნეებში რომ არიან ჩარჩენილნი?

ერი სწორედ მაშინ იხრწნება და გადაგვარების უფსკრულისკენ იწყებს დაშვებას, როცა წინასწარ კაპიტულაციას აცხადებს და განვითარებაზე, თუნდაც სხვა ერებიდან საუკეთესოს გადმოღებაზე შეგნებულად ამბობს უარს.

თუ სხვას, ამ შემთხვევაში საუკეთესოს არ შევედარეთ და მისგან კარგი არ გადმოვიღეთ, სხვაგვარად ერთი ადგილის ტკეპნა და ამყაყებულ ჭაობში ყოფნა მოგვიწევს. ეს მყრალი ჭაობი კი კომუნისტური ეპოქისა და წინა საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოს სახით უკვე გამოვლილი გვაქვს და ნამდვილად აღარ მინდა ჩემმა ქვეყანამ, ზოგიერთი ტვინგახრწნილი ჩვენი თანამემამულის გამოისობით, ისევ იმ ამყრალეულ წარსულში მოადინოს ზღართანი.

რომ ჰკითხოთ, ყველა აღფრთოვანებულია შვეიცარიისა და მთლიანად დასავლეთ ევროპული ქვეყნების ცხოვრების დონით. განსაკუთრებით შვეიცარია კი ყველას ხიბლავს, რადგან იქ თურმე ხალხი კარგად ცხოვრობს, იქ კეთილ ღიმილს არავინ დაგამადლის, იქ ყველა ვინმეზე ან რამეზე შეყვარებულია, იქ ყველას უხარია ცხოვრება, იქ მათხოვრები თითქმის არ არიან, იქ გაჭირვებულები არ არიან, იქ კანონის წინაშე ყველა თანასწორია, იქ ისეთი სიმშვიდეა, რომ პოლიციას, თურმე ფაქტიურად საქმე არა აქვს, იქ ბოროტება არ არის, იქ კიდევ ბევრი რამე არ არის და ამასთან ერთად, ბევრი რამეც არის. მოკლედ, კარგია შვეიცარია, სიცოცხლეა შვეიცარია და რომ იტყვიან, მიწიერი სამოთხეა ეს პატარა ქვეყანაო.

ძალიან ბევრი მეუბნება ამას და ცრემლმომდგარი თვალებით გაბრწყინებულნი საქართველოს ახსენებენ და თან კითხულობენ, საქართველო როდისდა მივა შვეიცარიამდეო?

როდის? როდის? როდის?

არის კითხვები, არის ვარაუდები და არის მარჩიელობაც.

ჩემი პასუხი კი ასეთია, - არ ვიცი!

ნამდვილად არ ვიცი, რადგან, მე წინასწარმეტყველი არ ვარ, არც რაიმე სახის გამოცხადება მქონია და არც სიზმარში მინახავს საქართველოს მომავალი, მაგრამ...  
... მე მინახავს ძალიან ცუდი რამ. მაგალითად, იმ ადამიანს, ვინც ღიმილნარევ, უბოროტო, კანონმორჩილ, სიყვარულით გაჯერებულ და მშვიდი ცხოვრებისგან ფაქტიურად უფუნქციო პოლიციელებით განთქმულ შვეიცარიაზე ლაპარაკით ტვინს მიბურღავდა, თბილისის ერთ-ერთ მაღაზიაში ჩუმად როგორ აუწყანია გამყიდველისთვის კარგი, ბარაქიანი ხორცის დაფასოებული ნაჭერი. ყოველივე ამის შემდეგ კი ძმაბიჭებთან ერთად ისე გემრიელად მიურთმევია ხორცის ეს მსუყე ნადავლი და ისეთი ამაღელვებელი სადღეგრძელოები უთქვამთ: საქართველოზე, მართალ კაცზე, ცხოვრებაზე, გაგებაზე, თანადგომაზე, მანდილოსნებზე, სიყვარულზე, ადამიანობაზე, მორალზე, მშვიდობაზე, სიწმინდეებზე და საერთოდ, ამქვეყნიური ცხოვრების არსზე, რომ არავის არ გახსენებია, სულ რაღაც რამდენიმე საათის წინ ზარალში გადავარდნილი, გულმოკლული, აცრემლებული და გამარცვული გამყიდველი, რომელსაც, ალბათ სულ ცოტა, სამი დღის

გამომუშავებული თანხის დადება მაინც მოუწევდა მიღებული ზარალის დასაფარავად.

შვეიცარია კი კარგად ახსოვთ ბიჭებს - უბოროტო, მუდამ მომლიმარი და რაც მთავარია, სამართლიანი შვეიცარია.

ამ მოძალადე ელემენტებმა არ იციან, ჩვენი საქართველო როდის გახდება შვეიცარიის დონის წარმატებული ქვეყანა. კიდევ ბევრი რამე არ იციან და ბევრი რამის აღიარება უჭირს ამ კატეგორიას, რადგან მათ წარმოდგენა არა აქვთ, რომ თუ დღეს საქართველო არ არის იდეალური ქვეყანა, სწორედ მათი და მათი მსგავსი ხორცმეტების ლომის წილი ურევია ამ საქმეში, ვინაიდან თითოეული ჩვენგანის მიერ გამოვლენილი უსამართლობით სამართლიანი ქვეყანა ვერ აშენდება.

ესენი არ არიან უსამართლობის მსხვერპლნი, ესენი უსამართლობის უმთავრესი შემოქმედნი არიან.

ამის შემდეგ, როგორ არ გაგახსენდება კაცს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები, უსამართლობის უმაღლესი მწვერვალი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიიდან.

თქვენ გგონიათ, მაშინ ყველა ტიროდა? ყველას სციოდა? ყველას სტკიოდა?

ყველას შიოდა და ყველა უსამართლობის მსხვერპლი იყო?

არაფერი მსგავსი. დასავლეთ ევროპა, შვეიცარია, კარგი გემოვნება, სურვილები და დეგრადირებული საზოგადოების მიერ ჩადენილი უსამართლობები მაშინაც იყო. უბრალოდ, განსხვავება ის არის, რომ მაშინ ძარცვა-გლეჯვა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახლდათ, რასაც ქვეყანაში შექმნილი სრული განუკითხაობა, ისედაც მენტალიტეტგადაგვარებულ საზოგადოებას საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა საკუთარი შავბნელი ზრახვების განსახორციელებლად.

თორემ, როგორც მოგახსენეთ, შვეიცარია მაშინაც შვეიცარია იყო და უსამართლობის უმთავრესი შემოქმედი მაშინაც ის შენიღბული საზოგადოება გახლდათ, რომელიც საბჭოთა წყობამ დამოუკიდებელ საქართველოს ლამისაა მემკვიდრეობით რომ დაუტოვა.

ახლა ისევ იმ ვაჟბატონებს დავუბრუნდეთ, შვეიცარიის სიყვარულს ხორცის მოპარვით, რომ იქარვებენ.

საინტერესო იცით რა არის?

როცა ადამიანი ასეთ ქმედებებს კადრულობს, როგორც წესი, ის ან ამ ცხოვრებისგან წარუმატებლობებით გაბოროტებული, ანდაც უაღრესად გაჭირვებული და ხელმოცარული ადამიანი უნდა იყოს, რომელსაც ულმობელმა და სასტიკმა ცხოვრებამ სხვა არჩევანი არ დაუტოვა, გარდა ძარცვა-ყაჩაღობისა.

მაგრამ ჩემთვის ასმაგად მტკივნეულია ამ ყველაფრის ყურება და გაძლება, როცა ვიცი, რომ იმ ხორციპარია ნაძირალას წარმატებული მშობლების წყალობით ნამდვილად არ უჭირს და ეს უმსგავსო ქმედებაც მისი გახრწნილი სულის ამოძახილი უფროა, ვიდრე თავის გადარჩენისთვის გადადგმული იძულებითი ნაბიჯი.

თუ ადამიანი საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გაუმართლებელ ნაბიჯს დგამს და ძარცვაზე მიდის, მაშინ დამნაშავე საზოგადოება და მთლიანად ქვეყანაა, რადგან პიროვნებას ვერ შეუქმნეს შესაფერისი პირობები შრომისა და ცხოვრებისათვის.

მაგრამ თუ ადამიანი მხოლოდ საკუთარი დამპალი სულის საკვებად და ძმბიჭებში პატარა, მორიგი ისტორიის შესათხზავად სჩადის ამგვარ უზნეობას, ამ შემთხვევაში უკვე საზოგადოება და მთლიანად ქვეყანა მეცოდება, ასეთი ნაძირალების ხელში რომ არის ჩავარდნილი.

და თქვენ გგონიათ, რომ მსგავსი შემთხვევები თითოთოროლაა ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში?

სამწუხაროდ ამდაგვარი სიმახინჯე ბევრია, უბრალოდ, შეიძლება ქვეყნები და უზნეობის არეალი იყოს შეცვლილი. მაგალითად, ზოგს შვეიცარიის ნაცვლად, არ არის გამორიცხული, დანიაზე, საფრანგეთზე, იტალიაზე, ბენილუქსის ქვეყნებზე, ან სულაც ავსტრალიაზე აბოდებდეს. ან შეიძლება, ვინმეს სამწვადის ნაცვლად უფრო მნიშვნელოვან და ძვირადღირებულ ნივთზე წაუცდეს ხელი. თუმცა, მთავარი მაინც ერთია, ამ უზნეობის ბაქტერიებით დაავადებულ მძორთათვის მსოფლიოს ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ლაღი და საამური ცხოვრება ყოფილა.

საქართველო კი მათთვის ჯერჯერობით არც შვეიცარიაა და არც ბენილუქსის რომელიმე გამაძღარი სახელმწიფო.

ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომელმაც გამოიარა კომუნისტების მიერ მოწყობილი უმძიმესი წნეხი, რეპრესიები, ძალადობა, შემდეგ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად სამოქალაქო დაპირისპირება, სისხლისღვრა, ქაოსი, უბედურება...

დღეს კი უკვე სხვა დროა, ცხოვრება წინ მიდის, თაობები მიდიან, თაობები მოდიან, ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა და კიდევ ბევრი რამ შეიცვლება, მაგრამ ეს ოხერი დახავსებული მენტალიტეტი ისევ უცვლელი რჩება.

## II

### ეჰ, ჩვენ, ქართველები

დღეს ქართველ საზოგადოებაში ხშირად გვესმის ამოკვნესისმაგვარი – ეჰ! მაგალითად, ეჰ, რად გვინდოდა დამოუკიდებლობა! ეჰ, რუსეთი არ გვერჩინა? ეჰ, რაში გვადგება ევროპა და ამერიკა? ეჰ, ეს რა ქვეყანა დაგვინგრიეს! და ბოლოს, ეჰ, ჩვენ, ქართველები დამოუკიდებლად ვერ ვიცხოვრებთ, რადგან თუ ვიღაცამ ჩექმით არ ჩაგვწიხლა, ისე არაფერი არ გამოვა, ჩვენ ძალიან ცუდი ერი ვართ და თუ ვინმემ არ დაგვიმონა, მშვირები მოვკვდებითო, და ასე შემდეგ.

აღბათ, ზემოხსენებული ფრაზები ყოველდღიურ ცხოვრებაში ნებისმიერ ჩვენგანს მოუსმენია. ის კი არა, დარწმუნებული ვარ, უმეტესობისთვის ეს სიტყვები ნატანჯი სულისა და დაფლეთილი გულის ამოძახილადაც ქცეულა.

თავისთავად ცხადია, რომ ყველას ვერ მოსთხოვ ახლებურად აზროვნებას, რადგან იმ მიმდევ საბჭოურმა წარსულმა მთელ ერს ისეთი სულიერი და ფიზიკური დალი დაასვა, რომ მისი ასე უცებ მოცილება, არც ისე იოლი საქმე ყოფილა, როგორც ჩვენ ერთი შეხედვით გვეგონა.

ერთი რამ აშკარაა, საქართველოს დამოუკიდებლობას სკეპტიკურად უყურებს და ჩვენი ქვეყანა ვიღაცის (ამ შემთხვევაში რუსების) ჩექმით გასათელად ემეტება სწორედ იმ კატეგორიას, რომლებიც დამოუკიდებელ საქართველოსთვის ყველაზე უმძიმეს პერიოდში, ანუ ოთხმოცდაათიან წლებში აქედან გაქცეულები იყვნენ და თავს იმ „დედა რუსეთს“ აფარებდნენ, რომლის ჩექმაც, თურმე საქართველოს გადარჩენისა და გაჯანსაღებისთვის აუცილებელი ატრიბუტი ყოფილა.

ასე მწამს, რომ ოთხმოცდაათიან წლებში ქართველს ნებისმიერ ქვეყანაში და კონტინენტზე ჰქონდა უფლება გაეღწია, რათა თავი გადაერჩინა. მაგრამ, არამც და არამც, ეს ქვეყანა არ უნდა ყოფილიყო ჩვენი დამანგრეველი, სისხლის მსმელი და უპირველესი მტერი - რუსეთი.

მე ძალიან მიძიმდა ამის ყურება, მაგრამ ვხვდებოდი და მუდამ გაგებით ვეკიდებოდი იმას, რომ იმ მიმდევ დროს ჩემი თანამემამულეები ინგლისში, გერმანიაში, ამერიკაში, საბერძნეთში, ისრაელში და კიდევ ბევრ ქვეყანაში მხოლოდ იმისთვის გარბოდნენ, რომ საკუთარი თავი და ქართული გენი გადაერჩინათ.

აი, რუსეთში გაქცეულებისა და მტრის ბანაკში სისხლგადასხმულების მიმართ კი სულ სხვა, ამჯერად უკვე სიძულვილის გრძნობა მამოძრავებდა, რადგან ვთვლიდი და დღესაც ასე ვთვლი, რომ ის ადამიანი, რომელიც საკუთარ სამშობლოს დამბობავ და სისხლისმწოველ ქვეყანაში თავშესაფარსა და სიმშვიდეს ჰპოვებს, თავის ქვეყანას აღარასოდეს გამოადგება.

მოკლედ, რუსეთში თავშეფარებულები და დაფრთიანებულები, ეს ის მავნე კატეგორიაა, რომელიც ნარკოტიკებზე მიჯაჭვულივით საზოგადოებას ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანს.

მე ჯერჯერობით მეხსიერება არ მღალატობს და მშვენივრად მახსოვს დედაბუდიანად რუსეთში გადაბარგებული და ჩრდილოური პროდუქტით კარგად ნასუქი ქართველობა, რომლებსაც საკუთარ ისტორიულ სამშობლოში ჩამოსვლა მხოლოდ მაშინ გაახსენდათ, როცა აქ მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, განათდა და აღმშენებლობა დაიწყო.

მანამდე კი იყო ის, რომ როცა აქ ჭირდა ცხოვრება, როცა აქ იყო სისხლისღვრა, ტყვიების ზუზუნნი, ცრემლი, განუკითხაობა, ქაოსი, სიბნელე, სიცივე, გაჭირვება, პურის რიგები და კიდევ უამრავი პრობლემა, მაშინ ეს მოსიარულე მძორები სწორედ იმ რუსეთის კალთას იყვნენ ტკბილად ამოფარებულნი, რომელმაც საქართველოს ძირძველი ტერიტორიები ჩამოაჭრა და უამრავი უბედურება დაატეხა თავს.

დღეს კი როგორც ჩანს, განათდა, აღარც ტყვიების ზუზუნია და აღარც სიბნელე. ჰოდა, გამომძვრნენ ბუჩქებიდან ეს მედროვეები და სხვის სიმწრით გაშლილ სუფრაზე გამოსაჩენ ადგილას წამოსკუპება მოინდომეს. და რომ შეატყვევს, აქ ის ძველებური რუსული კარტი აღარ ჭრიდა, უმალ მონახეს გამოსავალი.

ისე, მედროვე, მაშ რიდას მედროვე იქნება, რომ მისთვის დროში ან სივრცეში



რაიმე პრობლემა არსებობდეს.

გამოსავალი კი ზოგიერთმა ძალიან მარტივად და ამავე დროს, საკმაოდ უნამუსოდ გამოწახა. თუ ადრე მკერდზე მჯილის ბრახუნით რუსეთის მზეს ფიცულობდნენ და რუსეთის ხსენებაზე უზომო სიამოვნებისგან საოცრად ცახცახებდნენ, დღეს მიხვდნენ, რომ ეს ნაბიჯი მათი წარმატებული კარიერისა და ტკბილი ცხოვრებისთვის ცეცხლთან თამაშის ტოლფასია. ამიტომაც, ამ მედროვე ელემენტებმა პირადი იდილიის შესანარჩუნებლად რუსული დროშა დროებით გვერდზე გადადეს და იმ დამოუკიდებელი საქართველოს დროშა შემოიხვიეს ტანზე, რომელსაც მთელი ცხოვრება აგდებულად და ცინიკურად უცქერდნენ.

რას იზამ, როცა შენი კარიერა, ბიზნესი და ოჯახური იდილია მოითხოვს, მოსაჩვენებლად დამოუკიდებელ საქართველოს (რომელიც მუდამ ასე გბულდა) დროშას შემოიხვევ კი არა და, თვით სატანასაც კი გაუგორდები ფეხქვეშ.

ეს არის ამ ნაძირალების მარტივი გათვლა, ეს არის ამ მედროვეების ცხოვრების კრედო.

მე მძულს ეს კატეგორია, რადგან, როცა ჩვენ ვტიროდით, ისინი იცინოდნენ, როცა ჩვენ თანადგომას ვითხოვდით, ისინი დაგვცინოდნენ.

დღეს კი, როცა გვინდა ამოვისუნთქოთ, ისინი ჩვენს ადგილს იკავებენ და ჩვენს გაშლილ სუფრაზე სხდებიან.

ეს მედროვეები მარტო კომუნისტურ ეპოქასა და რუსეთს მისტირიან. ისინი მხოლოდ რუსული ტალღებით იმართებიან. მათ არ სწამთ დამოუკიდებელი საქართველოსი და თუ აქ ჩამოდიან, ისიც იმისთვის, რომ კარიერა მოიწყონ და გემრიელი ლუკმა დაითრიონ.

ისინი ბევრნი არიან და შენიღბულად დადიან, მაგრამ თუ კარგად დააკვირდებით, მათი ამოცნობა არც ისე ძნელია. ჩვენი მიზანია, ეს ხალხი ამოვიცნოთ და მოვკვეთოთ ერთხელ და სამუდამოდ ქართული საზოგადოებიდან, რადგან ეს გარეწრები არც თავად ვითარდებიან და ქვეყანასაც უსპობენ განვითარების ყველანაირ შანსს.

### III

არც ამერიკა და არც რუსეთი! ამის თქმა  
მხოლოდ სუფრაზეა ლამაზი

ეს შენიღბული საზოგადოება, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ და რომელზეც

კიდევ გვექნება საუბარი, საკუთარი პრორუსული კვალის დასაფარად თავბრუსხვევამდე გაჰკვივის, ჩვენ არც ამერიკა გვინდა და არც რუსეთი, ჩვენ გვინდა საქართველო, ძლიერი და აყვავებული.

პირადად ჩემთვის ყველაფერი ისედაც ცხადი იყო, მაგრამ ამ ლამის ლოზუნგადქცეული ნააზრევის შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რასაც აქამდე ვფიქრობდი.

დიახ, ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელია, - არც ამერიკა და არც რუსეთი! ეს ხომ თავად რუსეთის სპეცსამსახურებისა და პრორუსული ელემენტების მიერ შემოგდებული იოლი ფანდია?

ეს უფრო საზოგადოების დაბოლებას ჰგავს, ვიდრე რეალურ პოლიტიკურ მოთხოვნას.

ამ მოპოლიტიკოსო ელემენტებმა ის მაინც უნდა იცოდნენ, რომ დიდ პოლიტიკაში საქმისადმი ასეთი მიდგომა – მე არც ეს მინდა და არც ის, არ არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ პოლიტიკა ხანდახან კომპრომისების გარდა სხვა არჩევანს არ გიტოვებს. გინდა თუ არ გინდა, არის სიტუაციები, როცა, რაღაც გარკვეულ სტანდარტებში უნდა ჩაჯდე და ხანდახან შეიძლება, ვინმესთვის არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმაც მოგიხდეს.

ხოლო ზოგიერთი ძალად პოლიტიკოსის მხრიდან მხოლოდ იმაზე ჩაბყირება, რომ თურმე ჩვენ არც ამერიკა გვინდა და არც რუსეთი, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში რუსეთისთვის კოჭის გამგორებლებთან ერთად, შემთხვევით მოხვედრილი ხალხიც საკმაოდ მრავლადაა.

ამ შენიღბულ საზოგადოებას უნდა შევახსენო, რომ უვიცობამდე დასული ასეთი სიჯიუტე, - არც ამერიკა და არც რუსეთი! შეიძლება და ძალიან ლამაზია სადმე სკვერში, ძმაბიჭებთან ლუდის თანხლებით საუბრის დროს ან გემრიელ, ქართულ სუფრაზე, როცა ლამაზ სადღეგრძელოს ამბობ და გინდა შენი სათქმელი ძარღვიანად, ჯიგრულად დააბოლოვო. ამ შემთხვევაში გეპატიება კი არა, აუცილებელიც არის ყველას და ყველაფერს ხაზი გადაუსვა და მხოლოდ ქართულ-კავკასიურ ჯიგარზე ილაპარაკო. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს ყველაფერი ლამაზია ყანწისა და თანამოაზრეთა იდილიის თანხლებით, რადგან, შეიძლება ვინმეს კურცხალიც გადმოსცვივდეს, ვიღაცამ პატრიოტული ლექსიც დასჭექოს, ვიღაცა ერთ კარგ სიმღერასაც წამოიწყებს, მერე არ არის გამორიცხული, რომელიმე ჩვენი საყვარელი სამშობლოს სახელზე იქვე, სუფრაზე სანთელიც აანთოს და შეიძლება ითქვას, სადღეგრძელო შედგა, ყველა მოჯადოებულია, ამ სუფრაზე ყველას უყვარხარ, ყველა გეთანხმება და ყველა სულში გიხუტებს.

ასე რომ, ყოველივე მისაღებია სუფრაზე, შინაურ გარემოში, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე სუფრის დონეზე მსჯელობას რომ ვერ გასცდა, ჩვენი უბედურებაც ეს არის.

ქვეყნებს შორის პოლიტიკაში, სამწუხაროდ სულ სხვაგვარი სურათი გვხვდება.

თუ გინდა ამას ჩაწვდე, უნდა შეიგნო, რომ დღეს მსოფლიოში არსებობს ორი პოლუსი, ორი მმართველი ძალა, რომლებიც ძალაუფლებისთვის და ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მიზნების განსახორციელებლად იბრძვიან. ამ ორი

პოლუსიდან ერთია ამერიკის შეერთებული შტატები მთელი თავისი, როგორც დასავლეთ ევროპული დემოკრატიით, ისე სამყაროს პროგრესული ძალებით და მეორე პოლუსია, იარაღის ჟღარუნით და სხვათა დაშანტაჟებით ცნობილი რუსეთი. თუ ამერიკა დასავლეთ ევროპელ მოკავშირეებთან ერთად დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გათვალისწინებით ცდილობს ნებისმიერი პრობლემის მოგვარებას, იგივეს ნამდვილად ვერ ვიტყვით რუსეთზე. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის თითოეული მოქმედება მხოლოდ კუნთების თამაშზე, საკუთარი ბუნებრივი რესურსებით სპეკულირებაზე და სამხედრო ძალის დემონსტრირებაზეა აგებული. სხვა საქმეა, რომ დღეს მუდამ ჩახმახშემართული რუსეთის ნამდვილად აღარავის ეშინია. თუმცა, არის საკითხები, რაშიც რუსეთს ანგარიშს უწევს, მაგრამ ყოველივე ეს ხდება არა იმიტომ, რომ რუსეთის ხსენებაზე ვინმეს შიშისგან აცახცახებს, არამედ ა.შ.შ და დასავლეთ ევროპა თვლიან, თავზეხელაღებული რუსეთიც ჩვენი სამყაროს შემადგენელი ნაწილია და პოლიტიკური დიპლომატიით მისი მორჯულება და განეიტრალება ისევეა შესაძლებელი, როგორც ერთ დროს, თითქოს უძლეველ საბჭოთა კავშირს უყვეს. უდავოა, დღეს არსებობს ორი გზა, - ა.შ.შ ან რუსეთი. სხვა საქმეა, ყოველივე ეს ვის როგორ მოსწონს ან არ მოსწონს, მაგრამ ფაქტია, ჩვენისთანა პატარა ქვეყანამ ერთ-ერთი უნდა აირჩიოს და რომელიმეს რეალური პარტნიორი უნდა გახდეს. საქმისადმი ასეთი მიდგომა, რომ არც ერთი მინდა და არც - მეორე, ან მე ერთთანაც ძალიან კარგად ვიქნები და მეორესთანაც, მსგავსი ხედვები იმ მოსიარულე გვამებს დავუტოვოთ, რომლებიც თხუთმეტი წელია ტელევიზორებში ჩანან, პოლიტიკოსობას იბრალებენ, ყველაფერში მისაზამ ქვეყნად სომხეთს თვლიან და თავიანთი გულისამრევი პოლიტიკური ნაბიჯებით ხალხს სიტყვა - პოლიტიკა-ს, აზიზღებენ.

საერთოდ, მოპოლიტიკოსო ელემენტთა ის ჩახავსებული თაობა, რომლებსაც პოლიტიკა, პარტია, პარლამენტი და საკრებულო ფაქტიურად, მხოლოდ საკუთარი ოჯახების გამოკვებისთვის სჭირდებათ, უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან და გზა ახალ, პროგრესულ და მართლაც საქმის გამკეთებელ თაობებს დაუთმონ.

ვფიქრობ, არცერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, სადაც ერი ჯანსაღად აზროვნებს, საზოგადოებაში და მითუმეტეს პოლიტიკოსებში საკითხის ამგვარად დასმა, - ამერიკა თუ რუსეთი? ფართო განხილვის საგნად არ იქცეოდა, რადგან თეთრის და შავის, კარგის და ცუდის, კეთილის და ბოროტის, მოყვარის და მტრის განსხვავებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის, რაც განვითარებულ დასავლეთში ლამის აქსიომაა, ქართველი საზოგადოების ერთი დეგრადირებული ნაწილისთვის და განსაკუთრებით კი პოლიტიკოსად წოდებული გვამებისთვის, შეიძლება განსჯა-განხილვისა და პოლიტიკური ქულების ჩაწერის საშუალებად იქცეს.

ზოგიერთების მხრიდან დასავლეთევროპულ განვითარებაზე უარის თქმა, რაღაც ბავშვურ ახირებას უფრო დაემსგავსა, ვიდრე გააზრებულ და გაანალიზებულ ნაბიჯს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, - დღეს ვის ინტერესებში შედის საქართველოს მიერ ევროპულ ინტეგრაციაზე და ამერიკასთან პარტნიორულ ურთიერთობებზე

უარის თქმა?

რა თქმა უნდა, ეს ქვეყანაა რუსეთი, სწორედ რუსეთის სურვილია ცივილიზებულ სამყაროს მოწყვეტილი საქართველოს ხილვა. ისეთი საქართველო კი, რომელსაც ამერიკა-ევროპის სახით დამცველები და მოკავშირეები არ ეყოლება რუსებისთვის ძალიან იოლი დასამორჩილებელი იქნება.

ამიტომ არის, რომ რუსეთის მთელი პოლიტიკური სპექტრი გადართულია საქართველოში საკუთარი მოკავშირეების აღმოჩენაზე. ისინი დასაყრდენს აქ, მოღალატე ქართველ საზოგადოებაში და პოლიტიკურ ძალებში ეძებენ, რადგან მშვენივრად მოეხსენებათ, რომ ჩვენთან რუსულ-კომუნისტური ვირუსით დასნეულებული ქართველი ხალხის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულა. ასეთ დროს კი ერის საკუთარ გავლენაში მოქცევა და საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მომართვა, კიდევ უფრო გაიოლებულია. რუსულ დიპლომატიაზე, გონებრივ შესაძლებლობებზე ან რაიმე სახის თანმიმდევრულ პოლიტიკაზე დიდი წარმოდგენა არასდროს მქონია და ბუნებრივია, არც ახლა მაქვს. უბრალოდ, რუსების მიერ წარმოებული ანტიამერიკული და ანტიევროპული განწყობა ზოგიერთი ქართველის ტვინში ადვილად რომ ილექება, ეს სწორედ იმ რუსულ-კომუნისტური ვირუსის შედეგია, რომელიც აწგარდაცვლილმა საბჭოთა წყობამ სამახსოვროდ დაგვიტოვა.

კიდევ გულდასაწყვეტი იცით, რა არის?

მოდით, გადავავლოთ თვალი დღევანდელ მსოფლიოს და ასეთი შეკითხვა დავსვათ.

- დღეს ვის სძულს ყველაზე მეტად ამერიკა?

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად გონების მაქსიმალური დამაბზა არ გახდება საჭირო, რადგან ვიცით, რომ უპირველესი ანტიამერიკული ქვეყანა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ წოდებული რუსეთია.

- კიდევ ვინ?

- რუსეთის მოკავშირე ნიკარაგუა, ვენესუელა, ჯერ კიდევ კომუნისტური კოცონით გახურებული ჩრდილოეთ კორეა, კუბა, დემოკრატიით შუა საუკუნეებში ჩარჩენილი ირანი და ტერორისტული ორგანიზაცია ალ ქაიდა, რომელიც დღევანდელ ამერიკას მუდამ სისხლში ჩამირვით ემუქრება.

მე მგონია, სულ ეს არის, რაც არის.

გეკითხებით, - როგორი კომპანია შეიკრიბა?

მე არ მინდა დავიჯერო ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის იმგვარი დეგრადირება, რომ ამათ გვერდით დგომა მოინდომონ. ნუთუ ზემოჩამოთვლილი სამარცხვინო კომპანიისგან არაფრით განვსხვავდებით?

დღეს, 21-ე საუკუნეში ანტიამერიკული განწყობით რუსეთის, ნიკარაგუის, კუბის, ჩრდილოეთ კორეის, ვენესუელის, ირანისა და ტერორისტული ორგანიზაცია ალ ქაიდას მოკავშირეობა „პოლიტიკური ბომჟობა“ უფროა, ვიდრე რაიმე გონივრული და სამართლიანი ნაბიჯი.

კარგად დაფიქრდეთ, დღეს საქართველო ამერიკასთან ცივილიზებული ურთიერთობებით უფრო მეტს მოიგებს თუ ამ მართლაც ყოვლად სამარცხვინო ,,

პოლიტიკურ ბომჟთა” კომპანიაში გაწევრიანებითა და მხარდაჭერით?

უკვე გასაგებია, პასუხი იქნება, - არც ეს და არც ის!

- არც მწვადი დავწვავთ და არც შამფური?

- ასე და ამგვარად პოლიტიკაში არ ხდება და თუ ვინმე, მაინც და მაინც

შეეცდება არც მწვადი დაწვას და არც შამფური, ის მწვადსაც დაწვავს და შამფურსაც.

ამერიკა რუსეთისგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ამერიკის მოკავშირეობა

შენი ქვეყნის სუვერენიტეტის დაკარგვასა და დაპყრობას არ ნიშნავს. გადავავლოთ

თვალი დღევანდელ მსოფლიოს და დავრწმუნდებით ყოველივე ამაში. ევროკავშირის

დიდი თუ პატარა წარმომადგენლები: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი,

იტალია, საბერძნეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა,

ესტონეთი ნატოს წევრებიც არიან და ბუნებრივია, ამერიკის შეერთებული შტატების

მოკავშირეებადაც მოიაზრებიან.

ავიღოთ ევროპის პატარა ქვეყნები ესტონეთი და ლატვია. ვინ იტყვის, რომ ამათ

კულტურას, ტრადიციებს, ეროვნულობასა და სუვერენიტეტს ოდესმე ამერიკის

შეერთებული შტატების მხრიდან საფრთხე შექმნია? პირიქით, ბალტიისპირეთის ეს

ქვეყნები აბსოლუტურად უსაფრთხოდ რომ გრძნობენ თავს, ეს უპირველესად

ამერიკის დამსახურებაა.

რომ არა ამერიკა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, დღეს ლიტვაში,

ესტონეთში, ლატვიაში და კიდევ ევროპის ბევრ ქვეყანაში რუსის ტანკები

შეგრინდებოდნენ. რა, მე თქვენ გეტყვით, რუსის თავქარიან სამხედრო

გენერალიტეტს ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ჭკუა დაუშლიდა თუ ნამუსი

შეაწუხებდა?

მაგრამ დღეს რუსეთი ამერიკისა და ნატოს სახით ისეთ რკინა-ბეტონის კედელს

ასკდება, რომ არ არის გამორიცხული, ისედაც გამოთავყვანებული ტვინი შეირყოს და

თავ-პირი დაიმტვრიოს, რაც რუსეთის სახელმწიფოს მსხვრევისა და ნაწილებად

დაშლის ნიშანი იქნება.

კიდევ ერთიც, იმათ საყურადღებოდ, ვისაც ძალიან ეჯავრება ამერიკა და ისევ

რუსეთის წიაღისკენ მიძვრება.

თქვენ ვერ დამისახელებთ ამერიკელი ან ნატოს ჯარისკაცის ხელიდან მოკლულ,

თუნდაც ერთ ქართველს, მაშინ, როცა რუსი სამხედროების მიერ გასროლილ ტყვიებს

მილიონობით უდანაშაულო ქართველის სიცოცხლე შეუწირია.

\* \* \*

და ბოლოს, ზვიად გამსახურდიამ რომ თქვა, არც ამერიკა და არც რუსეთიო,

სწორედ ამ მიზეზით არ დაუდგა მას გვერდში არავინ და დარჩა მხოლოდ ჯოხარ

დუდაევის იმედად. გამსახურდია, ბუნებრივია, საკუთარი პოლიტიკური

მრწამსიდან გამომდინარე რუსეთზე ფსონს არ გააკეთებდა. თუმცა, ის რომ ევრო-

ამერიკული ხედვის პოლიტიკოსი ყოფილიყო, დღეს ცოცხალი მაინც იქნებოდა და მინიმუმ ევროპის ან ამერიკის რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში ლექციებს წაიკითხავდა.

## IV

### პრესა ოპიუმია

ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფალი პრესა დემოკრატიის განმსაზღვრელია. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა პრესა რომელიმე კონკრეტული პიროვნების ინტერესებზე მუშაობს, ჩასაფრებულია, სენსაციურ მასალებს ეძებს თუ ყვითელია და მხოლოდ ჭორების გავრცელებას ემსახურება. მთავარია, მან თავისი ფუნქცია პირნათლად შეასრულოს, ცხელ-ცხელი ინფორმაციების მხრივ საზოგადოება არ დაამშიოს და საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობას გული მოფხანოს.

ასეა თუ ისე, კარგია თუ ცუდია, მოგვწონს თუ არ მოგვწონს პრესა გარკვეულწილად საზოგადოების მშვენიერი დასაბოლებელი საშუალებაა. მე მაგალითად ძალიან მომწონს, რომ ქართული ბეჭდითი მედიის ფურცლები ძირითადად ყველას და ყველაფერს იტევს. ვის ნააზრევს არ იხილავთ იქ, პოლიტიკოსებიდან დაწყებული, ლამის ჩვენი სადარბაზოს დამლაგებლით დამთავრებული, ყველა პრესის ხშირი სტუმარი და საინტერესო რესპოდენტი. დიახაც, მომწონს ეს ყველაფერი, მაგრამ რამდენად ვეთანხმები ყველა იმ რესპოდენტის ტვინის ნაჟურს, ვინც ქართული მედიის სივრცეს საკუთარი სიტყვაკაზმულობით ამარაგებს, ეს უკვე სხვა საქმეა და სწორედ ამ თემას მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო.

ვინ იტყვის, ქართული პრესა მკვდარია, ქართული პრესა კონტროლირებადია და ვიღაცის ან რაღაცის შიშით სიმართლეს ვერ ამბობენო?

არაფერი მსგავსი, წერე და ბეჭდე, გაიხარე და გაახარე, დაბოლდი და დააბოლე, არავინ არაფერს დაგიშლის, პასუხს არავინ მოგთხოვს, ეს არის ქართული პრესა, თავისუფალი, თანაც ნამეტანი თავისუფალი, იმდენად თავისუფალი, რომ ხანდახან მეშინია ემანდ დაუკრეფავში არ გადავიდნენ. თუმცა, რაღა არ გადავიდნენ და ზოგიერთი გაზეთი თავისი უცენზურო მასალებით უკვე გადასულია დაუკრეფავში და ეგ არის რაღა. მაგრამ, ამჯერად მე ამაზე არ მაქვს საუბარი, ახლა რასაც ვიტყვი, ეს არ იქნება აღმოჩენა, რადგან ყოველივე ნებისმიერ თქვენგანს შეუმჩნევია, მაგრამ არ უღიარებია და შეიძლება, განსაკუთრებული ყურადღება არც მიუქცევია. თუ ვინმე იტყვის, რომ არ შემიმჩნევიაო, ის უბრალოდ ცრუობს ან არ უნდა, რომ შეამჩნიოს.

თუ ადამიანს უნდა, დაინახავს და აღიარებს იმას, რომ დღევანდელი ქართული პრესა საზოგადოებისთვის ერთგვარი ოპიუმის ფუნქციას ასრულებს. შეხედეთ ქართული პრესის ფურცლებზე შთამაგონებელი სახით გამოჭიმულ პიროვნებებს, რა ენითაუწერელი სევდით, დღენიადაგ სამშობლოზე ფიქრით უძილო ღამეებში დასიებული თვალებითა და მარადიული ჰუმანიზმითაა აღსავსე მათი გამოხედვა. თუ მათ ინტერვიუებსაც გადაავლებთ თვალს, ნამდვილად იმედი მოგეცემათ, რომ ქართველობას ვერაფერი ვერ მოერევა და ჩვენ არასოდეს არ გადავშენდებით. საოცარია პირდაპირ, მოკლედ, რა ყველა დახვეწილი აზროვნებისა ჩანს ამ ინტერვიუებში.

მაინც რა აზრები, რა იდეები, რა სიყვარული და რა ღრმა ანალიზია მათ თითოეულ სიტყვაში ჩაქსოვილი. ნუ გაგიკვირდებათ, უხვად ასხია ამ ხალხს ეს ყველაფერი და გულით ბოროტი უნდა იყო, რომ არ დაინახო.

ამასწინათ, ერთ-ერთ ჩვენებურ გაზეთში დოდო გუგეშაშვილის ინტერვიუს გადავაწყფი და პირდაპირ გეტყვით სათქმელს...

რომ არ მცოდნოდა რესპოდენტი ვინ იყო, ერთი ჩვენი ღირსეული პოეტის სიტყვებსაც კი არ დავიშურებდი ამ ქალბატონის მიმართ და ალაღად ვეტყოდი - „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშენდებოდა“...

რა ჰუმანიზმი, რა კანონმორჩილება, რა პატრიოტიზმი, რა რწმენა, რა სიღინჯე, რა გამჭრიახი აზროვნება, რა სისხლისღვრაზე უარის თქმა და კიდევ, რა აღარ ამოვიკითხე ამ ინტერვიუში.

გაოცებული ვარ პირდაპირ!

სახელმწიფო ინტერესები, კანონი, კონსტიტუცია და რაც მთავარია, სისხლის არდაღვრაო, მუდამ ამას იმეორებდა იმ მხედრიონის ერთ-ერთი ლიდერი, რომლის თავზეხელაღებულმა ბრბომაც წლების წინ სწორედ ქართული სახელმწიფო და კანონმორჩილება უდანაშაულო ქართველებისავე სისხლით ისე უღმერთოდ მორწყა, რომ ბევრი ჩვენი თანამემამულე იმ საშინელი შოკიდან დღესაც ვერ გამოსულა.

და თქვენ გგონიათ, დღეს რაიმე შეიცვალა?

არაფერი მსგავსი, გუგეშაშვილი იგივე გუგეშაშვილია, რაც იმ ავადსახსენებელ მხედრიონის ზეობის ხანაში იყო.

სახელმწიფო ინტერესები, კანონმორჩილების აუცილებლობა და სრულიად უდანაშაულო ქართველობა ხომ მაშინაც იყო?

მაშ რა მოხდა, რამ აამღერა ასე ტკბილ ჰანგებზე ერთ დროს უდანაშაულო თანამემამულეთა სისხლზე დაგეშილი მხედრიონის ერთ-ერთი ლიდერი?

ყოველივე დაკვირვებული თვალისთვის ადვილი ამოსაცნობია და ეს გახლავთ – ნიღაბი!

დიახ, ნიღაბი, რომელსაც ჩვენი საზოგადოების გახრწნილი და სახეწაშლილი გვამები ხშირად ხმარობენ, რათა ყველა დროს უმტკივნეულოდ მოერგონ და სახრავ-საგლეჯი მუდამ გამოუღვევლად ჰქონდეთ.

აი, ეს არის დღეს ჩვენი უმთავრესი პრობლემა და არა ის, თუ რამდენი მეტრით ახლოს შეეძლება ოპოზიციას პარლამენტის შენობასთან ან ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებასთან აქციის ჩატარება.

მე ეს საკითხი მაწუხებს და მაინტერესებს, ამიტომაც ვერ გავჩუმდები და პირში წყალს ვერ ჩავიგუბებ.

ამ კონკრეტულ საკითხზე ჩემი გაჩუმება არ იქნება, რადგან ვიცი, რომ ასეთ დროს გულგრილობა იმ გახრწნილი ნიღბოსნების თანამზრახველობას ნიშნავს, რომელთათვისაც მოსაჩვენებელი პოზიირობა და ფარისევლობა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცეულა.

რაც მოგახსენეთ, ყველაფერს ერთად აღებულს იტევს ქართული მედია, ზოგიერთი თავისი მედროვე რესპოდენტებითურთ.

ის კი არა, ამასწინათ პრესის ფურცლებზე თვით საქართველოს ექსპრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს მოვკარი თვალი, რომელიც თავისი ჭკუით მამაშვილურად გვარიგებდა, რჩევებს გვამლევდა, მიგვითითებდა დაშვებულ შეცდომებზე და თან ცდილობდა, ჩვენთვის ის გზა ეჩვენებინა, თითქოსდა ქვეყანას აღმავლობისკენ რომ წაიყვანს.

ვინ? ვინ და თავად ედუარდ შევარდნაძე, კაცი, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ისტორიაში „ედუარდ დამანგრეველის“ სახელით შევიდა და სწორედ მისი უსუსური პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიწა რუსი სამხედროებისგან იტკეპნება.

შევარდნაძეზეც თითქმის იგივე უნდა ვთქვა, რაც გუგეშაშვილზე.

რომ არ მცოდნოდა, ვის ინტერვიუს ვკითხულობდი, ნამდვილად ვიფიქრებდი, რომ ჩვენს სამშობლოს ამ კაცის სახით განგებამ მესია მოუვლინა, რომელიც უეჭველად გადაარჩენს და ააყვავებს საქართველოს - მეთქვი.

მოკლედ, ლამის ისე დავბოლდი, როგორც ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე 1992 წელს ედუარდ „გადამრჩენლის“ (მაშინ ქართველი ნიღბოსნები სწორედ ასე მოიხსენიებდნენ შევარდნაძეს) საქართველოში ჩამოსვლის დროს.

მაგრამ, ფუი ეშმაკს, უცებ გამოვერკვიე და თვალწინ გადამეშალა ოთხმოცდაათიანი წლების შევარდნაძისეული, მართლაც ბედკრული საქართველო და სულ სიმწრის ოფლმა დამასხა.

მაშ, გამოვერკვიე და გულით გავიხარე, რადგან ისედაც შენიღბულ ჩვენს საზოგადოებაში ცხრა ნიღაბმორგებული შევარდნაძე და მისი ჭალარის მკოცნელი სამარცხვინო საქართველო უკვე წარსული იყო.

ლამის დროში ასეთმა მოგზაურობამ, ერთი რამ დამანახა: კერძოდ, რა კარგია, რა საამურია და რა ადვილია ჩასაფრებული კაცის მდგომარეობაში ყოფნა და იქიდან მჭერმეტყველება. არავითარი პასუხისმგებლობა, ილაპარაკე რამდენიც გინდა და ვისზეც გინდა, აკრიტიკე ხელისუფლება უზომოდ და თუ გინდა „ფეხისუფლებაც“ უწოდე, პასუხს მაინც არავინ მოგთხოვს. ის კი არა, მთავრობის წინააღმდეგ წარმოთქმული თითოეული სიტყვა, შეიძლება შენთვის პოლიტიკური ქულების მომტანიც იყოს. მთავარია, სახეზე ნიღაბი მყარად გეკეთოს და არ ჩამოგვარდეს, დანარჩენი უკვე, როგორც იტყვიან, ტექნიკის საქმეა.

სადაც შევარდნაძე ვახსენეთ, იქ მის ძმაკაცზე, ჯანსუღ ჩარკვიანზე რომ არაფერი ვთქვათ, არ შეიძლება.

გამოგიტყდებით და არასდროს მქონია სურვილი პოეტებზე, მწერლებზე,



მხატვრებზე, მსახიობებზე პოლიტიკური კუთხით მესაუბრა, მაგრამ, როცა ადამიანი პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს და მითუმეტეს, თუ ეს ადამიანი პარლამენტის ყოფილი წევრიცაა, მაშინ მზად უნდა იყოს, რომ შეიძლება ვიღაცამ სამარცხვინო პოლიტიკური წარსული შეახსენოს და რაღაც საქმეში არაკომპეტენტურიც უწოდოს. სხვას შეიძლება ასე დაეწყო, ბატონო ჯანსუღ, მე თქვენ, როგორც პოეტს უდიდეს პატივს გცემთ, რადგან თქვენ ხართ კარგი მელექსე და თბილისის კოლორიტი კაცი, მაგრამ, რაც შეეხება პოლიტიკას, თქვენ ამ დროს, ეს ასე არ უნდა გეთქვათო, და ასე შემდეგ...

მაგრამ მე ამგვარად არ დავიწყებ, რადგან ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებზე უფრო მეტად მახსოვს ზვიად გამსახურდიას წიგნი: „წერილები და ესსეები“, რომელშიც ჩარკვიანი მხილებულია, როგორც სხვა პოეტების ლექსებიდან ფრაზების მომპარავად და მიმთვისებლად.

ამას მე არ ვამბობ, ამას გამსახურდია ამბობდა და წერდა კიდევ საკუთარ წიგნში. ასე რომ, ჩარკვიანი ისე ახლოს არის ჭეშმარიტ პოეზიასთან, როგორც მუამარ კადაფი ნუსხურ დამწერლობასთან.

ეს უკანასკნელი ლიბიელი დიქტატორი სწორედ იმიტომ ვახსენე, რომ ამ ბოლო დროს ჩარკვიანი ძალიან ხშირად ამახვილებს ყურადღებას კადაფიზე და დიქტატურაზე. ნამდვილად არ მოსწონს ქართული დემოკრატიის ხარისხი ნიღბოსან პოეტს და რა ქნას?

საქართველოს პრეზიდენტს კი ურჩევს, ბარემ თქვი, მუამარ კადაფი ვარო.

ხედავთ, თურმე როგორ ყოფილა საქმე?

დიქტატურა, დემოკრატიის არარსებობა, მართალი სიტყვის ფეხქვეშ გათელვა, ადამიანების ხელკეტებით ცემა, რეზინის ტყვიები და კიდევ ბევრი რამ არ მოსწონს, აღაშფოთებს და თურმე მშვიდ ძილს უფრთხობს ჯანსუღ ჩარკვიანს.

ყველაფერი გასაგებია!

მე ვთქვი, რომ თუ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებ, მაშინ იმაზეც უნდა იყო მზად, შეიძლება ვიღაცამ არაკომპეტენტური გიწოდოს და სამარცხვინო პოლიტიკური წარსულიც გაგახსენოს – მეთქი.

ჰოდა, ამგვარადაც ვიქცევი.

ძალიან მაინტერესებს, დღეს რომ ასე გულდათუთქულია ჩარკვიანი ქართული დემოკრატიის ხარისხით და სამშობლოზე ფიქრით ვითომ ღამეებს ათენებს, რატომ იმ დროს არ იყო ასეთი ემოციური, მგრძნობიარე და აღშფოთებული, როცა მისი ძმაცაცის, ედუარდ შევარდნაძის პირსისხლიანმა ჯალათებმა ზვიად გამსახურდიას მომხრეები და აბსოლუტურად უიარაღო მშვიდობიანი მომიტინგეები დიდუბის მეტროსთან და ყოფილ ჩელუსკინელების (დღევანდელ თამარ მეფის) ხიდთან რომ ჩაცხრილეს?

ან რატომ მაშინ არ უფრთხებოდა ძილი ჯანსუღ ჩარკვიანს, როცა სამეგრელოში იგივე შევარდნაძის მიერ გაპარპამებული მხედრიონელები და არა მარტო მხედრიონელები, გამსახურდიას მომხრეებს ოჯახებიანად რომ აუბედურებდნენ და სათითაოდ წამებით სულს ხდიდნენ?

ან კიდევ, სხვისი ფრაზების მიმთვისებელი ცრუ პოეტი, რატომ მაშინ არ იღებდა

ხმას და რატომ დუმდა, როცა ოთხმოცდაათიანი წლების შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი საართულებიდან წამებით გონებადაკარგული და შეურაცხყოფილი ჩვენი თანამემამულეები, რომ ცვიოდნენ?  
ან სად იყო იმ დროს მისი მართალი სიტყვა, როცა დეპრესირებულ და სამარესავით ჩაბნელებულ საქართველოში შემზარავი ტირილისა და კვნესის ფონზე, მხოლოდ პრივილეგირებული ფენა რომ ხარობდა, იცინოდა და ამქვეყნიური სიამით ტკბებოდა?  
გეკითხებით, სად იყო ამ დროს ჩარკვიანი?  
სად იყო და აქ, ჩვენს გვერდით, ყურის ძირში, მაგრამ მაშინ, როცა ხელისუფლების კაბინეტები და დერეფნები შენთვის შინაური გარემოა, ეს ოხერი, გულისამრევი ნიღაბი, რას აღარ გაკადრებინებს კაცს.

## V

### ასე იწყებოდა

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი მთელი თავისი სოციალისტული მოკავშირეებით წარსულს ჩაბარდა, ბუნებრივია, ახალი, თანამედროვე ხედვის მქონე ქვეყნების წარმოქმნა დადგა დღის წესრიგში. დაიწყო თანამედროვე ცხოვრებისთვის შესაფერის რელსებზე გადასვლისა და აღმშენებლობის ურთულესი, მაგრამ, ამავე დროს აუცილებელი ეტაპი. ზოგი ქვეყანა უმტკივნეულოდ, ზოგი კი მძიმედ დაადგა განვითარების აღმართს.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ყველა ქვეყანა თანაბარ სასტარტო პირობებში ნამდვილად არ იმყოფებოდა. მაგალითად, ცნება – სახელმწიფოებრიობა ყოფილ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ავად თუ კარგად არსებობდა, რადგან ამ ქვეყნებს დასწეულებული, მაგრამ, როგორც ასეთი, სახელმწიფო მაინც ჰქონდათ და მისი მართვის ხელოვნება გარკვეულწილად უკვე იცოდნენ. სხვა თუ არაფერი, მათ გააჩნდათ საკუთარი საელჩოები, ჰყავდათ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ჰქონდათ პარლამენტი, საკუთარი ვალიუტა და კიდევ ათასი წვრილმან-მსხვილმანი, რაც ნებისმიერ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს.

და რა სიტუაცია იყო ამ მხრივ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში? განსხვავება გახლდათ უზარმაზარი, მდგომარეობა კი კატასტროფული, რადგან თუ სოცბანაკის ქვეყნებს სასტარტო კაპიტალი მაინც უმაგრებდათ ზურგს, ჩვენთან, ანუ ყოფილ საბჭოთა სივრცეში ყველაფრის ნულიდან დაწყება იყო საჭირო.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც

გარკვეულწილად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. თუ ევროპულად მოაზროვნე და მენტალურად ცივილიზებულია ბალტიისპირელებმა ყველა პრობლემა თანმიმდევრულად და უმტკივნეულოდ გადაჭრეს, იგივეს ნამდვილად ვერ ვიტყვით დანარჩენებზე და განსაკუთრებით კი საქართველოზე.

დაინგრა საბჭოეთი, ყველა თავის გზას დაადგა და რა ხდებოდა ამ დროს ჩვენთან? იმის ნაცვლად, რომ ნანგრევები გაგვეწმინდა და ახალი ქვეყნის აღმშენებლობა დაგვეწყო, ზოგიერთი ტვინგამომშრალი ჩვენებური ცოცხალი თავით არ იჯერებდა გარშემო შექმნილ რეალობას და საქმის კეთების ნაცვლად, უკვე გარდაცვლილი და ფაქტიურად მიხრწნილი საბჭოეთის ჭირისუფლობით იყო დაკავებული.

ეს იყო საშინელება, ეს იყო მოსიარულე ადამიანების ტვინის ლპობის ცოცხალი მაგალითი. მე არც ვფანტაზიორობ და არც რაიმეს ვიგონებ, რადგან ამ ყველაფრის მომსწრე გახლავართ.

იმის ნაცვლად, რომ დამოუკიდებელ საქართველოსთვის ძლიერი ფუნდამენტის ჩაყრაზე გვეფიქრა, კარგად მახსოვს, როგორ დარბოდნენ ზოგიერთი ჩვენებურები რუსეთში და რაღაც განსხვავებული ფორმით საბჭოთა კავშირის აღდგენაზე, რა სახის ახალ-ახალ ფორმულებს აღარ იგონებდნენ.

ისიც კარგად მახსოვს, აქაური ეგრეთწოდებული ინტელიგენცია, როგორ მუშაობდა რუსეთთან ძველი, ვიმეორებ ძველი, საბჭოური და არა ახლებური ურთიერთობების აღდგენაზე.

აქედან გამომდინარე, ქვეყანა ფაქტიურად დასაკლავად იყო განწირული, რადგან ის, ვისაც ახალ საქართველოს აღმშენებლობაში რეალური ნაბიჯები უნდა გადაედგა, პირიქით, მოღალატეობრივი პოლიტიკითა და ქვეყნის ზურგს უკან საიდუმლო კავშირების გაბმით იყო დაკავებული.

ამისდა მიუხედავად, როგორღაც ავირჩიეთ დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი! მთავრობაც დავაკომპლექტეთ, მაგრამ, ეს პარლამენტი და მთავრობა არ იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო.

ვერც იქნებოდა, რადგან პარლამენტში, ქვეყნის ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ისეთი ხალხი აირჩა, აარჩევინეს ან დასვეს, რომ ყოველივე ჯამბაზებით გახალისებულ ცირკის არენას უფრო დაემსგავსა, ვიდრე სერიოზულ პოლიტიკოსთა კრებულს.

ასე იცის უპასუხისმგებლობამ და ძველი, დახავსებული მენტალიტეტით აზროვნებამ.

მაშინდელი პარლამენტი ხომ სწორედ ასეთი არასერიოზული პრინციპით ირჩეოდა, - კაი ბიჭია, თბილისის კოლორიტია, იარაღი უტარებია, ესე იგი, გამოსადეგი კაცია და პარლამენტში უნდა იყოს. და შეიკრა ასე, ამ თავქარიანი პრინციპით ჩვენი სამარცხვინო ორგანო - პარლამენტი.

იმას არავინ ამბობდა, რომ კაი ბიჭის ადგილი უბანშია, თბილისის კოლორიტები ვერის პარკში ან ლამაზ, თბილისურ საღამოებზე უნდა დაბრძანდებოდნენ. რაც შეეხება იარაღიანებს, თუ სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ, მათი ადგილი ძალოვან სტრუქტურებში ან ომში უნდა იყოს და არა პარლამენტში.

არც ის მესმის, ისეთ ახალფეხადგმულ ქვეყანაში, როგორც საქართველო გახლდათ, კარგი რეჟისორის ადგილი რატომ უნდა ყოფილიყო მაინც და მაინც პარლამენტარის თბილ სავარძელში? მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რეჟისორს კარგი ფილმები გადაუღია და თავს ნაღდ თბილისელად თვლის?

ეს იყო დანაშაული, ეს იყო უდიდესი შეცდომა, რომლის შედეგებიც მთელი იმ წლების განმავლობაში მწარედ ვიწვნიეთ, რადგან ოთხმოცდაათიანი წლების ის შავბნელი საქართველო ხომ სწორედ იმ სამარცხვინოდ დაკომპლექტებული პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ნაშიერი გახლდათ, რომლებიც ცოცხალ ორგანიზმში გამჯდარი მეტასტაზებით ჭამდნენ საქართველოს.

ქვეყანაში კომიკური სიტუაცია შეიქმნა, ვინაიდან კორუფციასთან დაუნდობელი ბრძოლა თავად კორუმპირებულებს დაევალებათ, დამოუკიდებელი საქართველოს კარიბჭის გასაღები კომუნისტური იდეოლოგიის მედროშეებს ჩაუგდეს ხელში, ხოლო სამართლიანი პოლიტიკის კეთება უსამართლოებისა და გამომძალველების კომპეტენციაში შევიდა.

ძნელი გამოსაცნობი არ არის, ამ საქმეს ავადმყოფური შედეგი მოჰყვებოდა.

მივიღეთ ის, რომ აღმშენებლობის ნაცვლად, ისედაც ღონემიხდილი ქვეყანა, სულ მთლად მიწასთან გასწორდა. ტვინგახრწნილი საზოგადოება კი დაიყო კლანებად, სამძობებად, დაჯგუფებებად. და ასე გრძელდებოდა დიდი ხნით, არა თვეობით, არამედ წლებით.

\* \* \*

დღეს ამიტომაც მძულს იმ დეგრადირებული საზოგადოების ცქერა, რომლებიც ოთხმოცდაათიანი წლების საშინელ პერიოდში პარლამენტის ტრიბუნიდან ან სახელისუფლებო აივნებიდან გულგრილად ადევნებდნენ თვალს კორუფციის ჭაობში ჩაფლულ საქართველოს ნგრევასა და განადგურებას. ისინი ქვეყანაში დატრიალებული უმსგავსოებების აღმოსაფხვრელად არავითარ ქმედით ნაბიჯებს არ დგამდნენ. ის კი არა, ხედავდნენ რა განუკითხაობაც ტრიალებდა ქვეყანაში, მაგრამ ხმას არ იღებდნენ, რადგან სწორედ თავად იყვნენ იმ კორუმპირებული საქართველოს უმთავრესი შემოქმედნი.

რომ გეკითხათ, რატომ გაგვასწრო ბალტიისპირეთმა განვითარებაშიო, ამ ძალად პოლიტიკოსებს პასუხი უკვე გამზადებული ექნებოდათ, - იმათ რას ედრები, ბალტიისპირეთი ევროპაა და იქ სხვა ხალხი ცხოვრობსო.

მეც ვაღიარებ, დიახ, იქ სხვა ხალხი ცხოვრობს და აქედან გამომდინარე, ვერ დავიჯერებ იმას, რომ ბალტიისპირელ ნებისმიერ პარლამენტარს ან ხელისუფალს გაეძლო და გულგრილად ეცქირა საკუთარი ხალხის ისეთი ტანჯვისთვის, რასაც ოთხმოცდაათიანი წლებში მათი კოლეგა, მოღალატე ქართველი პარლამენტარები და

ხელისუფლების წარმომადგენლები უძლებდნენ.

## VI

### როცა ტვინში ვირუსებია

ნებისმიერი ქვეყნისა და ერისთვის არის პრობლემები, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებისა თუ თანამეგობრობის თანადგომის გარეშე ვერ გადაწყდება. ასევე არის ისეთი სახის საკითხები, რომელშიც ვერავითარი საერთაშორისო თანამეგობრობები ვერ ჩაერევინ და ვერ მოაგვარებენ თუ მისი გადაჭრის გზები ადგილზევე არ გამოიჩინა.

შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციებმა და წარმატებულმა ქვეყნებმა კორუფციასთან, ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან და ტერორისტებთან ბრძოლაში საკუთარი გამოცდილება გაგიზიარონ. ისინი აუცილებლად აგიხსნიან, გასწავლიან, მიგიითიებენ თუ ეფექტურად როგორ უნდა შეებრძოლო დამნაშავე ელემენტებს და როგორ უნდა მოახერხო მათი განეიტრალება. ასევე გასწავლიან, როგორ უნდა გახდეს ქვეყანა სამართლიანი და დემოკრატიული. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გასწავლიან ქვეყნისა და საზოგადოების სამართლიანად მართვას, მაგრამ, იგივე თანამეგობრობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გასწავლის კონკრეტული ადამიანების დავირუსებული გონების გაწმენდას. ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან გარეშე ძალების ჩარევით ეს დაავადება არ იკურნება. მას უფრო აქვე, საკუთარი რესურსებით უნდა შევებრძოლოთ.

წარმოდგენელია, ცივილიზებულმა ევროპამ თითოეული ადამიანის ტვინში ხელის ფათური და ახლებურად მომართვა დაიწყოს, რადგან ადამიანი მექანიკური საათი როდია, რომ მომართო, დაქოქო და მის ისრებს წინასწარ მოხაზულ წრეზე სიარული დააწყებინო.

ყველა ადამიანი შესაფერის გარემოში უნდა დაიბადოს, ინსტინქტებიდან აზროვნებაზე გადაერთოს, გაიზარდოს, განვითარდეს და ცივილიზებულად მოაზროვნე პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

ადამიანის მენტალურ განვითარებას და ყველაფერ იმას, რაც საღ აზროვნებასთან კავშირშია, პიროვნებისთვის უმეტესწილად ის გარე სამყარო აყალიბებს, რომელშიც მან შეგნებული თუ შეუგნებელი ცხოვრება გაატარა.

ადამიანს მთელი თავისი კარგი თუ ცუდი ცხოვრებისეული არსენალი გონებაში ელექტება და მისი იქიდან ამოშლა უკვე ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება.

მე არ მწამს ამგვარი ნათქვამის, რომ, თითქოს არიან საღ აზროვნებასმოკლებული ერები.

არავითარ შემთხვევაში, ასე არ გახლავთ.

შეიძლება საზოგადოების ერთი, თუნდაც უმეტესი ნაწილი იყოს დეგრადირებული, მაგრამ მთლიანად ერზე იგივეს თქმა ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია. უბრალოდ, როცა ნებისმიერ ერზე ვსაუბრობთ, ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ამ ერის აწმყო, წარსული და მის თავს დატეხილი ის ქართველები, რამაც ამ უბედურებების მომსწრე თაობების ცნობიერებას სამუდამოდ დალი დაასვა.

მძიმეა ამ თემაზე საუბარი, მაგრამ უფრო მძიმე მენტალური ავადმყოფობის გამო წარმოქმნილი შედეგებია.

დანაშაული არა მარტო ქურდობაა, არამედ ქურდული მენტალიტეტის მიმართ დადებითად განწყობა და თავყვანისცემაც რომ დანაშაულია, ეს ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ ახლა გაიგო.

შეიძლება ადამიანს თვითონ არ მოუპარავს, მაგრამ - „რა იცი, რაში დამჭირდეს!“ პრინციპით ქურდულ სამყაროს წარმომადგენლებთან შინაურულ ურთიერთობებში ყოფნა უზნეობასა და მედროვეობას რომ ნიშნავს, ეს ყველამ უნდა შეიგნოს.

კარგად მახსოვს, კომუნისტური ეპოქისა და ოთხმოცდაათიანი წლების ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი, როგორ ამაყოფდა კანონიერ ქურდებთან მეგობრობით. ეს სწორედ ის დეგრადირებული კატეგორია იყო, რომელსაც (თუ კორუმპირებულობას არ ჩავთვლით) თავად არასდროს არ მიუღია დაყაჩაღებაში მონაწილეობა, მაგრამ ქურდების სახით მმარცველთა ფულიან და ფაქტიურად ყოვლისშემძლე კატეგორიას დიდ სულიერ მეგობრად თვლიდა. ამის შედეგი იყო შენიღბული საზოგადოების მიერ მოწყობილი ლამაზი საღამოები, სადაც ქურდები, პროფესორები, მეცნიერები, გამგეები, დირექტორები და რა ვიცი, კიდევ ათასი მედროვე კაცუნები შამპანურის ფუჟერით ხელში ერთმანეთის ქლესურად ხვევნა-კოცნაში ტკბებოდნენ, დნებოდნენ და იწვოდნენ.

თუ ქლესობაზე მიდგა საქმე, მე არც ის მომწონს, ზოგიერთი ჩვენი მედროვე სამეგრელოში ჩასვლისას, მოსაჩვენებლად რომ ვითომ წაუმეგრულებს, კახეთში მოხვედრილი კი იქაური კილოთი ალალი, კახელი კაცის ყალბ იმიჯს რომ იქმნის, ხოლო მთაში ასული, იმ ადგილობრივ ადათ-წესებზე ლაპარაკობს აღტაცებული, ბარში ამ წესებს დაცინვით, რომ უყურებს.

ასეთი ქცევა იმიტომ არ მომწონს, რომ ამ დროს ადამიანი საკუთარ სახეს კარგავს. სახედაკარგული ადამიანი კი პირადი კეთილდღეობის მოსაპოვებლად ყველაფრის მკადრებელი და ნებისმიერ უსინდისობაზე წამსვლელია.

თუმცა, უმჯობესია, ისევ პროფესორებისა და ქურდების ძმადნაფიცობას დავუბრუნდეთ.

პროფესორი ნასწავლია, პროფესორი ჭკვიანია, პროფესორი გონიერია და ამავე დროს, პროფესორი მედროვეა. მან მშვენივრად იცის, რომ ის ქურდი, რომელსაც ადღეგრძელებს ავაზაკი და კაცის მკვლეელია, მაგრამ მერე რა მოხდა? მისთვის ეს კაცი ნამდვილი მეგობარია, რადგან ის ფულის ტომარაა, ის გაჩითულია, ის ბევრს იცნობს და მისი კარიერისთვის ნამდვილი მესიაა.

ასეთ ხალხთან მეგობრობა, თანაც ოჯახებით, მისწრებაა და აუცილებლად

პროფესორმა საკუთარ შვილს ქურდის შვილი უნდა მოანათლინოს ან პირიქით, ქურდის შვილს თავისი ნაგრამი გააქრისტიანებინოს.

საჭიროა დანათესავება და კიდევ უფრო დაახლოება.

მერე ამაყად შევა ეს პროფესორი ოჯახითურთ ეკლესიაში, აანთებს სანთელს, გადაიწერს პირჯვარს, მოსაჩვენებლად აიკანკალებს ნიკაპს, მინაბავს თვალეხს, გადმოყრის ცრემლებს (თითქოს ამით ღმერთს მოატყუებს) და ამ ცხოვრებისგან გაწამებული, მართალი კაცით უფალს თანადგომას შესთხოვს.

ძალიან ცუდია, რომ ეს გახრწნილი საზოგადოება არსადაც არ წასულა, დღესაც აქ არის და სულ თვალეხში მეჩრება.

მე არ მინდა ასეთი საზოგადოება და მძულს ამგვარი არაკაცების ყურება, რადგან, თუ ჩვენ ამჟამად რაიმე უსამართლობას ვაწყდებით, სწორედ ამ ყველა დროს მორგებული მოსიარულე გვამების გამო ხდება.

მამაჩემი პროფესორია, მამაჩემი დირექტორია, მამაჩემი გამგეა, მამაჩემი ქურდია, მამაჩემი ეს არის, მამაჩემი ის არის, ასე და ამგვარად, საკუთარი წარმატებული ოჯახებით ტრაბახი, მე მგონი, მხოლოდ საქართველოშია მისაღები.

შეიძლება ვინმემ თქვას, დღეს ვინც თავს იკატუნებს და უპერსპექტივოა, შანსი რომ ჰქონოდათ, ისინიც ასე იტრაბახებდნენ საკუთარი მამიკოებითო.

არ არის მართალი!

ჯერ ერთი, ყველა ასე ნამდვილად არ დაიწყებდა ბაქიბუქს, რადგან თავმდაბალი ხალხიც არიან ქვეყანაზე. და მეორეც, უხნეობა ის კი არ არის, ვილაცას შანსი რომ ჰქონოდა, რას გააკეთებდა, არამედ უხნეობად მე ის მიმაჩნია, ვინც ამჟამად მხოლოდ წარმატებული მამის სახელსაა ამოფარებული და ბრიყვულ ტრაბახში ხარჯავს საკუთარ ენერჯიას.

ამერიკაში, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში ან ამ ჩვენებური ქურდბაცაცა წურბელებისთვის სანაქებო შვეიცარიაში, ვინმემ რომ დაიტრაბახოს, მამაჩემი ქურდია ან მამაჩემი პროფესორია და მე, როგორც მის შვილს პრივილეგია უნდა მქონდესო, მერწმუნეთ, ასეთ პიროვნებას უეჭველად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებენ სერიოზული გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის.

ეს არის სულიერი ავადმყოფობისა და ადამიანის აზროვნებაში ჯანსაღი ელემენტების გარკვეული დეფიციტის ნათელი დასტური. კიდევ უამრავი მაგალითებია დეგრადირებული ადამიანების ცხოვრებიდან, მაგრამ ერთი მაგალითი, რომელიც განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს, რომ არ მოვიყვანოთ, არ შეიძლება. მაგალითად, ევროპის განვითარებულ და მშვიდ ქვეყნებში: დანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ნორვეგიაში, ფინეთში, ისლანდიაში და ჩვენგან უკვე მრავალჯერ ნახსენებ შვეიცარიაში ადამიანები უმეტესწილად ეძებენ სამსახურს, რათა პატიოსნად იმრომონ და შესაბამისი, მაღალი ანაზღაურებაც მიიღონ. ასეა საათივით აწყობილ, განვითარებულ და ჭკუადაძმადარ ევროპაში, მაგრამ სრულიად საპირისპიროდ დგას ამ მხრივ საქმე საქართველოში. თუ ევროპელი ადამიანი ხელისუფლებისგან ითხოვს და ნატრულობს პატიოსან სამსახურს, თავისი შესაბამისი ანაზღაურებით, ამ დროს ზოგიერთი ჩვენებურის ტვინში მუდმივად სულ სხვა

გაზაფხულია და აზრებიც შესაბამისად სულ სხვაგვარად უმწიფს.

- სხვა თუ ჭამს, მეც უნდა ვჭამო, სხვას თუ გამორჩენა აქვს, მეც მინდა გამორჩენა და სხვა თუ ხელს ითბობს, პატარაზე ხელი მეც უნდა მოვიტხო.

ასე აზროვნებს ჩვენი თანამემამულეების ერთი დიდი ნაწილი.

რა ლოგიკაა, მიხვდით?!

ესე იგი, სხვა იპარავს და რა მოხდა, მეც მოვიპაროო.

გამოდის, რომ ოცნებობენ განა ისეთ ქვეყანაზე, სადაც ყველა პატიოსნად შრომობს და შესაბამის ანაზღაურებასაც იღებს, არამედ მათი გონებრივი განვითარების არეალი პირად გამორჩენასა და ხელის მოთბობის იქეთ ვერა და ვერ წავიდა.

სხვა თუ იპარავს, მეც მოვიპარავო!

ადამიანო, სხვამ რომ თავი ჩამოიხრჩოს, არა მგონია, შენც იგივე გააკეთო, რადგან გიყვარს განცხრომით ცხოვრება და საკუთარ მძორადქცეულ სხეულს სამსხვერპლოზე არ მიიტან.

- სული?

- რა სული, მეც გეკითხები რა? სინამდვილეში, შენ ხომ ერთი მოკვდავი ათეისტი ხარ და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, გულის სიღრმეში არც სულის გწამს და არც ღმერთის. ოღონდ ამას ცოცხალი თავით არ ამხელ, რადგან უმეტესობა სარწმუნოების გზაზე დგას და შენც იქ გინდა იყო, შორიახლოს იტრიალო, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ვაიდა, იქნებ მართლა არსებობდეს ღმერთი?! შიგადაშიგ სწორედ ამ მიზნით დადიხარ ეკლესიაში, სხვას შენი ტვინი ვერაფერს ვერ ხარშავს და ვერც სწვდება. მნელია ამ ფარისევლების ყურება და გაძლება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყალბი მოწიწებით ეკლესიის კედელთან ატუზულებს ვხედავ. მათ ხელის მტევნის მოძრაობა მართლაც საოცრად აქვთ დამუშავებული, რათა პირჯვარი დამაჯერებლად გადაიწერონ და ადამიანების თვალში საკუთარი თავი ღრმადმორწმუნედ წარმოაჩინონ.

მამაოები და დედაოები კი ჰყავთ, მაგრამ ამასაც უფრო მოდისთვის აკეთებენ, ვინაიდან, რასაც ღვთისმსახურები მოითხოვენ, ყველაფერი მხოლოდ ტაძრის ეზომდე ახსოვთ და ეკლესიიდან გამოსულები კი უკვე ჩვეულებრივი, ამქვეყნიური მედროვე არამზადები ხდებიან.

მარხვის ჟამს მარხულობენ, მაგრამ ეს დიეტა უფროა, ვიდრე სულის გამოსაცდელი მძიმე მარხვა.

სამარხვო ტორტი, სამარხვო ნაპოლეონი, სამარხვო შოკოლადი – ეს მათი მოგონილია და არავის არ სჭირდება. ვინც იცის, რას ნიშნავს და რა არის მარხვის ჭეშმარიტი არსი, ის არ შემედავება. სხვათა მოსაჩვენებლად სიგარეტის კვამლით გაჭვარტლული ფილტვებით, სამარხვო ტორტებით, ნაპოლეონებითა და შოკოლადებით ასეთი სახის მარხვას, ჯობია, სულ არ იმარხულო და ისედაც ათასი ცოდვით დამძიმებული სული, კიდევ უფრო არ დაიმძიმო.



## ერთი ქალის თეატრი და რა არ მოსწონთ რუსებს?

მოკლე განმარტებით, პოლიტიკა რეალობაში ფასეულობების ძალისმიერად დამკვიდრებასაც ნიშნავს. საქართველოში შექმნილ სიტუაციას თუ ამ ჭრილში გადავავლებთ თვალს, მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს ნაწვიმარზე სოკოებივით ამოსული და აღმოცენებული პარტიები ასე თავგამოდებით, რომ იბრძვიან ძალაუფლების მოსაპოვებლად. საქართველოში არსებული პარტიები მაინც და მაინც დიდი ფასეულობებით რომ არ გამოირჩევიან, იქიდანაც მშვენივრად ჩანს, საქართველოს აპოლიტიკურად განწყობილი მოსახლეობის უმეტესობამ ნაციონალური მოძრაობის გარდა, შეიძლება კიდევ ოთხი ან მაქსიმუმ ხუთი პარტიის სრული დასახელება იცოდეს. და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც, მე მგონი ასზე მეტი პოლიტიკური პარტია თუ გაერთიანებაა დარეგისტრირებული.

ფასეულობების არქონა, იდეოლოგიის არქონას ნიშნავს და ცხადია, ამის შემდეგ პარტიის რეიტინგის საქმეც წასულია ხელიდან.

რეიტინგი რეიტინგად, მაგრამ თავად პოლიტიკურ პარტიებშიც რომ არ არის ჯანსაღი სიტუაცია, ეს გახლავთ ყველაზე ცუდი. თუმცა, რა ჯანსაღ ატმოსფეროსა და რეიტინგებზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც ბევრ პოლიტიკურ პარტიას საკუთარი მტკიცე იდეოლოგიაც კი არ გააჩნია და ამ პარტიების წევრებმა ისიც კი არ იციან მემარცხენეები არიან, მემარჯვენეები თუ ცენტრისტულ-ლიბერალურ ძალას წარმოადგენენ. მათი პოლიტიკური ხედვა მხოლოდ ორასკაციანი აქციების ორგანიზებითა და სახელისუფლებო სტრუქტურების დაუღალავი კრიტიკით შემოიფარგლება. იდეოლოგია კი ისეთი რამ გახლავთ, რომ შენ უნდა დაანახვო საზოგადოებას ის, რასაც აქამდე ვერ ხედავდა და ამასთან ერთად, უნდა დაარწმუნო ქვეყანაში საკუთარი პოლიტიკური ხედვის განხორციელების აუცილებლობაში. ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდი უბედურებაც ეგ არის, რომ პარტიული იდეოლოგია არა მარტო საზოგადოებამ, არამედ თავად პარტიის აქტიურმა წევრებმაც კი არ იციან, რაც პოლიტიკური პარტიების ნამეტან დაბალ დონეზე მიუთითებს. ჩვენთან პარტიების პოლიტიკური აქტივობა მხოლოდ სამიტინგოდ ხალხის შეგროვებაში გამოიხატება, ხოლო კითხვაზე – რატომ უნდა მივიდეს ხალხი ამ მიტინგზე? ლიდერთა პასუხი უკვე წინასწარ ცნობილია – საქართველო უნდა გადავარჩინოთ! ხელისუფლება შესაცვლელია! ხელისუფლება მოსაშორებელია! -კი, მაგრამ სად ჩანს აქ პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის გარშემოც უნდა დაირაზმოს ხალხი და ეგრეთწოდებულ ლიდერებს გვერდში ამოუდგეს? არაფერი მსგავსი, ამ მხრივ სრული გაურკვევლობა და ქაოსი სუფევს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.

თუ მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგია მხოლოდ ველური გზით ხელისუფლების დამხობა და საკუთარი ძალებით მათი ჩანაცვლება ყოფილა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ოპოზიციურ სპექტრში პოლიტიკური კულტურა არა დაბალ დონეზე, არამედ საერთოდ არ ყოფილა და ეგ არის.

პოლიტიკური პარტიების ლიდერების მიერ ათრთოლებული ხმით გაკეთებული ასეთი სახის განცხადებები - „ეს ასე არ უნდა იყოს!“ „ჩვენ ამ გზით არ უნდა მივდიოდეთ!“ და „ამ შემთხვევაში ასე არ უნდა მოვექცეულიყავით!“ საზოგადოებაში რაღაც სიცარიელისა და გაურკვევლობის შეგრძნებას ტოვებს.

დიახ, ასეთი პოლიტიკოსების გადამკიდვე საზოგადოება სწორედაც რომ გაურკვევლობაში და უიმედობაში ვარდება. ზოგი ნიჰილიზმსაც ახსენებს. შეიძლება, რაღაც დოზით ასეც არის, მაგრამ მე მაინც ვხედავ, რომ პოლიტიკოსებისგან განსხვავებით ჩვენი საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მცირე, თუმცა ერთი პოლიტიკური ნაბიჯი წინ უკვე გადადგა.

ეს ჯერჯერობით არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური კულტურის ათვისების მხრივ ყველაფერი იდეალურადაა. უბრალოდ, კარგად ჩანს, რომ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი პროგრესი აშკარაა.

ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, გამოდის ველური იდეების ტყვეობიდან და სიტყვები – დამხობა, გადატრიალება, ჩამოგდება, შევარდნა და ასეთი რადიკალური გამოხტომები მასზე დადებით ეფექტს აღარ ახდენს.

რა გახდა ამის მიზეზი, თავად ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა უსუსურობა თუ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის თვითშეგნებაში ახალი ეტაპის დაწყება? რაღაც გარკვეული დოზით, ალბათ ერთიც და მეორეც.

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ორივე ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ასეა თუ ისე, დღეს ხალხი ვიღაცის ხელის ერთ აქნევაზე ქუჩაში აღარ გარბის და ისე აღარ მჩატდება, როგორც ეს წლების წინ იყო.

არ ვიცი, რასაც გნებავთ იმას დააბრალოთ, გნებავთ შიშს, გნებავთ ნიჰილიზმს და გნებავთ თვითშეგნების ამაღლებას.

მე უბრალოდ ვამბობ იმას, რასაც ვხედავ.

ხოლო ვხედავ იმას, რაც ფაქტია.

ფაქტი კი ის არის, რომ 2011 წლის გაზაფხულზე ხალხის მასების ასაგდებად და მხოლოდ პირადი მიზნების განსახორციელებლად რამდენი იწვალა, რამდენი იბაქიბუქა და რამდენი იფხორა რადიკალური ოპოზიციის ერთმა ფრთამ, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ ის ფანდები, რომლითაც ადრე საზოგადოება შეცდომაში შეჰყავდათ, დღეს სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

ისინი დროში გაიჭედნენ.

ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ერთი ქალის მიერ შესრულებულ საგაზაფხულო სპექტაკლს არა მარტო ხალხმა, არამედ პოლიტიკურმა პარტიებმაც კი ზურგი აქციეს.

და ისინი, ვინც ამ აქციებში იღებდნენ მონაწილეობას, მხოლოდ საკუთარი მკვდარი პოლიტიკური კარიერის გასაცოცხლებლად მებრძოლი გვამები იყვნენ.

ამ რამდენიმე გვამადექცეული მოპოლიტიკოსო ელემენტის ტრიბუნასთან კეკლუცობა, კიდევ ერთ მიზანს ემსახურებოდა, როგორმე საზოგადოებისთვის

შეხსენებინათ, რომ ისინი პოლიტიკაში არიან, იღწვიან, იბრძვიან და ოფლს საქართველოს ნათელი მომავლისთვის ღვრიან.

ასე და ამგვარად, ერთი მსახიობი ქალის პოლიტიკური ამბიციების გამო, ვილაცამ შეიძლება საკუთარი სისხლიც გაიღოს, მაშინ, როცა ამ მოლალატე ქალსა და მის გარემოცვის წევრებს პირადი ცხოვრებისა და კარიერის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, თავისი ბინძური ოფლის გამოდენაც კი დიდ საქმედ მიაჩნიათ. რეჟისორები, სპონსორები და გულშემატკივრები კი მრავლად ჰყავდათ ჩრდილოეთში, რადგან ყველა ეს იდეა, ჩანაფიქრი, ფინანსები, სცენარი ერთ წერტილში მიდიოდა და იყრიდა თავს.

საბოლოო მიზანი კი საქართველოს რუსულ გავლენაში მოქცევა იყო, რომლის განხორციელებაც საქართველოს ხელისუფლების დამხობის გარეშე ვერ მოხდებოდა. ამიტომაც, კრემლიდან გაიცა დირექტივები, რომლის შესრულებაც ერთი ქალის თეატრის უნიჭო მსახიობს დაევალა.

\* \* \*

დღეს ბევრი ამბობს, რომ რუსეთს სძულს სააკაშვილი და ჩვენც ამდენი პრობლემა ამის გამო გვექმნებაო. თავად ლამის ისტერიკამდე მისული რუსებიც დაუფარავად აცხადებენ, - ჩვენ სააკაშვილს არ დაველაპარაკებით, საქართველოს ხელისუფლებასთან მხოლოდ მაშინ დავსხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან, როცა საქართველოში სხვა, ჰუმანარტად დემოკრატიული მთავრობა მოვაო.

ყველაფერი დღესავით ნათელია, ზოგიერთი ჩვენი სამარცხვინოდ ჩამოქვეითებული პოლიტიკოს-პოეტისა არ იყოს, რუსებიც რა საყვარლად მიამიტები ჩანან გაზეთებში და პოლიტიკური განცხადებების გაკეთების დროს.

საკაშვილი გვძულს და მას არ დაველაპარაკებითო, - ამტკიცებენ ისინი.

და თქვენ გჯერათ, რომ რუსებს მაინც და მაინც სააკაშვილზე აქვთ ასეთი გართულება?

მე დავაკონკრეტებ და ასე ვიტყვი, - რუსებს სააკაშვილი კი არ ეზიზღებათ, რუსებს საქართველოს მიერ ევრო-ამერიკისკენ აღებული სრული კურსი არ მოსწონთ და გულს უხეთქავთ.

თორემ ხვალ, რომ მოხდეს სასწაული და სააკაშვილმა განაცხადოს, რა ევროპა და რის ევროკავშირი, რა ამერიკა და რის ნატო, ჩვენ საკუთარი ქვეყნის გასამთლიანებლად ისევ ერთმორწმუნე რუსეთის წიაღში უნდა დავბრუნდეთო, მერწმუნეთ, რუსეთზე დიდი მოსიყვარულე მხარდამჭერი და მეგობარი სააკაშვილს არ ეყოლება.

მერე უკვე აღარც რუსეთის მისამართით გამოთქმული მკვახე განცხადებები გაახსენდებათ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს და აღარც სააკაშვილის პიროვნება

იქნება მათთვის ისეთი მიუღებელი, როგორც ახლაა.

აქედან დასკვნა: ვინც არ უნდა იყოს სააკაშვილის ადგილზე, რუსებისთვის ნებისმიერი დასავლური ორიენტაციის მქონე პიროვნება, მიუღებელი და ზიზღის მომტანი იქნება.

უნდა შევეგუოთ, რომ რუსებისთვის საფრთხის მომტანი საქართველოს მიერ ევროპისკენ გადადგმული ნაბიჯებია, თორემ პიროვნულად ვინ იქნება ჩვენი ქვეყნის სათავეში, ამას კრემლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არა აქვს. რუსებს რაც უნდათ, იმის ხმამაღლა დაფიქსირებას არც ერიდებიან, მაგრამ რა სურს და რა სჭირდება საქართველოს, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ეს გახლავთ და არა რუსების მიერ კრემლში შეთხზული ისეთი ზღაპრები, რომლისაც თავად ჩრდილოეთშიც რომ აღარ სჯერათ.

რუსეთის გეგმა ნათელია, ყველანაირად შეეწინააღმდეგონ და პრობლემები შეუქმნან საქართველოს ევროპულ და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას.

ეს ყველამ ვიცით და ამას ახსნა-განმარტება აღარ სჭირდება, მაგრამ ჩვენი დღევანდელი პრობლემა მარტო რუსეთი და რუსები რომ არ არიან, ამას თუ ვხვდებით, უმთავრესი, აი, ეგ არის.

ჩვენ ნუ ვეძებთ მტრებს რუსეთში და საერთოდ, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ჩვენი მტრები არიან აქ, ჩვენთან ახლოს და ჩვენს გვერდით.

ვერავითარი რუსეთი, ვერავითარი გარეშე მტრები ვერას დაგვაკლებდნენ, მათ დასაყრდენი საქართველოში რომ არ ჰქონდეთ და აქ გაპარპაშებული, შინაური მოღალატეების იმედზე რომ არ იყვნენ.

მე მძულს საქართველოს ამაოხრებელი რუსეთი, მაგრამ სწორედ გამიგეთ, ამაზე უფრო მეტად რუსების ჩექმის მლოკველი და ოკუპანტების დაკრულზე აცანცარებული ქართველობა მეზიზღება.

თუ გვინდა მშვიდობა, თუ გვინდა ქვეყნის ძლიერება, განვითარება და მომავალი, მაშინ აქ ჩარჩენილ მოღალატეებს უნდა გამოვუცხადოთ სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა.

ახლა, ვიღაცეები შემახსენებენ, - დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვაო! იცით, რას გეტყვით?

დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა ძალიან კარგია, ოღონდ გასათვალისწინებელია, ვისთან და რა დროს?

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დემოკრატია ხალხის მმართველობას, ანუ კანონს ნიშნავს, მაშინ არ არის გამორიცხული, სწორედ ჩვენივე ხალხის კანონიერი მოთხოვნების საფუძველზე, მათივე ხელით, სახელითა და ძალით ჩაგვახუტონ ბევრისთვის ჯერ კიდევ „დედა რუსეთს“ და მთლიანად ქართულ სახელმწიფოს კი პოლიტიკურად „ბომჟი“ ქვეყნების გვერდით სამუდამოდ დაუმკვიდრონ სამარცხვინო ადგილი.

ასე დაემართება ყველას, ვინც პოსტსაბჭოთა სივრცეში, რუსულ-კომუნისტური იდეოლოგიით ტვინგამოლაყებულ ხალხთან დემოკრატიულობანას თამაშს დაიწყებს. არსებობს საფრთხე და თანაც, საკმაოდ სერიოზული.

ჰოდა, ამ დროს რაში მჭირდება დემოკრატიული ლოზუნგების ჰაერში ფრიალი ან ამგვარი მოლაღატე ადამიანების უფლებების დაცვა, როცა მართლაც არ არის გამორიცხული, ასეთმა სისხლგადასხმულმა მედროვეებმა ჩემი ქვეყანა ისევ პრივილეგიებულ ფენებად დაჰყონ, რუსულ ორბიტაზე დააბრუნონ, კრიმინალების სათარეშო არენად აქციონ და ქართული მიწა რუსებს სამხედრო პოლიგონად დაუკანონონ.

აქედან კი რაღაც განახლებული ფორმით საბჭოთა კავშირის აღდგენამდე ორიოდ ნაბიჯი იქნება დარჩენილი.

- ეს გინდათ?

მე ამ გზით წასვლის არავითარი სურვილი არ მაქვს და ამიტომაც ვამბობ, საქართველო გასაწმენდია ასეთი მოლაღატე, მავნე ელემენტებისაგან, რომლებიც ბაქტერიებივით არიან მოდებული ქართველ საზოგადოებაში.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვერ მივალწევთ მიზანს თუ წავუყრუეთ, მოვდუნდით და ვიქენით ლოიალურები.

დუმილის და ხელის დაფარების დრო აღარ არის, ახლა მოქმედებაა საჭირო.

სადაც ვიწროა, იქ უნდა გაწყდეს, რათა რამდენიმე მოლაღატის ბინძურმა სისხლმა მთელი ქვეყანა არ დაგვიავადმყოფოს და გადაგვიგვაროს.

თუ შინაურ მტრებს გამოვავლენთ და სამაგალითოდ გავუსწორდებით, მერე საქართველოში აღარც დასაყრდენმონგრეული რუსეთი იქნება საფრთხე და აღარც ნიღბოსნების ყურება შეიქმნება ასეთი გულისამრევი, როგორც ახლაა.

ამის შემდეგ კი უკვე თავისუფლად შეგვეძლება დემოკრატიისა და ადამიანურად მოაზროვნე პიროვნებების უფლებების დასაცავად ქმედითი, ჯანსაღი ნაბიჯების გადადგმა.

## VIII

### ლუდმილა გურჩენკოდან შერონ სტოუნამდე

დღეს, როდესაც ასე ახლოს ვართ ევროპულ ინტეგრაციასთან, ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან და ჩვენი ქვეყნის დასავლურ ორბიტაზე გაჭრასთან, საქართველო რის საქართველო იქნებოდა, პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოზრდილ ობობებს შხამიანი ქსელი არ გაებათ მთელი ქვეყნის შიგ გასახლართად.

გესლი და შხამი მოდის ამ მავნებლების ბაგეებიდან, რომლებიც ევროპის, ამერიკის და ნატოს ხსენებაზე გონებადაბინდულნი ლამის კრუნჩხვებში ვარდებიან და მოსასულიერებლები ხდებიან.

რომ ჰკითხოთ, - ამიხსენით კონკრეტულად, რა დაგიშავათ ნატომ, ევროპამ და ამერიკამო, გგონიათ რაიმე ჩამოყალიბებულ და არგუმენტირებულ პასუხს მოისმენთ?

უფრო ზუსტად, ვერაფერსაც ვერ მოისმენთ, გარდა იმისა, რომ თურმე ჩვენ კავკასიელები ვართ და რუსებთან ჭიდილი არაფერს გვარგებს, რუსებთან კარგად ვცხოვრობდით, ერთი ოჯახივით ვიყავით, ერთმორწმუნე რუსეთი ჩვენთვის მეგობარი უნდა იყოს და მისი დაკარგვა არ შეიძლება.

- ადამიანო, მე ამერიკაზე, ევროპაზე და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსზე გეკითხები, საქართველოსთვის კარგის მეტი რა გაუკეთებიათ და რატომ გპულთ – მეთქი, თქვენ კი ისევ რუსებზე მეჭიკჭიკებით.

პასუხი თითქმის იგივეა, აბდაუბდა და გაუაზრებელი.

გამოდის, რომ კაცს ეკითხები, - რომელი საათია? და ის გპასუხობს, - ხვალ ცუდი ამინდი იქნებაო.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ავადმყოფობასთან, რადგან ესენი შიშით უყურებენ და ვერ ეგუებიან ახალს, თანამედროვეს და თუნდაც, უფრო უკეთეს საზოგადოებას. მათ ისევ ძველი, ათასჯერ გადათელილი, როგორც იტყვიან, თუნდაც უკვე ყელში ამოსული ურჩევნიათ.

ეს არ გახლავთ კონსერვატიზმი, ეს უფრო ქსენოფობიაა, ვინაიდან შიშსა და აგრესიას აფრქვევენ ყოველივე ახლის მიმართ.

ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოში ენდი გარსია და შერონ სტოუნი იმყოფებოდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ამ მსახიობების ყველა ფილმი გადაღებული მანქანა და ჩემი კუმირები არიან – მეთქი, მაგრამ გამეხარდა, მართლაც ძალიან გამეხარდა და მემამყებოდა კიდევ ჰოლივუდელების ჩემს ქვეყანაში და ქალაქში ყოფნა. გამოგიტყდებით და ამერიკელი მსახიობების ეს სტუმრობა არასოდეს დამავიწყდება.

თუმცა, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, არც ის წუთები დამავიწყდება, როგორ ვუხსნიდი ამერიკელ ვარსკვლავთა სტუმრობით დაბოლმელ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს, რომ დღეს სხვა დროა, სხვა გამოწვევებია და უნდა შეეგუოთ ამერიკელთა ხშირ ვიზიტებს საქართველოში. ადრე თუ ლუდმილა გურჩენკო დაანდრეი მირონოვი გვსტუმრობდნენ, დღეს შერონ სტოუნი და ენდი გარსია გვაფასებენ და ჩამოდიან – მეთქი.

ეს არის პროგრესი, ეს არის წინსვლა და განვითარება.

მაგრამ არა და არა, ძველ დროში უშნოდ ჩარჩენილები ასე არ ფიქრობენ.

ასეთი დეგრადირებული საზოგადოებისთვის პროგრესიცა და წინსვლაც მხოლოდ რუსეთია, ის რუსეთი, რომელიც, მე მგონი, ამ ბოლო დროს თავად რუსებზე მეტად ზოგიერთ სულით ავადმყოფ ქართველს უფრო უყვარს.

სწორედ ეს მათებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან მაცოფებს კიდევ.

რუსეთმა დაგვბომბა, ტერიტორიები წაგვართვა, ასიათასობით ჩვენი

თანამემამულე სიცოცხლეს გამოასალმა, ოკუპირებული რეგიონებიდან

გამომეევებული მოსახლეობა დევნილებად გვიქცია და გეკითხებით, - კიდევ რა უნდა

გავგიკეთოს რუსეთმა, რომ ქართველმა რუსოფილებმა დაინახონ, გაიზრონ და

აღიარონ ყოველივე ეს?

ეს რუსეთი, რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და კიდევ ამდენი უბედურების ნიაღვარს გზავნის საქართველოში, ზოგიერთი ტვინნაღრმობი ქართველის მტკიცებით, თურმე კარგი მეგობარია, არ უნდა დავკარგოთ, რადგან ერთმორწმუნე მართლმადიდებლობა გვაკავშირებს.

რუსები მართლმადიდებლები რომ არიან, იმიტომ ვერ აგვაწიოკეს და დაგვარბიეს? რუსის რომელიმე სახელმწიფო ჩინოვნიკს, გენერალს ან ნებისმიერ სამხედროს ოდესმე ხელი აჰკანკალებია და მოსვენება დაუკარგავს იმაზე ფიქრში, ამას რას ჩავდივართ ერთმორწმუნე მართლმადიდებელი ქართველი ერის წინააღმდეგო? მე ასეთ რამეს ვერ ვიხსენებ. პირიქით, აგრესიას აგრესია და მუქარას მორიგი მუქარა ცვლის.

ამ დავირუსებული ტვინით უკუღმა მოაზროვნეთა მტკიცებით, გამოდის რომ ჩვენი ამაოხრებელი რუსეთი ანგელოზია, ხოლო ევროპა-ამერიკა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს განუყოფელ ნაწილად რომ მიიჩნევენ და არასდროს აღიარებენ მათ დამოუკიდებლობას, ცუდები ყოფილან.

უკვე 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, მეცნიერება და მედიცინა რას აღარ იგონებს, რა აღმოჩენებს აღარ აკეთებს და ერთი ისეთი ვაქცინის შექმნა რა გახდა, რომელიც ადამიანის დასნეულებულ ტვინს ამ რუსულ-კომუნისტური ვირუსისგან ერთხელ და სამუდამოდ გაწმინდავს.

## IX

### დარწმუნებული ვარ

დღეს უამრავი კვლევები თუ სოციოლოგიური გამოკითხვები ტარდება, რომლებსაც ქართული და უცხოური ორგანიზაციები ატარებენ. მათ ძირითადად აქაური სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა აინტერესებთ და გასაგებია, რომ შეკითხვებიც ამ სფეროდან მოდის.

ზოგს სჯერა მსგავსი გამოკითხვების სამართლიანობის, ზოგს არ სჯერა, ზოგი კმაყოფილია, ზოგიც უკმაყოფილო. ეს ბუნებრივი მოვლენაა და ყველა კმაყოფილი რომ ვერ იქნება, ამას წინდაწინ უნდა შევეგუოთ.

ახლა არ მსურს იმაზე საუბარი თუ კონკრეტულად როგორი გამოკითხვები ტარდება საქართველოში და რამდენად სამართლიანი გახლავთ დაფიქსირებული შედეგები. არ მსურს, რამდენადაც ამ გამოკითხვების შესახებ არც რაიმე სახის ამომწურავ ინფორმაციას ვფლობ, არც ამ წიგნში მაქვს ამის ადგილი და ბოლო-ბოლო, არც არანაირი სურვილი არ გამაჩნია წარსულის კვლევებში ბორიალით გული

გავიწვრილო.

წარსული წარსულად, მაგრამ მე უფრო, როგორც დღევანდელიობაზე, ისე მომავალზე ორიენტირებული ადამიანი ვარ და მაინტერესებს, რა იქნება ხვალ, ზეგ, ან სულაც რამდენიმე წლის შემდეგ. ძალიან მინდა ვიცოდე ჩემთვის საინტერესო თემებზე რას ფიქრობენ ჩემი თანამემამულენი და როგორი საქართველოს დატოვება სურთ მომავალი თაობებისთვის?

თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ძალიან ხშირად მიფიქრია ამგვარი გამოკითხვის ჩატარების შესახებ.

მაგალითად, - ემხრობით თუ არა საბჭოთა კავშირის აღდგენას და საქართველოს ამ კავშირში გაწევრიანების იდეას?

წინასწარ ვიტყვი, რომ ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში, საბჭოთა კავშირი არ აღსდგება და მითუმეტეს, საქართველოს ადგილი იქ აღარ იქნება.

მე არავის ემოციებზე არ ვთამაშობ და არც მიყვარს ვინმეს გამოსაცდელად ალოგიკური შეკითხვების დასმა.

ვიცი, საბჭოეთი აღარ განმეორდება, მაგრამ მე ერთი ინტერესი მაქვს. კერძოდ, მსურს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრი გავიგო ამ შეკითხვაზე.

მე კი ვგრძნობ მოსახლეობის უმრავლესობის აზრი რაც იქნება, მაგრამ...

მოდით, დავიწყოთ იქიდან, რომ ასეთი შინაარსის შეკითხვა, ამგვარი პირდაპირი და მკაფიო სახით დიდ ტანჯვა-წამება გამოვლილ ერს არ უნდა დაუსვა.

- ემხრობით საბჭოთა კავშირის აღდგენას? და მითუმეტეს, ამ კავშირში საქართველოს გაწევრიანება დღეს რესპოდენტის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს და კარგად გათვლილი შეკითხვა ნამდვილად არ არის, რადგან შეიძლება ვინმეს მოულოდნელად 1989 წლის 9 აპრილი, ან რომელიმე პატრიოტული ლექსი, ან სულაც მედროვის კოხტად მორგებული ნილაბი გაახსენდეს და გული სათანადოდ აღარ გადაგიშალოთ.

აქედან გამომდინარე, შეკითხვა გარეგნულად უნდა შეიცვალოს, შეიფუთოს ლამაზად კოხტა ქაღალდში, ისე, როგორც ვინმესთვის შესასაღებლად უხარისხო პროდუქტს რომ ფუთავენ ხოლმე.

აი, მაგალითად, საბჭოთა კავშირი შეგიძლიათ შეგნებულად არ ახსენოთ და მდიდარი ქართული ლექსიკონიდან სხვა სიტყვები გამოიყენოთ, თუმცა, შინაარსი აუცილებლად უცვლელი სახით უნდა დარჩეს.

კითხვაში დაახლოებით ეს აზრი უნდა იყოს ჩადებული, რომ რას იტყვით ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ რუსეთთან ძველი, მეგობრული ურთიერთობების აღდგენაზე? შემდეგ აუცილებლად უნდა ახსენოთ ყველა ქართველისთვის ტკივილადქცეული აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩვენი ძირძველი მიწა-წყალი, სადაც ყველანი ერთად მეგობრულად ვშრომობდით და ვცხოვრობდით. შეგიძლიათ აქ ეროვნებებიც ჩამოთვალოთ: ქართველი, აფხაზი, ოსი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და კიდევ ბევრნი და ბევრნი. სიტუაციის დრამატიზირების მიზნით აუცილებელია სოროსისა და მისი „გამოზრდილების“ ხსენებაც, რადგან პოსტსაბჭოთა სივრცეში გამოზრმედილი საზოგადოებისთვის ნებისმიერი



ამერიკელი მილიარდერის ხსენება ანტიპატიას იწვევს, ეს კი მასების მოსაზიდად მშვენიერი იარაღია.

თუ რატომ სძულთ საბჭოური მენტალიტეტით დასნეულებულ ადამიანებს ამერიკელი მილიარდერები, ამას ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ.

ცივილიზებულ დასავლეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ასეთი შინაარსის ლოზუნგი, - არ იყვნენ ღარიბები!

საბჭოთა წყობიდან გამოსულ, ბოლშევიკურად მოაზროვნე ადამიანებში კი შემდეგი ლოზუნგია მისაღები, - არ იყვნენ მდიდრები!

ალბათ ყოველივე იმდენად ცხადია, რომ კომენტარი აღარაა საჭირო.

მაშ, შეკითხვისათვის ჩონჩხი უკვე ჩამოყალიბებულია, დარჩა ბოლო ნაწილი, რომელმაც რესპოდენტს ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეუქმნას, რომ თითქოს საშვილიშვილო არჩევანს აკეთებს ცუდსა და კარგს, ბოროტსა და კეთილს შორის.

ამ მიზეზით შეკითხვა ასე უნდა დაასრულოთ – და თქვენ რომელი გნებავთ, ეს დაქუცმაცებული და დანგრეული ქვეყანა, რომელიც ევროპასაც და ამერიკასაც საერთოდ არ ადარდებს თუ ერთმორწმუნე რუსეთთან ძმურ კავშირში მყოფი ძლიერი, განვითარებული, გალაღებული, აღმავლობის გზაზე შემდგარი,

ტერიტორიებდაბრუნებული და ერთიანი საქართველო?

თავს დავდებ, შეკითხვის ასეთი სახით დასმის შემდეგ, საქართველოს

მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის პასუხი იქნება – რუსეთი!

დარწმუნებული ვარ, ტვინგახრწნილ რუსოფილებთან ერთად, პასუხის რუსულ ვარიანტს აირჩევს იმ ადამიანების უმეტესი ნაწილიც კი ვინც 1989 წლის 9 აპრილს ქართველი ერისთვის უდიდესი ტრაგედიის დროს რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა და ჩვენი ქვეყნის რუსი დამპყრობლებისგან სამუდამოდ

გათავისუფლებაზე ოცნებობდა. ვფიქრობ, ამ ვარიანტისკენ გადაიხრებიან ჩვენი ვითომ შეგნებული საზოგადოების ის მიყუჩებული წარმომადგენლებიც, რომლებსაც, მიუხედავად საბჭოთა კავშირიდან გამოვლილი ქვა-ღორღიანი გზისა, თითქოს არ

ემჩნევათ რუსული ვირუსით დასნეულება და მათ ტვინს ეს ბაქტერიები მძიმე ფორმებში არ აწუხებს, მაგრამ, ყოველივე ერთი შეხედვით ჩანს ასე. სინამდვილეში კი დამიჯერეთ, ეს ხალხიც თვალზე მომდგარი სიამაყის ცრემლის თანხლებით,

პატრიოტული სიმღერების ფონზე, სულ სა-ქარ-თვე-ლო, სა-ქარ-თვე-ლო-ს ძახილით, ისე გაჰყვება რუსულ დინებას, რომ უკან ერთხელაც არ მოიხედება.

აქედან დასკვნა, ბჭყვრიალა ქალაქში ლამაზად შეფუთული, თუნდაც

უხარისხო პროდუქტით, ძალიან ადვილია იმ ერის გაბრუება, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოსულა ბინძურ საბჭოთა მენტალიტეტიდან.

## მოდი და დაარქვი ამას ექსპერტი

საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სუბიექტად აღიარება, ეს იგივეა, მშობელმა თავისი შვილის სამუდამოდ გასხვისებაზე ხელი რომ მოაწეროს, ან ადამიანმა საკუთარი სხეულის რომელიმე ნაწილი გაყიდოს.

მამუკა არემიძისგან წამოსული გაუგებარი იდეა მაქვს მხედველობაში, კავკასიის საკითხებში ექსპერტადწოდებული ადამიანი აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე რომ ალაპარაკდა.

მე ამჯერად ის კი არ მაინტერესებს, რა სახის დისკუსიები წავა არემიძის ამ ნათქვამზე, არამედ ის უფრო მაღელვებს, რაში დასჭირდა ამ კაცს ამის თქმა და შევარდნაძის გარდა, კიდევ ვინ და რა ძალები დგანან მის უკან?

იმ შემთხვევაში, თუ არემიძის უკან არავითარი სერიოზული ძალები არ დგანან და მხოლოდ საკუთარ აზრებს ახმოვანებს, მაშინ საქმე დემაგოგიაში გადავარდნილ, ცრუ იდეებით შეპყრობილ პიროვნებასთან გვექონია, რომელსაც განსაკუთრებით ერთი ლამაზი ზღაპრისა სჯერა.

მაგალითად, თუ ჩვენ აფხაზეთს დამოუკიდებელ ქვეყნად ვაღიარებთ, ამ ჰუმანური ნაბიჯით ისე მოვულობთ გულს ყველას და ყველაფერს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ აფხაზეთი საკუთარ დამოუკიდებლობის აქტს კრემლის ჩინოვნიკებს სულ ნაკუწ-ნაკუწ გადაახევენ თავზე და აქეთ შეგვეხვეწებიან, თქვენ ეს რა კარგი ხალხი ყოფილხართ, ნეტავ აქამდე სად ვიყავით, ახლავე ისევ დაგვაბრუნეთ საქართველოს შემადგენლობაშიო.

ეს არის ყოველგვარ რეალობას მოკლებული ხედვა!

არემიძემ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს საზრუნავი არ გახლავთ აფხაზი და ოსი ხალხისთვის პოლიტიკური მახის დაგება და მოტყუებით მათი მოთაფვლა. ჩვენ ეს არ გვჭირდება.

საქართველოს საზრუნავი არ გახლავთ კრემლის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ქართველი დევნილების დაბრუნება და მათი რუსულ ხორცსაკვებ მანქანაში ჩაყრა.

საქართველოს საზრუნავი ამჯერად ერთადერთი რამ არის – საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე, სადაც ჯერ ქართული პოლიცია უნდა შევიდეს, აღდგეს კონსტიტუციური წესრიგი, გავრცელდეს ქართული იურისდიქცია და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ქართველი დევნილების საკუთარ კარ-მიდამოში უსაფრთხოდ დაბრუნება. მერე კი უკვე ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ჩახუტებასაც არაფერი დაუდგება წინ. თორემ იმ ტერიტორიაზე, სადაც ქართული კანონმდებლობა არ ვრცელდება და რუსების მარიონეტი ხელისუფალი მართავს სიტუაციას, რა ავადმყოფური იდეების მატარებელი უნდა იყოს კაცი, რომ იქ საკუთარი თანამემამულეების მასიურ შეყრას და გაუბედურებას დასთანხმდეს?

ნუთუ არემიძეს ასე გულუბრყვილოდ სჯერა იმ ზღაპრების, რომ

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ კრემლი აფხაზ ხალხს მხოლოდ მისალოც შეტყობინებას გაუგზავნის, მათ ხელისუფალთ ენერგიულად დალოცავს, უსურვებს წარმატებებს, თავად რუსები თავისი სამხედრო კონტიგენტიანად კი ქუდს დაიხურავენ და დატოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას?!

ვინც მოვლენების ამგვარ განვითარებაზე საუბრობს, ის ან მიაშიტია, ან მოლალატე (არ მინდა დავიჯერო, რომ არეშიძე სწორედ ეს უკანასკნელია), რადგან აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარების და ასეთი პოლიტიკური ბერკეტების მიღების შემდეგ, რუსები ამ ტერიტორიას დატოვებენ კი არაა, მათი ნებართვის გარეშე იქ სულიერი არსება ვერ გაიჭაჭანებს.

სეპარატისტი შამბა ოფიციალურად აცხადებს, რომ საქართველოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მაინც მოუწევს, რადგან, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ვიწყებდით ბევრს ეს არარეალურად მიაჩნდა, როდესაც საქართველოს ვებრძოდით ბევრი ჩვენს წარმატებებს სკეპტიკურად უყურებდა, და როდესაც აღიარებისთვის ნაბიჯებს ვდგამდით, ზოგიერთები ამასაც წარმოუდგენლად თვლიდნენო.

გესმით, რა ხდება? ამას ამბობს და ამით ტრაბახობს რუსების მარიონეტი შამბა, სეპარატისტი, რომელიც წესით სოხუმში კი არ უნდა იჯდეს და განცხადებებს აკეთებდეს, არამედ თავის თანამოაზრე სეპარატისტებთან ერთად რომელიმე ციხის საკანში უნდა იყოს გამომწყვდეული და კანონის წინაშე პასუხს აგებდეს.

შამბას სიტყვებში, მე ერთი მარცვალის კი ვერ დავინახე იმისა, რომ მათ ჩვენთან ერთად, ერთ ქვეყანაში ცხოვრება სურთ.

ამის შემდეგ კი ვიღაც გამოთავყვანებულების სულელური გათვლებით, თურმე სრულიად შესაძლებელი ყოფილა, აფხაზებს (რომელთაც რუსები ისედაც არაფერს ეკითხებიან) ისე აუფეთქდეთ სიყვარულის ქოთანნი, რომ საქართველოს წიაღში შემოსვლა მოითხოვონ.

ამის დაჯერება კი არა, გაფიქრებაც კი ქვეყნის ღალატად მიმაჩნია.

სიტუაციის ჩიხიდან გამოსასვლელად აფხაზებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება გამოსავალი არ არის. ამას პოლიტიკურ კომპრომისსაც ვერ დავარქმევ, ეს უფრო საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს, რაც ქართულ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად არაფერს არ მისცემს.

როცა ცნობილი ქართველი ექსპერტი ამგვარი უსუსური არგუმენტებით ხელმძღვანელობს და გონებაში, თუნდაც ერთი წამით მაინც დაუშვებს საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებელ სუბიექტად აღიარების შესაძლებლობას, სხვისი არ ვიცი, მაგრამ, მე პირადად, ასეთი პიროვნებისთვის ექსპერტობა კი არა, კორპუსის თავმჯდომარეობაც კი ზედმეტ ტვირთად მიმაჩნია.

## რისთვის?

არავინ თქვას, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად პერსპექტივები არ არსებობს და ამ საკითხში სრული სიცარიელე სუფევსო.

ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან გარკვეული ვარიანტები, ცხადია განიხილება, მაგრამ მთავარია, რამდენად მისაღებია ეს გზა და რა ფორმით მოხდება ამ მართლაც საშვილიშვილო იდეის განხორციელება.

მაგალითად, როგორც ჩანს, ხშირად საუბრობენ კონფედერაციულ მოდელზე და შესაბამის გათვლებსაც აკეთებენ.

მე პირადად, როცა ყოველივეს ვაჯამებ, ვგრძნობ რომ ამ მიმართულებით წასული სიტუაცია, სწორედ იმ წერტილში მიდის, საიდანაც ყველა ნორმალური ადამიანი გულის ხეთქვასა და სინანულით დაღვრილ სიმწრის ოფლს უნდა ელოდოს.

არავინ იფიქროს, კონფედერაციული მოდელის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყო, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ამ წიგნის ლამის გმირადქცეული ქვეყანა შვეიცარიაც კონფედერაციული მოწყობისაა, მაგრამ მე აქ სულ სხვა რამეს ვხედავ და ბუნებრივია, შიშიც სულ სხვა რამისა მაქვს.

დავუშვათ, შევთანხმდით კონფედერაციულ მოდელზე, ასეთ დროს, ვფიქრობ პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას თუ რა ერქმევა ჩვენს ქვეყანას. არავითარ შემთხვევაში – სამხრეთ კავკასიის კონფედერაცია და ასეთები არ გვჭირდება. ქვეყნის დასახელებაში აუცილებლად უნდა ფიგურირებდეს – საქართველო! მორჩა და გათავდა.

კარგით, ისიც დავუშვათ რომ სახელზე შევთანხმდით და შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ზოგი ნოვატორული იდეებით აღჭურვილი ფიქრობს: საქართველო აფხაზეთთან და ოსებთან შეთანხმების საფუძველზე აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, რის შემდეგაც ამ ქვეყნებთან ფორმდება სამშვიდობო ხელშეკრულება და მყარდება დიპლომატიური ურთიერთობები.

მერე სამივე მხარე: საქართველო, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კონფედერაციულ სახელმწიფოს შექმნის შესახებ დეკლარაციას დიდის ზარ-ზეიმით აწერს ხელს.

ახლა კი რუსეთის მზესა და ჰაერს დანატრულებული ჩემო თანამემამულენო, ყურები ცქვიტეთ და თვალები დააჭყიტეთ, რადგან თქვენთვის უმნიშვნელოვანესი რამ ხდება და პოლიტიკოსობას მიტმასნილი ზოგიერთი მოღალატე ქართველი დიდ საჩუქარს გიმზადებთ: - ოფიციალური თბილისი, ანუ საქართველო თანხმდება იმაზე, რომ რუსული სამხედრო ბაზები დარჩნენ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლოში), ესე იგი, იმ დროისთვის, უკვე საქართველოს კონფედერაციის ტერიტორიაზე.

გამოდის, რომ აფხაზეთში და სამაჩაბლოში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის სანაცვლოდ, ჩვენს ქვეყანაში რუსული ბაზების დაკანონებას ოფიციალურად ვაწერთ ხელს.

სწორედ აქეთკენ უბიძგებს საქმეს და სწორედ ამაზე ოცნებობს რუსების მიერ მოსყიდული ზოგიერთი ჩვენი უაზროდ მოლაყბე მოპოლიტიკოსო ელემენტი. როგორ მოგწონთ?

ვერაფერს იტყვი, მოკლედ, ტვინის ნაჟურია, ცხრა საპარის უდაბნოს მზე რომ ვერ დააშრობს, ისეთი.

თუ რამდენი წლით დარჩება რუსის ბაზები საქართველოს კონფედერაციის ტერიტორიაზე, ამას მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვეტენ. სავარაუდოდ, ალბათ ლაპარაკი იქნება მინიმუმ 40 ან 50 წელზე.

ამის შემდეგ კი რაზეა ლაპარაკი, ყველა დევნილი უპირობოდ ბრუნდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (სამაჩაბლოში).

ესეც თქვენი კონფედერაციის რუსული ვარიანტი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი მოლაღატე ქართველი იდეალურ და საქართველოს გადარჩენის ლამის ერთადერთ გზად მიიჩნევს.

ახლა გეკითხებით, ეს იდეა, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოს ჰუმანურია და ქართველი კაცისთვის მიმზიდველად და მაცდურად რომ გამოიყურება, არის თუ არა იმ საფრთხის შემცველი, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც, რაღაც გარკვეული ფორმით საბჭოთა კავშირის მსგავსი გაერთიანების მაგვარ წარმონაქმნს ვუყრით საფუძველს?

მე ვიტყვოდი, ეს ზუსტად ის მოდელი და გათვლაა, რაც რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დიდი ხანია მუშავდება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის უშიშროებამ რამდენიმე ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში სწორედ იმ მიზეზით გააჩაღა ცეცხლის კერები, რომ მოგვიანებით, როგორც უშიშარ მეხანძრეს ყოველივე საკუთარი ინტერესების და ისევე დიდ „რუსულ-საბჭოური“ კავშირის აღსადგენად გამოეყენებინა.

გავითვალისწინოთ ერთი რამ: – დახვეწილმა საარჩევნო გარემომ და სლავი ხალხისთვის სიტყვისა და საკუთარი აზრის შეუზღუდავად გამოხატვის უფლების მინიჭებამ, უკრაინას დასავლური ხედვით გამორჩეული პრეზიდენტი იუშენკო ჩამოაცილა და ხელისუფლების სათავეში პრორუსულად შემართული იანუკოვიჩი მოუყვანა. ეს ის პიროვნებაა, რომლის პოლიტიკური გათვლებიც უმეტესწილად ემოციებით მიღებული გადაწყვეტილებები უფროა, ვიდრე პოლიტიკური პრინციპებიდან გამომდინარე გადადგმული ნაბიჯები. ამის ნათელი დასტურია, თუნდაც ის ფაქტი, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ იანუკოვიჩმა ჯერ გააუქმა ნატოში გაწევრიანების საკითხზე მომუშავე ეროვნული კომისია, ხოლო მოგვიანებით, იგივე ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან რაღაც გარკვეულ საკითხებზე თითქოს ურთიერთობები დაიწყო. თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს, უკრაინის დღევანდელი პრეზიდენტი რუსეთისა და საკუთარ ქვეყანაში პრორუსული ძალების ფავორიტია და შეიძლება ითქვას, მათ მძევლადაც კი ითვლება. აქედან გამომდინარე, უეჭველია, რომ საბოლოო ჯამში იანუკოვიჩი ნებისმიერ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, მაინც იმ პრორუსულად განწყობილი აღმოსავლეთ უკრაინელების ინტერესების გათვალისწინებით მიიღებს, რომლებთანაც გარკვეული ვალდებულებები აკავშირებს და რომლებიც ამ ქვეყანაში ყველას და ყველაფერს

სჭარბობენ.

სომხებმა, რომ საკუთარი ქვეყნის ტერიტორია რუსების სამხედრო ბაზას 2044 წლამდე გადაუფორმეს, ეს უკვე დიდი ხნის ამბავია.

ამის შემდეგ, თუ საქართველომაც საკუთარ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (როცა ერთ კავშირად ვიქცევით) რუსებს უკვე ოფიციალურად რამდენიმე ათეული წლით მისცა სამხედრო ბაზების დატოვების უფლება, მაშინ ცხადია, მთლიანად ჩვენი ქვეყნის იმ ტერიტორიებით, სადაც რუსის ტანკები იდგება, ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებაზე ფიქრიც კი ისეთივე დანაშაულად და სირცხვილად ჩაითვლება, როგორც მუსლიმანისთვის ღორის მწვადზე და შავ ღვინოზე ქეიფი.

დავფიქრდეთ, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, არის თუ არა განახლებული საბჭოთა კავშირის აღსადგენად გადადგმული უდიდესი ნაბიჯი?

ნაბიჯი კი არა, ფაქტიურად, უკვე იქ ვიქნებით და ეგ არის რა?!

რუსებმა საქართველოსთან პრობლემა თუ ამ გზით და ამ ფორმით მოაგვარეს, მერე სომხების, უკრაინელების, ბელორუსებისა და შუა აზიის რომელიმე ქვეყნის, კიდევ ერთხელ, ამჯერად უკვე საბოლოოდ შეკერვას, აღარაფერი დაუდგება წინ.

და აუტანელი წყურვილისგან ჩამომხმარი ქარავანი რუსების მეთაურობით მძიმედ დაადგება იმ რუსულ-საბჭოური დარბაზისკენ მიმავალ გზას, რომელიც ამ ჩვენი გამოთავყვანებული მეოცნებეთათვის, თურმე არა მირაჟი, არამედ სავსებით განხორციელებადი ოცნება ყოფილა.

მაშ თუ ასეა, რისთვის გვიხაროდა საბჭოთა კავშირის დაშლა? რისთვის

მოვითხოვდით რუსების სამხედრო კონტიგენტის საქართველოდან გასვლას?

რისთვის ვთხოვდით დამოუკიდებელ საქართველოზე ლეგენდებს? რისთვის

ვიდექით ერთად 1989 წლის 9 აპრილს? რისთვის დაიღვარა ამდენი უდანაშაულო

ადამიანის სისხლი? რისთვის ვაქციეთ ასიათასობით ჩვენი თანამემამულე

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებად? რისთვის გავაუბედურეთ ამდენი

ოჯახი? რისთვის ვიფხორებოდით? რისთვის ვითმენდით? რისთვის ვცოცხლობდით?

შენიღბულებო გამეცით პასუხი:

რისთვის? რისთვის? რისთვის?

ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, სამარცხვინოდ ისევ ჩვენი დაფურთხებული აგველოკა და რუსეთის სათამაშო, სრულიად პაწაწინა თოჯინებად ვქცეულიყავით?

თუ ისევ ამ გზით ვაპირებდით წასვლას, მაშინ რაღას ავიტეხეთ ეს უაზრო

სისხლისღვრები, ვგდებულებოდა ისევ იმ დაწყევლილ რუსულ გუბერნიაში და

პირადად მე, დღეს ძალიან ბევრი ძვირფასი ადამიანი მაინც მეყოლებოდა ცოცხალი,

რომლებთან ერთადაც, დარწმუნებული ვარ, ეს ცხოვრება არასდროს ერთი წუთითაც არ გამიჭირდებოდა.

## ვორონეჟში გატარებული სტუდენტობა და სამადარიჩო დისერტაციები

მახსოვს ერთ-ერთი არჩევნების დროს რამდენიმე პოლიტიკური პარტია, როგორც დილობდა მოსახლეობის გადაბირებას და საკუთარ მხარდამჭერებად გაფორმებას.

- რუსული კარგად იცით?

- რუსეთთან როგორი ურთიერთობების მომხრე ხართ?

- ხომ გინდათ რუსეთთან კარგი, ძველებური ურთიერთობების აღდგენა?

ასეთი გახლდათ პარტიათა ხელმძღვანელობის ძირითადი შეკითხვები და ინტერესის სფერო. თუ პასუხი დადებითი იქნებოდა და უმეტეს შემთხვევაში ასეც იყო, მაშინ მოქალაქე, თუნდაც სრულიად გონებაჩლუნგი ყოფილიყო, პარტიული აქტივის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ, მანდატსაც იღებდა.

ამ შემთხვევაში კითხვების დასმა – რატომ? როგორ? რისთვის? ისეთივე უაზრობაა, როგორც თვითონ ამ პარტიების სერიოზულ ძალად განხილვა და საერთოდ მათი არსებობა.

გასაგებია, რომ ასეთ პარტიებს არავითარი პოლიტიკური ხედვა და იდეოლოგია არ გააჩნიათ, პრინციპებზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია. ისიც შეიძლება გაიგოს ადამიანმა, რომ პრორუსული ხედვის პარტიათა ლიდერებს, რაღაც დოზით რუსეთთან ფლირტის მოყვარული საზოგადოება სჭირდებათ, მაგრამ პოლიტიკურად გაკოტრებული პარტია თუ საზოგადოებას რუსული ენის ცოდნას ასე პრინციპულად მოსთხოვდა, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

ტრადიციულად წესია ასეთი, - ნებისმიერი პარტია, სახელისუფლებო იქნება თუ ოპოზიციური მოსახლეობისგან საკუთარი ენის დაცვასა და გაფრთხილებას მოითხოვს. თვალშისაცემია, რომ ზოგი ჭეშმარიტად ეროვნული პოზიციიდან გამომდინარე აყენებს მსგავს მოთხოვნას, ზოგი კი მოსახლეობისგან მხოლოდ პოლიტიკური ქულების ჩასაწერად მიმართავს ამგვარ ხერხს.

ასე თუ ისე, მოსაჩვენებლად თუ ჭეშმარიტად, ფაქტი ერთია, - მშობლიური ენის პატივისცემას ყველა სამართლიანად მოითხოვს.

მაგრამ რა შუაშია აქ რუსული ენა და საერთოდ, რა აუცილებლობაა დღეს საქართველოში იმისა, რომ ხალხმა რუსული ენა იცოდეს, ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია.

ამ წვრილფეხობა პარტიებს რაიმე სოლიდურ ძალად რომ აღვიქვამდე, ვიფიქრებდი, ალბათ სერიოზულად ემზადებიან ხელისუფლებაში მოსასვლელად და რუსული ენის წარმოსაჩენად მის პროპაგანდას ეწევიან – მეთქი, მაგრამ...

გადავავლებ თუ არა თვალს ამ პარტიების მუშაობის სტილსა და ფაქტიურად არარსებულ საერთაშორისო მხარდაჭერას, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ამ

სწორგზასაცდენილების ფაფხური ისეთივე გამოფიტული და არაფრისმთქმელია, როგორც მავზოლეუმის კედლებს შორის ჩატოვებული მათი დიდი ბელადის, - ლენინის უსიცოცხლო სხეული.

და მაინც, მოდით გულახდილად ვთქვათ, - დღეს საქართველოში ყველაზე მეტად ვის სჭირდება რუსული ენის აუცილებლობა?

ორი აზრი არ არსებობს, ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობას.

დავაკონკრეტოთ და ვთქვათ, ამ შემთხვევაში ძირითადად იგულისხმებიან საქართველოში მცხოვრები რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და ყოფილი საბჭოთა ერები, თორემ საქართველოს მოქალაქეობამიღებულ თურქებს ისევე შესტკივათ გული რუსულ ენაზე, როგორც ავლაბრელ სომხებს მეგრულზე.

დღეს საქართველოს კონსტიტუციით სახელმწიფო ენად აღიარებულია ორი ენა, ესენია ქართული და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზური.

სხვა დანარჩენი ენების სწავლა კი მოსახლეობისთვის მხოლოდ პირადი ინტერესის საგანს უნდა წარმოადგენდეს და არა აუცილებელ ნორმებს.

თუ მოსახლეობისთვის რაიმე სხვა ენის შესწავლაზე მიდგა საქმე, მაშინ ცხადია, ამ მხრივ ინგლისური უკონკურენტოა. ინგლისურის შესწავლის აუცილებლობას ის ფაქტორი განაპირობებს, რომ ეს ენა საერთაშორისო ენადაა აღიარებული და მსოფლიოს ხალხებთან კომუნიკაციის საიმედო საშუალებას წარმოადგენს.

სხვა პრობლემაა, რომ იმ თაობებისთვის, რომლებიც საბჭოთა წყობიდან მოდიან, ინგლისური რთულად ასათვისებელია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ეს არ არის ვინმეს ახირება ან აკვიატებული პრინციპი. ამას დღევანდელი ცივილიზებული სამყარო მოითხოვს და თუ ხარ ამ სამყაროს სრულუფლებიანი წევრი, მაშინ მის საერთაშორისო ენასაც პატივისცემით უნდა მოეპყრო და მის უკან, მაინც და მაინც შენთვის პოლიტიკურად საძულველ ქვეყნებსა და პიროვნებებს არ უნდა ხედავდე.

მე ვიცი ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ეროვნებით ძალიან ბევრი რუსი თუ სომეხი, რომლებიც ინგლისურს პრინციპულად მხოლოდ იმიტომ ვერ იტანენ, რომ ეს ენა მათი პოლიტიკური მრწამსისთვის მიუღებელი ქვეყნის, - ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ენაა.

ჩემი აზრით, ეს უკვე, რაღაც ალ ქაიდას სტილში ცხოვრებასა და მოღვაწეობას ჰგავს, არა?

რუსები და სომხები გასაგებია, მაგრამ ჩემთვის, სამწუხარო ზოგიერთი ქართველის მიერ ინგლისურის მიმართ გამოვლენილი ენითაუწერელი ზიზღია.

ის კატეგორია, ვინც დღეს ინგლისურ ენაზე მტკივნეულად აცრილია, არ გეგონოთ, ქართული ენის სიყვარულითა და შევიწროვების შიშით ავლენდეს ასეთ აგრესიას.

არაფერი მსგავსი.

უძრაობის ხანაში რუსულის ცოდნა სავალდებულო რომ იყო, ამას გაგებით ეკიდებოდნენ, ის კი არა, იმ დროს რუსეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა მაღალი ინტელექტის დასტური გახლდათ. ქართულ ოჯახებში და სამეგობრო წრეში რუსულად საუბარი ხომ საერთოდ, დიდ პრესტიჟად და სვეტობად



ითვლებოდა.

- ვისთვის?

- ვისთვის და ქართველებისთვის, იმ ნაძირალა ქართველებისთვის, რომლებიც დიდ რუსეთში აქედან წაღებული მადარიჩებით ინსტიტუტებსაც ამთავრებდნენ და მერე დისერტაციებსაც იცავდნენ.

უყვარდათ რუს პროფესორებს და საერთოდ რუსებს საქართველოდან ჩატანილი საცივი, წიწილი, ლომი, აჯიკა, ტყემალი ხაჭაპური, გუდის ყველი, ჩურჩხელა, გოზინაყი, ჩირი, ნაზუქი, ქადა, კუპატი, შემწვარი გოჭი, კახური ღვინო და რა ექნათ? ქართული ხორაგით გამაძღარი და კახური ღვინით შებუზბუზებული რუსი პროფესორებიც უპრობლემოდ წერდნენ უმაღლეს შეფასებებს.

დისერტანტები იცავდნენ დისერტაციას და აქაც ჯადოსნური ქართული ნობათის სუნი ტრიალებდა.

მერე ის ქრთამისტი პროფესორ-აკადემიკოსები ოჯახებითურთ აქეთ ჩამოდიოდნენ, მერე ესენი ისევ იქ მიდიოდნენ, ისევ ჩამოდიოდნენ, ისევ მიდიოდნენ და საბჭოურ ენაზე ამას ხალხთა მეგობრობა ერქვა.

ჰქონდათ ასე საათივით აწყობილი ცხოვრება ყალბ დისერტაციადაცულებსა და მექრთამეებს.

მოდო ახლა და ამათ გლობალურ საკითხებზე ელაპარაკე და აუხსენი, რომ კემბრიჯისა და ვორონეჟის უნივერსიტეტები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. პირველ ყოვლისა უმნიშვნელოვანესი ის გახლავთ, რომ ვორონეჟისგან განსხვავებით, კემბრიჯში საცივით, აჯიკით, ხაჭაპურით, ჩურჩხელით, შემწვარი გოჭით, კახური ღვინით და ვერანაირი მადარიჩებით ნიშნებს ვერ იყიდი. აქედან ჩატანილი გემრიელი სამზარეულო დასავლეთში ვერც დისერტაციის დაცვაში დაგეხმარება და ვერც რაიმე სახის ფარული გარიგებების მოკვარახჭინებაში გამოგადგება.

ეს იყო ყველაზე თვალშისაცემი განსხვავება იმ საგანმანათლებლო სისტემებს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირში და დასავლეთში არსებობდა, თორემ კედლები, აუდიტორია, ბიბლიოთეკა და სტუდენტობა ყველა სასწავლო დაწესებულებაში იყო, არის და იქნება კიდევ. მთავარი ის გახლავთ თუ რა ზნეობისა და მორალის მქონე პროფესორებთან გვაქვს საქმე, ვინ არიან ისინი და რა უმთავრეს მოთხოვნებს უყენებენ სტუდენტებს.

არა მგონია მექრთამე რუს პროფესორებს ქართველებისთვის ადამიანურ ზნეობაზე და ღირსებაზე ლექციების კითხვით თავი შეეწუხებინოთ.

და თუ ლექციების დროს ამ თემაზეც იქნებოდა საუბარი, მაშინ ჩათვალეთ, რომ ეს იყო სიყალბე და მეტი არაფერი, რადგან უზნეოს ზნეობაზე საუბრის არავითარი უფლება არ გააჩნია.

არც იმ ქართველს აქვს უფლება დღეს ერის მქადაგებლად წარმოაჩინოს თავი და ენა წაიტლიკოს, ვისაც ერთ დროს ჩრდილოეთში მხოლოდ მადარიჩებითა და ათასნაირი სიბინძურეებით მოუწყვია ტკბილად საკუთარი კარიერა. იმ სამარცხვინო წარსულის გადმონაშთია, ჩვენს ქვეყანას რომ კიდევ შემორჩნენ ავადმყოფურად მოაზროვნე თაობები და თუ ვინმე ახსენებს დახავსებულ მენტალიტეტსა და

ჩარეცხილებს, ისინი ღიზიანდებიან, ფეთქდებიან და იფხორებიან ისე, თითქოს რაიმე უკადრებელი აკადრეს.

მე დავაზუსტებ და ვიტყვი, ესენი უკვე ჩარეცხილები რომ იყვნენ, რაღა გვიჭირს, მაგრამ უბედურებაც სწორედ ეგ არის, რომ არ ჩარეცხილან, კიდევ ტივტივებენ და ჩასარეცხთა კატეგორიაში მოიაზრებიან.

რაც უფრო ადრე ჩავრეცხავთ ამ მყრალ საზოგადოებას, მით ადრე გავათავისუფლებთ ქვეყანას ასეთი ჯოჯო-მოაზროვნეებისგან.

ადრე ყველანაირი დაუშვებელი ხერხებით კარიერის საამურად მოწყობასა და მუდამ დიდების ზენიტში ყოფნას ახერხებდნენ, მაგრამ ეს უწინ იყო და ამას ჩვენი მახინჯი ცხოვრების მწარე რეალობა ერქვა.

დღეს კი ამ უსამართლობით დაბინძურებულ ადამიანებს არავითარი უფლება არა აქვთ, გამოხტნენ და საკუთარი პოზიციები ხმამაღლა აფიქსირონ.

თურმე რაღაცა არ მოსწონთ, ვიღაცა თვალში არ მოსდით, სიტუაციის შეცვლას მოითხოვენ.

- წარმოგიდგენიათ?

იმის ნაცვლად, რომ სირცხვილით ხმას ვერ იღებდნენ და თავზე ნაცარს იყრიდნენ, კიდევ დიდ გულზე არიან და აქეთ მუქარის კორიანტელს ატრიალებენ. არ მოსწონთ! ვერ ეგუებიან! მეტი აღარ შეუძლიათ!

ახლა ჩვენ გვკითხეთ, - მოგვწონხართ? გეგუებით? შეგვიძლია თქვენი ატანა? თქვენ ის ხალხი ხართ, რომლებსაც საქართველო მხოლოდ მაშინ გიყვართ თუ ქვეყანა თქვენს ჭკუაზეა მოწყობილი და პრივილეგიებულ, ხელშეუხებელ კასტას წარმოადგენთ.

თქვენ მხოლოდ მაშინ გახსენდებათ ქვეყნისა და ხალხის სამსახური თუ ვინმე ძვირადღირებულ მანქანებსა და აგარაკებს გჩუქნით.

თქვენ მხოლოდ მაშინ გიხარიათ ცხოვრება თუ ხელისუფლებაში გაჩითულები ხართ.

თქვენ მხოლოდ საკუთარი ხელშეუხებლობის აღდგენაზე ზრუნავთ და არა მთელი ქვეყნის წინსვლასა და კეთილდღეობაზე.

თქვენ მხოლოდ მაშინ გეჩვენებათ ირგვლივ ყველაფერი ლამაზი და სამართლიანი თუ თქვენი და თქვენი ახლობლების კარიერას წინსვლა და განვითარება აქვს.

და ბოლოს, თქვენ მხოლოდ მაშინ ანთებთ სანთლებს და საქართველოზე ლოცულობთ თუ თქვენს უმრავ-მომრავ ქონებას ყოველდღიურად რაღაც ახალი ემატება.

თქვენ ეს ყველაფერი მოგაკლდათ და ამან გაგაბოროტათ.

თქვენ რომ გინდათ, ისე არ იქნება და არ გამოვა, რადგან ქვეყნის შავბნელი ძალები ქვეყნის შავბნელ წარსულშივე უნდა დარჩნენ.

მომავლის საქართველოში კი თქვენ არაფერი გესაქმებათ და იქ თქვენისთანების ადგილი არ უნდა იყოს, თორემ კაცმა რომ ძალაუფლება ხელში ჩაგიგდოთ, ისე გარყვნით და წაბილწავთ ქვეყანას, ვორონეჟის უნივერსიტეტის მექრთამე პროფესორთა და საერთოდ, რუსეთში მაღარიჩებით დისერტაციადაცული

ქართველების უზნეობები მონაგონი იქნება.

ამაზრუნენი კორუფცია და გარკვეული მაქინაციები ამ კატეგორიისთვის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, რომლებიც რატომღაც კორუფციას ჩალიჩს და მაქინაციებს – საქმოსნობას ემახდნენ.

ყოველივე ამის შემდეგ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, ამ ნამძირალების ხელში თუ საიდან მოგვიწია ქვეყნის აღმშენებლობის დაწყება.

და დღეს თუ არ ვართ ისე, როგორც უნდა ვიყოთ, მე თქვენ გადებთ ხელს და გამხელთ, როგორც ჩვენი ქვეყნის გადამგვარებლებსა და სასწრაფოდ მოსაცილებელ ხორცმეტებს.

რომ არა თქვენი დანაშაულებრივი წარსული და თქვენი იდეოლოგიური თანამომძმეების მიერ საქართველოში შემოტანილი რუსულ-კომუნისტური ბაცილა, დღეს ჩვენ განვითარების სულ სხვა რელსებზე ვიდგებოდით და საქართველო უკვე სულ სხვა ქვეყანა იქნებოდა.

### XIII

#### სახალხო კრება თუ შულავერის კომიტეტი?

წინა თავებში რამდენჯერმე ვახსენე ოთხმოცდაათიანი წლები და ეს არც არავის არ უნდა გაუკვირდეს. ჩვენ ხომ იქიდან მოვდივართ და მომსწრენი ვართ იმ უბედურების, რაც ყველამ ერთად გადავიტანეთ.

ოთხმოცდაათიანი წლები ჩვენი ისტორიაა, უფრო ზუსტად, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ბინძური და სისხლიანი ფურცელი. ყველაზე ნეგატიური და გულგასახეთქი ამ ისტორიაში ის არის, რომ ეს სამარცხვინო და სისხლიანი ფურცელი თავად ქართველების ხელითაა შექმნილი და დაწერილი.

მე ერთხელ უკვე ვთქვი, - ნუ ვემბთ მტრებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ჩვენი მტრები აქ, ჩვენს გვერდით არიან – მეთქი. ახლაც იგივეს ვიმეორებ და დავამატებ, - თუ ვინმე საქართველოს ძირს გამოუთხრის და მტკივნეულ დარტყმას მიაყენებს, ისევ ქართველი იქნება და ყოველივე ქართველის ხელით მოხდება.

ამას ყველა უნდა ამჩნევდეს და აღიარებდეს.

დღეს საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ სახალხო კრებაზე, რომლის გარშემოც რამდენიმე ცნობადი სახეა გაერთიანებული.

როგორც ჩანს, მათ ჰყავთ აქტივი, გააჩნიათ საკუთარი სამოქმედო გეგმა, იმ ერთი მსახიობი ქალის კავშირებით აქვთ რუსეთის დიდი მხარდაჭერა და იმედი. ხმები დაირხა, რომ თავად კრემლიც დიდ იმედებს ამყარებს მათზე.

ახლა გეკითხებით, ამ ყველაფრის შემდეგ, თუ ხედავთ რაიმე დიდ განსხვავებას სახალხო კრებასა და შულავერის კომიტეტს შორის?

განსხვავება მხოლოდ დროში და მოქმედ პირებშია, სხვა რაიმე განმასხვავებელი ნიშანი ფაქტიურად არ არსებობს.

ისეთი იდეა და რუსეთისკენ დაუოკებელი სწრაფვის სურვილი შულავერის კომიტეტში შემაველ ქართველ ბოლშევიკებს რომ ჰქონდათ, დღესაც ამკარად შეიმჩნევა, ოღონდ ამჯერად უკვე სახალხო კრების გარშემო გაერთიანებულ ადამიანებში. მაშინ თუ ლიდერებად რუსების კარზე მიღებული სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე გვევლინებოდნენ, ახლა ლიდერობას სახალხო კრების წინ, უკან თუ გვერდით მდგარი, რუსებში არანაკლებ დაფასებული ერთი ქალის თეატრის მსახიობი და მისი თანამოაზრენი იჩემებენ.

მაგრამ დღეს სხვა დროა და ის აღარ განმეორდება, რაც წინა საუკუნეში ბოლშევიკებმა განახორციელეს. მცდელობა კი საკმარისი აქვთ, თუმცა რუსების მიერ წაქეზებულ ქართველ პარაზიტებს, როგორც ჩანს, სიტუაციის განსჯისა და რეალურად აღქმის უნარი სულ მთლად დაკარგული აქვთ. მათ უნდა ესმოდეთ, რომ კრემლის კარზე დაჩოქილ და რუსების მითითებების შემსრულებელ ძალებს ღირსეული საერთაშორისო მხარდაჭერა არასდროს არ ექნებათ. ის მწარე ხვედრი კი, რაც საქართველომ და მთლიანად აღმოსავლეთ ევროპამ წინა საუკუნეში იწვნის, ჭკუის სასწავლებლად უნდა იქცეს. დღეს არავინ და უპირველესად, თავად ქართულმა სახელმწიფომ აღარ უნდა დაუშვას, ვითომ ქვეყნის კეთილდღეობის მიზნით საქართველოში რუსული გეგმა განხორციელდეს.

არავინ ამბობს, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა უნაკლოა და ხვალ თუ არა ზეგ, უკვე იდეალური სახელმწიფო ვიქნებით. რა თქმა უნდა, პრობლემები არის, თანაც საკმაოდ სერიოზული და მის აღმოფხვრას გარკვეული დრო სჭირდება...

მაგრამ მე არ მესმის, რა უხარია და ბედნიერებისგან რა აცქმუტებს რუსეთის დროშაგადაფარებულ ოპოზიციას, როცა ევროკავშირის ან ამერიკის რომელიმე წარმომადგენელი რეკომენდაციის სახით რაიმე კონკრეტულ შენიშვნას აძლევს ჩვენს ქვეყანას?

როცა რომელიმე ქვეყნის დიპლომატი ან ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი შენს ქვეყანას რეკომენდაციას, ან შენიშვნას აძლევს, თუ ამ ქვეყნის მტერი და ავისმსურველი ნაძირალა არ ხარ, არავითარ შემთხვევაში, ეს არ უნდა გაგებხარდეს და ჩასაფრებული ადამიანივით სიხარულით არ უნდა აკუნტრუმდე.

ზოგი მოპოლიტიკოსო ელემენტი კი ადვილად იშიფრება და ესაა მათი უბედურება.

დავუშვათ, ხელისუფლებაში ვიღაცას, რაღაცა მართლა შეეშალა და ამან რომელიმე ევროპელი დიპლომატის გულისწყრომა გამოიწვია, მერე რა მოხდა ამით, დაიქცა ქვეყანა და საქმე გამოუსწორებელ შეცდომასთან გვაქვს?

ერთი რამ კარგად უნდა შეიგნოს ყველა პოლიტიკოსმა; \_ ხელისუფლების მიმართ გამოთქმული რეკომენდაცია, რჩევა, საყვედური თუ შენიშვნა არ ნიშნავს საქართველოში რუსეთის მონა-მორჩილი, რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის

მწვანე შუქის ანთებას და მათ მხარდაჭერას. ეს აქსიომაა და გაპროტესტებას არ ექვემდებარება.

უშეცდომო და იდეალურად გამართული ქვეყნები თვით დასავლეთშიც არ არიან და საქართველოს რომ ვინმესგან, რაიმე სახის მითითება დასჭირდეს, ამაში კატასტროფულს მე ვერაფერს ვერ ვხედავ.

რუსებისგან წაქეზებული და დაფინანსებული ბევრი ოპოზიციური პარტია არაბულ ქვეყნებში განვითარებული მოვლენების შემდეგ, რაღაც გულზე მოვიდა და თითქოს უფრო იმედით აღსავსე გახდა. აქაოდა, რახან დიქტატურის წინააღმდეგ აგორებულ რევოლუციურ ტალღას ა.შ.მ და ევროპა მხარს უჭერენ, პროცესების მსგავსი სცენარით განვითარება საქართველოშიც გარდაუვალიაო. მოკლედ, არაბული ფართომასშტაბიანი გამოსვლებით წახალისებულ, ბევრ ჩვენებურ ოპოზიციონერს თავი უკვე, ლამის ხელისუფლებაში მოსული ეგონა.

- ჩვენი გამარჯვება მხოლოდ დროის ამბავიაო, - აცხადებდნენ ისინი.

მსგავსი ეიფორია უბრალო მომიტინგესთვის რომ შემეტყო, კიდევ არაფერი, მაგრამ ამგვარი თვითკმაყოფილება პარტიული ლიდერების სახეზე რომ ამოვიკითხე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ერთი დიდი ნაწილი ისევე შორს არის მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების რეალურად აღქმისგან, როგორც მათი საყვარელი რუსეთის ტერიტორია არაბული ქვეყნებისგან.

ზოგიერთ ჩვენ პოლიტიკოსს ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი გამორჩა მხედველობიდან და მინდა შევახსენო.

ცივილიზებული ამერიკა და დასავლეთი მხარს უჭერს ნებისმიერ არაბულ ქვეყანაში დიქტატორული რეჟიმის შეცვლას, მაგრამ იქაური ოპოზიციური ძალებისა და მთლიანად რევოლუციონერების უკან ნამდვილად არ დგას რუსული ფული და გავლენა.

ეს კი შემდეგს ნიშნავს: – დასავლეთისთვის არ არსებობს იმის საფრთხე, რომ არაბული ქვეყნები რუსულ გავლენაში გადავიდნენ და კრემლიდან მართული ტანკების პოლიგონად იქცნენ. რაც არ უნდა მოხდეს, არაბულ ქვეყნებში, ყველა ვარიანტში, ისეთი ძალები მოვლენ, რომელთათვისაც ამერიკა და ევროპა იქნება პოლიტიკური პარტნიორი და არა ისეთი სალანძღავი ობიექტი, როგორიც დღევანდელი ჩვენი „შულავერის კომიტეტისთვის“ და მათ უკან მდგარი ერთი თეატრის მსახიობი ქალისთვის არის.

ასე რომ, ცრუ ილუზიებში ყოფნას, ჯობია სიტუაცია რეალურად შეფასდეს და საღი დასკვნები გაკეთდეს. თუ არა და, ზოგიერთები პოლიტიკიდან საერთოდ უნდა წავიდნენ. ასეთი ნაბიჯით არავინ არაფერს არ დაკარგავს, პირიქით, მომგებიანიც იქნება.

საქართველოსთვის დღევანდელ რუსეთზე მიტმასნილი ვაიპოლიტიკოსების პოლიტიკური არენიდან წასვლა, იმიტომ იქნება მომგებიანი, რომ ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანას უფრო ნაკლები ნამირალა და გამყიდველი პოლიტიკოსი ეყოლება, ვიდრე ახლაა.

რუსებისთვის კი ნამდვილად შვება იქნება ამ მუქთამჭამელების ჩამოცილება. ის მილიონები, რომლებიც აქაური მოკავშირეებისთვის აქვთ გამოყოფილი, უმჯობესია,

რუსებმა საკუთარ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას მოახმარონ, თორემ დაბრუნდა რუსეთი უძრაობის ხანაში და ეგაა.

#### XIV

### მაისის წვიმით გადარეცხილი ილუზიები

ის, რაც 2011 წლის 26 მაისის დამდეგს თბილისში დატრიალდა, კრემლში დაწერილი სცენარის ერთ-ერთი რიგითი ვარიანტი გახლდათ. საქართველოში ქაოსი, სისხლისღვრა და დესტაბილიზაცია ყველაზე მეტად რუსებს რომ აწყობთ, ეს ამ აქციებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა.

ახლა ფაქტიურად მთელი ოპოზიციისთვის, რატომღაც მისაღებ ფორმად იქცა ჯონ ბასის მიერ გაკეთებულ ცნობილ განცხადებაზე კუდების გამობმა. თურმე, ამერიკის ელჩს ასე არ უნდა ეთქვა და სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო.

ვფიქრობ, ქართველი პოლიტიკოსების მიერ ამერიკის საელჩოს მისამართით გამოთქმული მწვავე კრიტიკა, ჩვენებური პოლიტიკოსების მხრიდან უპასუხისმგებლობის გამოვლენის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია.

მოდით, ახლა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი რამ, რომ არ ყოფილიყო არავითარი განცხადება და არ დაშლილიყო ეს აქცია, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას? ნუთუ თქვენ მართლა გჯერათ იმ ვითომ მიაშიტური სიტყვების, დღეს უკვე პოლიტიკურად გაკოტრებული მაისის აქციების ორგანიზატორები რომ ამბობენ, - ჩვენ არაფერს განსაკუთრებულს და ცუდს არ ვითხოვდით, გვსურდა, რომ ალლუმი ჩვენ, ქართველ ხალხს ჩაგვებარებინაო.

მე არ მჯერა, არ მესმის და იქნებ ვინმემ ამიხსნას, რა ფორმით და სახით შეიძლებოდა მიეღო ალლუმი რამდენიმე ათასკაციან ნიღბებით სახეაფარებულ და დროშის ტარებით შეიარაღებულ ბრბოს, როცა იმ ადგილას პრეზიდენტთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, უნდა მისულიყვნენ უცხოელი დიპლომატები და სხვადასხვა საელჩოების წარმომადგენლები?

გეკითხებით, ვინ გასცემდა იმის პირობას, რომ პრეზიდენტისა და უცხოელი დიპლომატების უსაფრთხოება დაცული იქნებოდა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც აშკარა იყო, რომ დროშის ტარებითა და ალბათ კიდევ სახვადასხვა საგნებით შეიარაღებული მომიტიჩნეები უზომო აგრესიას აფრქვევდნენ.

ვინც თვლის, რომ ალლუმის ასეთ პირობებში ჩატარება და მიღება შესაძლებელი იყო, ის ან ცრუობს, ან მოვლენების რაღაც არაბული სცენარით განვითარების მომხრეა.

თუმცა, - ალლუმი ჩვენც უნდა ჩაგვებარებინაო, ამას თეთრებისა თუ წითლების

ლიდერი შაშიაშვილი უკვე მას შემდეგ ამბობდა, როცა აქცია დაიშალა. მანამდე კი იყო მკაცრი და მუქარანარევი განცხადებები, ჯერ ასეთი სახის, - არ დავიშლებით! როგორმე გავამწართ! მერე ცოტა სახემეცვლილი, - მშვიდად არ ჩავატარებინებთ! და ბოლოს, რაღაც ბრიყვული განცხადება, - ალღუმი ჩვენც უნდა ჩავგვებარებინა! როგორც ჩანს, აგრესიის, ქაოსისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ გალაშქრების ნიშნები ამკარაა.

და ასეთ დროს, რა უნდა ეთქვა ამერიკის ელჩს?

რა 26 მაისი, რის 26 მაისი, რა საქართველოს დამოუკიდებლობა, რის დამოუკიდებლობა, რა სახელმწიფოებრიობა და რის ზეიმი, ამ შეიარაღებულ ნიღბოსნებს, რომლებიც შიგადაშიგ საბჭოთა კავშირის წარწერით და ჩე გევარას პორტრეტით დამშვენებული მაისურებით დაბორიალობენ, ხელი არ ახლოთ, თორემ ქვას ქვაზე აღარ დავტოვებო?

ეს იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის მისაღები განცხადება?

ვიცი, ზევრს გაეხარებოდა მსგავსი ტიპის ფრაზების მოსმენა და კბილებაღესილი, შეიძლება ელოდა კიდევ, მაგრამ ამერიკის ელჩმა თქვა ის, რაც უნდა ეთქვა, - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ ამან ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებას, როგორც 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი ალღუმი, ხელი არ უნდა შეუშალოსო.

ახლა გეკითხებით, - რა არის ამ კაცის განცხადებაში ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი და არაკუმანური?

ატეხეს ერთი ამბავი, ამერიკამ ელჩი უნდა გაიწვიოსო.

მამალი სიგიჟეა ასეთი სახის მოთხოვნა და მეტი არაფერი.

ის ძალადპოლიტიკოსები და ქართველები, რომლებმაც ამერიკის ელჩის გაწვევის მოთხოვნა წამოაყენეს, უბედნიერეს ადამიანებად იქცევიან, ამერიკამ საქართველოში სულ რომ დახუროს საელჩო და დიპლომატიური ურთიერთობები გაგვიწყვიტოს.

ეს კი გაეხარებათ, მაგრამ ამას ვერასდროს ვერ ეღიროსებიათ.

ისინი ჯონ ბასში ამერიკის სახელმწიფოს ადმინისტრაციას ხედავენ, ამის უკან მთელ ამერიკას, რომელიც მათთვის ისეთივე საძულველი მტერია, როგორც რუსეთისთვის, ალ ქაიდასთვის და ერთ დროს საბჭოთა კავშირისთვის იყო.

ისე, რა ამერიკისა და უცხოელი დიპლომატების ჩარევა სჭირდება იმას, უკვე არასანქცირებული მიტინგის მსვლელობის დროს, პოლიცია ძალას რომ გამოიყენებს? ასეთი სახის განცხადებები, - გაბედონ და დაგვარბიონ! ფეხსაც არ მოვიცვლით! ჩხუბი მორევაზეა! ისეთივე ბაქი-ბუქი და სიცრუე გამოდგა, როგორც მსახიობი ქალის მიერ თითების ჩაკვნიტა.

როგორც თავად ამბობენ, ეს ბრძოლა ყოფილა.

მაშინ, მე დავამატებ და ვიტყვი, რომ ნებისმიერ ბრძოლას საკუთარი დაუწერელი კანონები აქვს. - თუ სხვის პროვოცირებას ახდენ და იმუქრები მოვდივარ, აბა, დამიდექი, ვნახოთ, როგორი ბიჭი ხარო, მაშინ იმისთვისაც უნდა იყო მზად, რომ შეიძლება ერთი-ორი ხელკეტი ძალიან მწარედ მოგხვდეს კბილებში... ხოლო, როცა მოგხვდება, მერე ქალაჩუნასავით არ უნდა იკივლო, შე ბოროტო, ასე უხეშად რატომ მომექეციო. თუ მსგავს საქმეზე მიდიხარ, გაცნობიერებული უნდა გქონდეს, რაზე

მიდიხარ და მერე დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების დაცვა არ უნდა მოსთხოვო იმას, ვისაც, რამდენიმე საათის წინ ნაკუწ-ნაკუწ აჩეხვითა და ნაწლავების გამოყრით ემუქრებოდი.

სამართალდამცავებმა მომიტინგეებს ყველა გასასვლელი გადაუკეტესო, ძალა გამოიყენესო, ხელკეტებს ზომაზე მეტად იქნევდნენო, სისხლი დაიღვარაო, ვიღაცის ესკორტმა პოლიციელი გაიტანაო, ესაო, ისაო, დამნაშავე ხელისუფლებაა და კედელთან უნდა მივაყენოთო.

ახლა, გიჟი უნდა იყოს კაცი, ზემოჩამოთვლილი ფაქტები უარყოს და თქვას, ასეთი რამ არ მომხდარაო.

რა თქმა უნდა, მოხდა, რაც ძალიან სამწუხაროა, მაგრამ მე მინდა ამ საკითხს სხვა კუთხით შევხეხო...

ვფიქრობ, ხელისუფლება მაშინ იქნებოდა კუთხეში მისაყენებელი და დასასჯელი, მსგავსი ძალა სრულიად მშვიდობიანი მანიფესტანტების წინააღმდეგ რომ გამოეყენებინა. მაისის აქციების დროს მხოლოდ ასეთი თემა, რომ ყოფილიყო წამოწეული: პროდუქტებზე ფასები, პენსიები, კომუნალური და სხვადასხვა გადასახადები (ოღონდ, თუ ეს მოთხოვნები კონსტიტუციურ ჩარჩოებს არ გასცდებოდა), მაშინ ხელისუფლებას არავითარი მორალური უფლება არ ჰქონდა, საარსებო საშუალების მოთხოვნით ქუჩაში გამოსული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ასეთი უმკაცრესი ზომები მიეღო.

მაგრამ იმ დროს, როცა მომიტინგეთა უმთავრესი მიზანი არსებული ხელისუფლების აშკარად ძალადობრივი გზით დამხობა და სახელმწიფო გადატრიალება იყო, ვფიქრობ, ნებისმიერი ნორმალური თუ არანორმალური ქვეყნის ხელისუფალი წესრიგისა და სახელმწიფოებრიობის დასაცავად, მსგავს ნაბიჯებს გადადგავდა.

ძალიან გთხოვთ, ნუ ვიქნებით მიამიტები და გულუბრყვილოდ ნუ დავიჯერებთ იმას, თითქოს აქციის ორგანიზატორებს მართლა ასე ძალიან ადარდებდათ ალღუმის ჩატარების ბედი. ამ შემთხვევაში საქმე გვექონდა, არა მშვიდობიან მანიფესტანტებთან, არამედ ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებთან, რომელთა მიზანიც ქვეყანაში ჯერ უკონტროლო სიტუაციის შექმნა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა გახლდათ.

რასაც ახლა ვამბობ, ამით, ჩვენს გალაქტიკაში ახალი პლანეტა არ აღმომიჩენია, ეს ისედაც ყველამ კარგად იცის და თავად მსახიობი ქალი, თავის დამქაშებთან ერთად მთელი აქციების მანძილზე ამას იმეორებდა კიდევ.

ვერც იმაში დამარწმუნებს ვინმე, რომ აქციის ორგანიზატორებმა რეგიონებიდან ხალხი მხოლოდ თბილისის დასათვალიერებლად და დედაქალაქის მძიმე ჰაერის ჩასაყლაპად ჩამოიყვანეს.

უმეტესობა მოატყუეს, გასვარეს და მიატოვეს.

იმ წვიმიანმა ღამემ მოტყუებულთა ილუზიები საშინლად დაამსხვრია და გადარეცხა.

რატომღაც ამ ადამიანებს სჯეროდათ, რომ 25 და 26 მაისს შორის წვიმიან ღამის



გასაყარზე, საქართველოს ისტორიისთვის რაღაც საამაყო ფურცელს ქმნიდნენ და მათი სახელები იქ ოქროს ასოებით ჩაიწერებოდა.

ეს იყო უდიდესი შეცდომა!

ეს იყო ისტორიის სათავისოდ შეცვლისა და დამახინჯების მცდელობა.

გავა წლები და, როდესაც საღად მოაზროვნე ქართველი ადამიანების მეხსიერებაში 2011 წლის 26 მაისის ამბები ამოტივტივდება, მათ გაახსენდებათ არა წამებული, არამედ მოტყუებული და სწორგზასაცდენილი თანამემამულეების მცირე ჯგუფი, რომელიც შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსეთის მიერ მართული, რამდენიმე გარეწარი ძალადპოლიტიკოსის მარიონეტად იქცა.

საქართველოს ხელისუფლება ყველაფერში რუსეთის კვალს ხედავსო, - წუწუნებს შენიღბული საზოგადოება.

მე კი ასე ვიტყვოდი, - ქართველი ნიღბოსნები ყველგან და ყველაფერში თავად ეძებენ რუსეთს, თავად დაძრწიან ამ ქვეყნის ნაკვალევზე და თავად აკეთებენ იმ დამპყრობელი რუსეთის საქმეს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დაქუცმაცება და გადასანსვლა განუზრახავს.

ამას მათი თითოეული ქმედება და გადადგმული ნაბიჯი ადასტურებს.

ასე იყო ამ აქციების დროსაც.

და როცა კულმინაციამ პიკს მიაღწია, თავისი გარემოცვითურთ ყველაზე პირველები სწორედ ის მსახიობი ქალი და მისი მეუღლე გაიძურწნენ, თავიდან მაგრად რომ იფხორებოდნენ.

მერწმუნეთ, არ შემბრალებია, იოტისოდენა თანაგრძნობაც კი არ გამჩენია იმ ერთი ქალის თეატრის მსახიობის, ბიწამის, შაშიაშვილის და კიდევ ქვეყნის გამყიდველი ყველა იმ ლაჩრის მიმართ, ბევრს რომ ბაქიბუქობდნენ.

საერთოდ არ მადარდებს მათი მომავალი და იმიტომ.

მე მხოლოდ შეცდომაში შეყვანილი ის უბრალო ქართველი ხალხი მეცოდება, იმ მსახიობი ქალის პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად რომ იდგა იქ.

ისინი ვერ მიხვდნენ, რომ ზოგიერთი განწირული მოპოლიტიკოსო ელემენტის ფარად იქცნენ. იმ ფარად, რომელმაც პირველი დარტყმა საკუთარ თავზე უნდა მიიღოს, რათა იმან, ვისთვისაც ადამიანთა დაღვრილი სისხლი არაფერია, თუნდაც გვამებზე გადავლით, მაგრამ, მაინც პრინციპული და მებრძოლი პოლიტიკოსის ყალბი იმიჯი შეიქმნას.

აკი განაცხადა კიდევ მსახიობმა ქალმა უტიფრად და უნამუსოდ, - ნამდვილად გავეცალე იქაურობას, დიახაც, იმიტომ, რომ ხალხს ლიდერი სჭირდება და ლიდერი უნდა გადარჩესო.

ესეც თქვენ. გაიგეთ რა გამოვიდა?

ჯერ დიდი ამბით მიიტყუა ხალხი, არიქა გვერდში დამიდექითო და მერე, თავის გარემოცვასთან ერთად პირველმა მოკურცხლა. თან დაიბარა, მე ლიდერი ვარ და უნდა დიდხანს ბედნიერად ვიცხოვრო, სხვებმა კი ჩემს გამო თავი უნდა გაწირონ. მე თუ არ ვიქენი, ჩემს მერე მთელი ქვეყანა წყალსაც წაუღიაო.

ამ სიტყვების მთქმელს ხელისუფლებაში მოსვლა და პრეზიდენტობა ამოუჭრია გულში.

ეს ადამიანი თავისი გონებადაბინდული გარემოცვით მართლა რომ სახელმწიფოს სათავეში მოექცეს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ცოდვის ბორბალი დატრიალდება საქართველოში?

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე არ მინდა, ჩემს ქვეყანას მართავდნენ ისეთი პიროვნებები, რომლებიც მიტინგის დროს რუსეთის დროშის ფერებში შეღებილ სცენიდან ყელმოღერებული კეკლუცობენ, რომლის მხარდამჭერებიც მომიტინგეებს სტალინის სურათებს ურიგებენ, საბჭოთა კავშირის მაისურებით დაძრწიან, და ჩე გევარას ეთაყვანებიან.

\* \* \*

ნურც იმას ჩაიხვევს ვინმე, რომ 2008 წელს გორში პრეზიდენტის ადგილზე, მე სხვანაირად მოვიქცეოდი და არაფრის არ შემეშინებოდაო. იცით რას გეტყვით? ომის დროს, კაცი რომ სიკვდილს თვალეში ჩახედავ, დაწვები კი არა, სიმწარემ შეიძლება საკუთარი კბილებით ქვა გამტვრევინოს და მიწაც გადაგახვეწინოს. ნურავინ დადებს თავს და ნუ იტყვის, რომ მსგავსი განსაცდელის ჟამს უფრო სხვანაირად, უფრო უკეთესად მოიქცეოდა.

ვინც წინასწარ პროგნოზებს გააკეთებს და იტყვის, მე ეგრე არ მოვიქცეოდიო, ის არის ცრუ და მატყუარა. დარწმუნებული ვარ, სწორედ ის შეძვრებოდა თავივით სოროში და იქიდან, ალბათ ვერცერთი სულიერი ძალა ვეღარ გამოათრევდა. ნათქვამია, - სხვის ომში ყველა ბრძენიაო.

სხვას, თითქოს ჭკუასა და ვაჟკაცობას ვუწუნებთ, მაგრამ იმაზე არ ვფიქრობთ, ჩვენ რომ მსგავს სიტუაციაში ჩავვარდეთ, უფრო უკეთეს და გმირულ ნაბიჯს გადავდგამთ?

ან ამ შემთხვევაში, ვეღარ გავიგე, გმირობა რა იქნებოდა?

პრეზიდენტი თავდაცვის მიზნით რომ არ დაწოლილიყო და მას დაცვა არ გადაფარებოდა. თუ მის სხეულს რუსული ბომბები ნაკუწებად აქცევდნენ, მაშინ ზოგიერთის თვალში ის გმირი გახდებოდა, ხოლო თავის გადარჩენის მიზნით რომ დაწვა და გადარჩა, ანტიგმირია?

შეიძლება პრეზიდენტის არ გჯეროდეს, არც იმას გამოვრიცხავ, არ გიყვარდეს და მის მიმართ კრიტიკულად იყო განწყობილი, მაგრამ იმაზე ჩაციკვლა, რომ დაბომბვის დროს რატომ დაწექიო, ეს უკვე ნამეტანია.

მე ასეთ ჩაბჭირებას, იმ გულუბრყვილო მოზარდის ყოყლოჩინობას ვაძარებ, მთელი ცხოვრება ერთი ჩვეულებრივი კომპიუტერული თამაში რომ ჰგონია, სადაც, როცა უნდა დაწვება, როცა უნდა ადგება, თუ უნდა მომაკვდავს გააცოცხლებს, თამაშს შეინახავს, ან სულაც ახლიდან დაიწყებს.

ჩვენი ცხოვრება კი როგორ არ ჰგავს კომპიუტერულ თამაშს, არა?

## აქაც საჭიროა გენერაცია

დღეს, როდესაც, ჩვენი საზოგადოების რუსული გავლენისგან გათავისუფლების აუცილებელ პროცესზე ვსაუბრობთ, უპირველესად მენტალური გათავისუფლება უნდა ვიგულისხმოდ. ცხადია, ბევრი მტკივნეულად აღიქვამს ამ პროცესს, ბევრისთვის სულ ერთია, ბევრი კი მოვლენების ამგვარ განვითარებას სრულ თანადგომას უცხადებს.

როგორც ჩანს, საზოგადოება აშკარად არ გახლავთ ერთ მუშტად შეკრული და დარაზმული ამ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის გადასადგმელად, რამეთუ ერთი ნაწილის ორჭოფობა გულგრილობას უფრო წააგავს, რაც ასეთ დროს, მე ვიტყვოდი, დანაშაულის ტოლფასიც კი არის.

მოწინააღმდეგეებსა და გულგრილებს მე მაინც ერთ მთლიან კატეგორიაში გავაერთიანებდი, რადგან თუ ორჭოფობ, გამოდის, რომ სხეულიდან ხორცმეტის მოცილებას გულგრილად უყურებ, ეს იმას ნიშნავს, შენ ხელს არ გიშლის და ფაქტიურად არც გასურს მთელი ორგანიზმის ამ ხორცმეტისგან გაწმენდა.

ზოგი ჩვენებური გულდაწყვეტილი ჩივის, მე თუ პუშკინი, ტოლსტოი და გორკი რუსულად არ წავიკითხე, ისე ქართულად რა წამაკითხებს მათ ნაწარმოებებსო. ქართულად სისულელეა, მაინც და მაინც რუსულად უკეთესიაო, - დასძენენ ისინი.

ჯერ ერთი, არავინ არავის არ ავალდებულებს, გინდა თუ არა, რუსი მწერლები რუსულად არ წაიკითხოო და მეორეც, ამ უაზრო პროტესტანტებმა საიდან დაასკვნეს, რომ მწერლის მშობლიური ენა თუ არ იცი, სხვა ენაზე მისი ნაწარმოების წაკითხვა დიდი სისულელეა? მაგ არასერიოზულ ლოგიკას თუ მივყვებით, მაშინ არც ჰიუგოს ნაწარმოებები არ უნდა წაიკითხოს იმან, ვინც ფრანგული არ იცის, არც ჰემინგუეის წაკითხვა ყოფილა შესაძლებელი ინგლისურის ცოდნის გარეშე და გოეთეს „ფაუსტსა“ და ჰერმან ჰესეს „ტრამალის მგელს“ ხომ საერთოდ, გერმანული ენა თუ არ იცი, თურმე ხელი საერთოდ არ უნდა ახლო.

- არის ამაში რაიმე ლოგიკა? არაფერი მსგავსი, ლოგიკა კი არა, ხანდახან ისეთ რამეს ვიგებ, თავი აბსურდის თეატრში მგონია ხოლმე.

მწერლობა მწერლობად, მაგრამ ბევრი ჩვენებური რესტორნებში რუსული სიმღერების აკრძალვამ ისე გააღიზიანა, რომ ლამის ჭამის მადა დააკარგვინა. ამ ხალხისთვის ხომ რუსული სიმღერები საკუთარი ცხოვრების წარსულთან ასოცირდება.

ნურავინ იტყვის, რომ არავის აქვს უფლება რუსული სიმღერების, თუნდაც რესტორანში მოსმენა ამიკრძალოსო.

მსგავსი აკრძალვა მისაღებია და აი, რატომ.

ბევრი ჩვენი თანამემამულისთვის რუსული სიმღერა არ არის მხოლოდ სიმღერა და მას უსმენს არა როგორც საესტრადო შედევრს ან ნიმუშს, არამედ, როგორც დამშეული სულის საზრდოს. რა დასამალია და ეს სიმღერები ვილაცეებისთვის გარკვეულ იდეოლოგიასა და ცხოვრების სტილს გამოხატავენ. რუსულ სიმღერაში ისინი უსმენენ არა სიმღერას, არამედ მათ გულებში სულ სხვა ნოსტალგიური ჰანგები იღვრება. განა მართლა მშვიდობის მტრედებს, სიყვარულსა და უღრუბლო ცას ხედავენ, არამედ საკუთარ ღარიბ წარმოსახვაში ძველი ცხოვრების სტილიდან გადმოყოლილ იმ სამყაროზე ოცნებობენ, რომელიც მოაკლდათ და ჯერ კიდევ ენატრებათ.

და თუ რა არის ეს ჯადოსნური და დაუვიწყარი სამყარო, ყველას გვახსოვს, - რუსული ტაიგა, კოლიმა, ტაგანკა და კიდევ ბევრი რამ.

რუსეთში ცხოვრებაგატარებული ან რუსული კულტურისა და ტრადიციების მოტრფივალე კაცი რესტორანში რომ დაჯდება და შეზარხოშდება, არა მგონია, დღევანდელი რუსი როკერების ან რომანსების მოსმენისთვის გაიგიჟოს თავი. ასეთ დროს, მისი ნერვების დასამშვიდებლად და სევდის გასაქარწყლებლად სწორედ იმ შინაარსის სიმღერებია მისწრება, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ.

დამიჯერეთ, ამ სიმღერებში ისინი იმ რუსული ცხოვრების სტილს ხედავენ, რომელზეც ყველა ნორმალურმა საზოგადოებამ უარი თქვა და გამოწაკლისი არც ჩვენ არ უნდა ვიყოთ.

თქვენ წარმოიდგინეთ და რუსულ რომანსებზეც კი ზოგიერთი რუსოფილი ისეთი ემოციებით ღვრის მუმტისოდენა ცრემლებს, გეგონებათ მშობლიურ „ხარება და გოგიას“ უსმენდეს.

აქედან დასკვნა, ძველი დროით მოაზროვნე ჩვენებურები რუსულ სიმღერებს რომ აღიქვამდნენ, როგორც მხოლოდ სიმღერას, მაშინ პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ ამათთვის რუსული სიმღერები გარკვეული სახის ნარკოტიკად იქცა, რაც საზოგადოებისთვის უაღრესად სახიფათო ელფერს იძენს.

დააკვირდით, ვინ არის ყველაზე მეტად რუსულად შესრულებული სიმღერების აკრძალვის მოწინააღმდეგე?

ის, ვინც ჯერ კიდევ რუსულ-კომუნისტური და შავი სამყაროს გავლენაში ვერაფერ ცუდს ვერ ხედავს და კიდევ იმ დროიდან გადმოყოლილი ჟანგბადით საზრდოობს.

რა ვქნა ახლა, მე ძალიან მომწონს და თუ შესაძლებლობა მომეცა, ხშირად ვუსმენ ხოლმე საოცრად ტკბილ ბერძნულ მელოდიებსა და სიმღერებს, მაგრამ ვუსმენ და მეტი არაფერი. მე ეს სიმღერები და ქვეყანა, რომელშიც ნამყოფი ვარ, არასდროს პოლიტიკურ და რაღაც იდეოლოგიის გამტარებელ იარაღად არ გამომიყენებია, სამშობლოზე უაზროდ გულაცრუებული კაცივით ამ ქვეყნიდან არც რაიმე სახის სულიერი საზრდო მიმიღია და არც ოდესმე ჩემს ქვეყანაზე წინ არ დამიყენებია. შეიძლება ვინმეს პორტუგალიური სიმღერები მოსწონდეს, ან ვინმე იტალიურ

სიმღერებზე გიჟდებოდეს. ბევრი ისეთი ადამიანიც ვიცი, რომლებიც ესპანურ სიმღერებზე, ცხოვრების სტილზე და სამზარეულოზე ჭკუას კარგავენ, მაგრამ სულ ეს არის და ეს.

ამის იქეთ წასვლა აღარც ღირს, რადგან რომელიმე ერის კულტურის, ხელოვნების, ცხოვრების სტილისა და სამზარეულოს პატივისცემა უნდა დარჩეს იქ, სადაც არის და ამან პოლიტიკური დატვირთვა არ უნდა მიიღოს.

თუ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში მოწვევა, გინება, ფურთხება, გამომწვევად მოქმედება, დანაგვიანება და კიდევ ბევრი რამ აკრძალულია, რატომ არ შეიძლება, ეგრეთწოდებული უარყოფითი იდეოლოგიის მატარებელი რუსული სიმღერებიც გარკვეულ შეზღუდვებში ჩავსვათ?

მითუმეტეს, რომ ამ ნაბიჯით ქვეყანა და ქართული საზოგადოება არაფერს არ დაკარგავს.

ყოველივეს რუსულ-კომუნისტურ დანატოვართან ბრძოლა დაერქმევა, რომლის ძვირფას გადმონაშთად განხილვაც არ შეიძლება, ვინაიდან ისინი გარკვეულწილად რუსულ-ბოლშევიკურ იდეოლოგიას გამოხატავენ.

ავსტრიის ქალაქ ბრაუნაუში, იმ სახლის სიახლოვეს, სადაც ჰიტლერი დაიბადა, დღესაც დგას ქვის მემორიალი, რომელიც ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკიდანაა მიტანილი. მემორიალზე გაკეთებული წარწერის შინაარსი დაახლოებით ასეთია – თავისუფლების, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის. აღარ დავუშვებთ ფაშიზმს, მილიონობით დაღუპული გვთხოვს ამას.

ნაცისტურ სვასტიკას, სიმბოლოებს, მესამე რეიხის იდეოლოგიასა და მითუმეტეს ფიურერის ბიუსტს ვერსად ვერ შეხვდებით, ვერც ავსტრიაში და ვერც გერმანიაში. ბელადებთან და კერპებთან მიმართებაში, ასე მინდა იყოს საქართველოშიც.

სტალინის სახლ-მუზეუმი?

რა ვიცი, თუ ვინმეს უნდა, იყოს ბატონო, მაგრამ საბჭოთა კავშირის გერბი და მსგავსი კომუნისტური სიმბოლოები მოსაშორებელი რომ გახლავთ, ამაში ორი აზრი არ არსებობს.

უნდა გვჯეროდეს, რომ ჩვენ ამ ნაბიჯით არავის და არაფერს არ ვასამარებთ. ჩვენ მხოლოდ იმ აყროლებული ნაგვისგან ვასუფთავებთ საკუთარ ქვეყანას და მენტალიტეტს, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართულ სახელმწიფოში. ეს ნაბიჯი, შეიძლება მტკივნეულიც იყოს, მაგრამ მისი გადადგმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ ქვეყნისთვის, რომლის დეგრადირებული საზოგადოების ერთი ნაწილი ისევ მონური ფსიქოლოგიით ცხოვრობს.

რომ შეგახსენოთ, შეიძლება ვინმემ თქვას, მოსე და ებრაელები რა შუაშია, ჩვენ 21-ე საუკუნის ქართველები ვართო. ქართველები კი ვართ, ფიზიკურად 21-ე საუკუნეშიც ვიმყოფებით, მაგრამ ბევრი ჩვენი თანამემამულე გონებით ისევ წინა საუკუნეში რომ არის ჩარჩენილი, უბედურებაც ეგ გახლავთ.

ორმოცი წელი ატარა მოსემ ებრაელები უდაბნოში, ორმოცი წელი! - ეს არ არის პატარა პერიოდი. რა, განა არ შეიძლებოდა, მოსეს სულ რამდენიმე წელიწადში ან სულაც თვეში მიეყვანა ებრაელები აღთქმულ მიწაზე?

როგორ არ შეიძლებოდა, მაგრამ ეს ორმოცი წელიწადი გენერაციისა და თაობების

გამოცვლისთვის გახდა საჭირო, რამდენადაც ეგვიპტელთა მონობიდან გამოხსნილ ებრაელ ერს, მონური ფსიქოლოგია, ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად აწვა.

- 20 წლის ასაკის ზევით ვერცერთი მამაკაცი ვერ შევა აღთქმულ მიწაზე, ყველანი აქ, უდაბნოში მოკვდებით და დაიმარხებით. – ესეც მოსეს ნათქვამი სიტყვებია ებრაელ ერის მიმართ.

ასეც მოხდა. თავად მოსეც კი ვერ შევიდა აღთქმულ მიწაზე. მან მხოლოდ შორიდან, მთაზე ასულმა დაინახა ისრაელის მომავალი მიწა და იქვე აღესრულა.

და თქვენ გგონიათ, ასე იოლად შევიდნენ ებრაელები აღთქმულ მიწაზე, დამკვიდრდნენ და დაიწყეს მშვიდი და უშფოთველი ცხოვრება?

არაფერი მსგავსი, მოსეს შემდეგ, ებრაელებმა სამეფოები დაიპყრეს, მეფეები გაანადგურეს და რომ იტყვიან, ცეცხლითა და მახვილით, სისხლითა და დაწიოკებით მიიღეს დაპირებული მიწა.

ესეც თქვენი ორმოცი წელიწადი. ეს წლები იმისთვის იყო საჭირო, რომ ერში ახალი, თავისუფლების მოყვარე და ღირსეული თაობა წამოსულიყო, რადგან ძველებურად მოაზროვნე, მონობაში გაზრდილი ან გონებით ისევე იქ ჩარჩენილი მხდალი ადამიანები ვერავითარ შემთხვევაში ვერ იბრძოლებდნენ და მტერს ისევე ფეხქვეშ გაუწვებოდნენ.

უეჭველია, ჩვენთვის აფხაზეთში და სამაჩაბლოში იარაღით შევარდნა საჭირო არ არის, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას.

მონური სულით დაავადმყოფებული ის ქართველი ადამიანები, რომლებიც რუსებს ჩექმას ულოკავენ, რუსეთის დროშას გულში იხუტებენ, რუსულ სიმღერებზე ცრემლებს ღვრიან, რუს მწერლებს მხოლოდ რუსულად კითხულობენ, საქართველოსთან ომში დაჭრილ რუს სამხედროებს დახმარებას უჩენენ, რუს ოფიცრებს ქართველი ხალხის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების განხორციელებაში ეხმარებიან, რუს ქრთამისტებთან და ქურდებთან მეგობრობას ხალხთა მეგობრობას ეძახიან, ეს ადამიანები საჭიროების შემთხვევაში რუსის ჯარისკაცში საძულველ მტერს ვერ დაინახავენ, რუსეთზე უთავბოლოდ შეყვარებულებს ხელი აუკანკალდებათ, ტყვიას ვერ ესვრიან და კუდის მლიქვნელური ქიციანით ისევე მათი მოკავშირეები გახდებიან.

ასე მოხდება რუსებთან მიმართებაში, თორემ მე აფხაზი და ოსი ხალხის უმეტესობასთან პრეტენზიები არ მაქვს. ისინი ჩვენი ძმები არიან, უბრალოდ სწორგზასაცდენილი და კრემლიდან მოტყუებული ძმები.

ვინ იტყვის კიდევ, რომ ქართველ ერს მენტალური პრობლემები არ აწუხებსო? აწუხებს და თანაც როგორ! შეიძლება იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ერთ დროს ებრაელ ერს აწუხებდა.

ქართველები არც ებრაელები ვართ და არც მოსე გვყავს წინამძღოლად, მაგრამ პრობლემა იგივე გვაქვს – მონური ფსიქოლოგია, დღეს ასე რომ სპობს და ანადგურებს ჩვენ საზოგადოებას.

\* \* \*

დადგა დრო ყველაფრის გულახდილად თქმისა. ამას დღევანდელი ჩვენი ქვეყანა და მისი ხვალისდელი დღე მოითხოვს.

არაფერი რომ არ ვთქვათ ან ისე არ ვთქვათ, როგორც საჭიროა და სათქმელს რაღაც მოვაკლოთ, ისედაც წახდენილი საქმე, სულ მთლად გაფუჭდება და ამით უკან დავხევთ ქვეყანას.

არ არის აუცილებელი, რომ ერთმანეთს კამათში და სიმართლის გარკვევაში თავპირი ვამტვრიოთ. ჩვენ ადამიანები, ანუ მოაზროვნე არსებები ვართ და კბენა-ღრენის გარეშეც უნდა შეგვეძლოს საკუთარი სიტყვის თქმა და პოზიციის დაცვა.

რაც ახლა გვჭირდება – გამბედაობაა. ნუ შეგვეშინდება ჩვენს გვერდით მდგარისთვის ნიღაბის ჩამოხსნისა.

ყველა ნიღაბმორგებული მლიქვნელი უნდა გავაშიშვლოთ და დავანახვოთ მთელ ქვეყანას, რომ სწორედ ეს საზოგადოებაა, რომელიც ჩვენ სამშობლოს ძირს უთხრის და სასაკლაოსკენ მიაქანებს.

არ გვინდა არც მაგათი პირფერობა და არც მაგათ მიერ მოწყობილი მდიდრული წვეულებები, სადაც ცოცხლად მოსიარულე საზიზღარი გვამების, დაშტამპული სახეებისა და ყალბად გამომუშავებული, გულისამრევი მანერების მეტს, ვერავის და ვერაფერს ნახავთ.

ჩვენი მიზანია გამოვავაშკარაოთ, გავრიყოთ და დავაფიქროთ იმაზე, - ღირს თუ არა ასეთი ორპირი სახით სიარული?

შეიძლება თავად არ მოისურვონ, მაგრამ თუ შევძლებთ და მოვკვეთავთ, მერე თვითონ ცხოვრება აიძულებს შუბლის უნამუსოდ გასქელების ნაცვლად, საკუთარი ღირსების ამალღებაზეც იზრუნონ.

მათ სხვა არჩევანი რომ აღარ დარჩებათ, მერე კი დაადგებიან სიმართლის იმ გზას, რომელიც დღეს მათი მხრიდან უარყოფილი და შეურაცხყოფილია.

გეუბნებით, ასეთი ხალხის ჩვენს ღირსეულ საზოგადოებაში ჩაყენება არ იქნება მარტივი საქმე, არ გამოვრიცხავ, ზოგიერთი ჩვენგანი მოძულეებული და გალანძღულიც დარჩეს, თუმცა ამას უნდა შევეგუოთ. ეს გაიძვერები იგრძნობენ თუ არა, მათი ფანდები ამოცნობილი და გაშიფრულია, შეიძლება თავის გადარჩენის მიზნით აგრესიაზეც წამოვიდნენ და მლიქვნელური ბაგეებიდან იმაზე უფრო მეტი გესლი ამოუშვან, ვიდრე აქამდე უშვებდნენ.

ეს არაფერია, პირიქით, უკეთესიცაა, რადგან უმჯობესია ადამიანისგან პირდაპირი აგრესია მიიღო, ვიდრე ხელში გადნებოდეს, მაგრამ ზურგს უკან სამარეს გითხრიდეს.

დავიწყოთ და ახლავე გადავიდეთ კონკრეტულ ქმედებებზე, თორემ ის ბაცილები, რაც ქართველი ერის ორგანიზმშია გამჯდარი, მთელ სხეულს მოსპობენ და გაანადგურებენ.

თუ ამ ავადმყოფობას სათანადოდ შევებრძოლებით და შემდეგ ერის სრულ დეზინფექციასაც მოვახდენთ, მაშინ ჩვენს ხალხსა და ქვეყანას მართლაც ღირსეული

და საოცნებო მომავალი უწერია. თუ არა და, დღეს ვართ ის, რაზეც ამ წიგნში ბევრი ვისაუბრე.

და მაინც, მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი იმას თუ რა მენტალური და ზნეობრივი სწეულება დაუტოვა ქართველ ერს უსამართლობის კოცონზე ჩანახშირებულმა წარსულმა.

ჩვენ ის ერი ვართ, წლების წინ წარმატებული მამიკოებისგან შვილებისთვის დაბადების დღის ან რაიმე დღესასწაულის აღსანიშნავად 100 დოლარად მართვის მოწმობის ყიდვა და ჩუქება პრესტიჟულ საქმედ რომ ითვლებოდა.

ჩვენ ის ერი ვართ, რომლის ოთხმოცდაათიანი წლების კორუმპირებულ, გალალეზულ და ელიტურ ნაწილს შეეძლო დაბადების დღეები და საახალწლო წვეულებები ევროპის ზღაპრული ქვეყნების ძვირადღირებულ რესტორნებში გადაეხადათ, ხოლო აქ სიბნელით, განუკითხაობითა და უპერსპექტივობით აცრემლებული საკუთარი თანამემამულეებისთვის უნამუსოდ ეთქვათ, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის, ცხოვრება კი ადვილი და ლამაზიაო.

ჩვენ ის ერი ვართ, რომლის ერთი მლიქვნელი ნაწილიც მხოლოდ მაშინ ემხრობა მთავრობას თუ სახელისუფლებო კაბინეტებში შინაურ კაცად ითვლება და გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს.

ჩვენ ის ერი ვართ, რომლებსაც გვყავს ადამიანები სხვას მსხვერპლის გაღებას იოლად რომ სთხოვენ, თავად კი ამ დროს შიშისგან აცახცახებულნი ბუჩქებში იმალებიან.

ჩვენ ის ერი ვართ, რომლის უმეტესობას დღესაც სჯერა, რომ ყველასთვის გამოსადეგი და წარმატებული კარიერის მქონე მშობლებს, აუცილებლად ნიჭიერი და ყველასგან გამორჩეული შვილები ჰყავთ.

ჩვენ ის ერი ვართ, რომელსაც ჰყავს ხალხი, ვინც მომხდურ მტერს ღირსეულად შეებრძოლება, მაგრამ გავა წლები და შეიძლება იგივე ხალხმა პირადი ინტერესებისა და კარიერის გამო, იმავე მტერს საკუთარი ქვეყნის გადამრჩენელი უწოდოს და სისხლიანი ხელები დაუკოცნოს .

ჩვენ ის ერი ვართ, სადაც ადამიანებს, რატომღაც ყოველთვის ჰგონიათ, რომ სიმართლე და ჭეშმარიტი საქართველო არის მხოლოდ იქ, სადაც თვითონ და მისი გარემოცვა დგას.

ჩვენ ის ერი ვართ, რომელსაც გვყავს ისეთი მედროვე მოღალატეები, უსამართლო ცხოვრებამ სამშობლოსთვის თავდადებულის მანტია რომ მოასხა, და ყველაზე დიდი უბედურება ის არის, ამ მედროვეებმა მართლა დაიჯერეს, რომ თურმე ისინი პატრიოტები და ყველასგან გამორჩეულები ყოფილან.

ჩვენ ის ერი ვართ, სადაც მოიძებნებიან ნაძირალები, რომლებიც ქურდებთან, კაცის მკვლელებთან და ყველაფერზე წამსვლელ ავაზაკებთან პირადი გამორჩენის მიზნით ოჯახებით იმეგობრებენ, იკვლუცებენ, იტინგიცებენ, იმსახიობებენ...

შემდეგი ვინმე ხელმოცარულ და გაჭირვებულ კაცს პატიოსნებაზე, ადამიანობაზე, ცხოვრებაზე და რელიგიაზე უნამუსოდ საუბარსა და ჭკუის სწავლებას დაუწყებენ.

ჩვენ ის ერი ვართ, სადაც ყველა გადაგვარებული და უზნეო ევროპული ქვეყნების მშვიდ და ტკბილ ცხოვრებაზე ცრემლებამდე შეყვარებულია, მაგრამ იმას არ



აღიარებენ, რომ თუ ჩვენთან რაიმე პრობლემაა, სწორედ თავად არიან ამ პრობლემის უმთავრესი შემოქმედნი.

ჩვენ ის ერი ვართ, სადაც ზოგიერთი უსინდისოდ გამამძარი აფხაზეთიდან დევნილ და გაჭირვებაში მყოფ იმ ჩვენ თანამემამულეებს, რომლებმაც ერთ დროს სიკვდილს თვალეზში ჩახედეს, ახლობლები დაკარგეს, სახლ-კარი მიატოვეს, უბედურებას ძლივს გამოასწრეს და მიუხედავად ასეთი მძიმე განსაცდელისა, მაინც გამონახეს ძალა და რწმენა ცხოვრება სრულიად ახლიდან დაეწყოთ, ასეთ ხალხს ზიზღით ზემოდან უყურებს და სპეკულანტებს უწოდებს.

ჩვენ ის ერი ვართ, რომელთაც ფაშვგამამძარი, მაგრამ სულით გაუმამძარი, სიხარბით დაბრმავებული საზოგადოება შემოგვპარვია.

\* \* \*

შარშან იყო თუ შარშანწინ, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის უცხო ენის საკითხი განიხილებოდა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მაინც ვერ შეთანხმებულან ბავშვებისთვის ინგლისური ყოფილიყო სავალდებულო უცხო ენად თუ რუსული? სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ყველასთვის მისაღები ნაბიჯი გადაუდგამთ და მშობლებისთვის უთქვამთ, - ჩაატარეთ მშობელთა კრება, ამ საკითხს კენჭი უყარეთ და თავად გადაწყვიტეთ, თქვენი შვილები ამ ეტაპზე ინგლისურს ისწავლიან თუ რუსულსო? თანაც დაუმატებიათ, - ჩვენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ასეთი საკითხები ხალხის, ანუ თქვენი გადასაწყვეტიაო.

და თქვენ, როგორ ფიქრობთ, დემოკრატიით ფრთაშესხმული მშობლების არჩევანი იქნებოდა: ცივილიზაცია, თანამედროვეობა, ევროინტეგრაცია და ახალი ხედვა? ნურას უკაცრავად. სხვას რომ ეთქვა და ჩემი ძალიან ახლობელი ადამიანისგან არ გამეგო, არ დავიჯერებდი, 30 მშობლიდან 28-ს მხარი რუსული ენისთვის დაუჭერია.

ესეც თქვენი დემოკრატია და ხალხისთვის თავისუფალი არჩევანის გაკეთების მინდობა.

მოდით, ახლა ისიც ვთქვათ, რა კატეგორიის არის ეს 28 მშობელი.

ეს ის კატეგორიაა, რომელმაც პუშკინი რუსულად თუ არ გადააბულბულა, ისე სულიერ საზრდოს ვერ იღებს.

ეს ის კატეგორიაა, რომელსაც ცივილიზებული ევროპა-ამერიკა საქართველოს მტრად, ჩვენი სისხლისმსმელი რუსეთი კი მეგობრად მიაჩნია.

ეს ის კატეგორიაა, რომელსაც მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი ვორონეჟის უნივერსიტეტის კედლებში ჰგონია.

ეს ის კატეგორიაა, რომელიც ერთ დროს ქართული ნობათით, ლამის კუჭის გახეთქვამდე აძლობდა ქრთამის მოყვარულ რუს პროფესორებსა და აკადემიკოსებს.

ეს ის კატეგორიაა, რომელიც რუს ქურდებთან, მექრთამეებთან და გამომძალველებთან ოჯახებით მეგობრობას ერთმორწმუნე მართლმადიდებელ ერთან მეგობრობას ეძახდა.

ეს ის კატეგორიაა, რომელსაც რუსული სიმღერები ნარკოტიკით განწყობას უმაღლებს და სიცოცხლის ხალისს უბრუნებს.

ეს ის კატეგორიაა, რომელსაც რუსული პოეზიის, ლიტერატურისა და სიმღერების დიდი სიყვარული, რატომღაც პოლიტიკური აქტიურობისკენ უბიძგებს.

ეს ის კატეგორიაა, რომელსაც მხოლოდ რუსული ტანკებით გადახნული, რუსული ჩექმით გადათელილი და რუსეთის ფრთებქვეშ შეყუჟული საქართველოსი სწამს.

ბოლოს კი, ეს ის კატეგორიაა, რომელსაც დემოკრატია მხოლოდ ახლა, ისიც იმისთვის სჭირდება, რომ ასე ცეკვა-თამაშში და სიცილ-ხარხარში საქართველო რუსეთის უპირველეს მოკავშირედ და დასაყრდენ ძალად აქციოს.

## ეპილოგი

ეს არის, რისი თქმაც ამჯერად მსურდა. ბოლოს კი დამატების სახით კიდევ ერთხელ აღვნიშნავდი, რომ ჩემი წიგნი ბევრს არ მოეწონება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არ მოეწონება, ესე იგი, არ ეთანხმება ჩემს ხედვებს. ეს არც მიკვირს, რადგან, რაც ზემოთ წაიკითხეთ, არ გახლავთ ისეთი სტილის ნაწარმოები, რომელსაც ერთი კონკრეტული მთავარი მოქმედი პირი ჰყავს, მის ადგილზე საკუთარ თავს წარმოიდგენ და მოვლენების განვითარების რამდენიმე შესაძლო, უფრო უკეთეს ვარიანტს განიხილავ. ამ შემთხვევაში ასე არ დგას საქმე, ვინაიდან, აქ მთავარი მოქმედი პირი არის არა ერთი კონკრეტული ადამიანი, არამედ ადამიანთა ჯგუფი და შეიძლება ითქვას, საზოგადოების უდიდესი ნაწილიც. ყოველივე, ჩვენს მწარე წარსულსა და დღევანდელობასთან ერთად, იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებსაც ეხება, რამაც მომავალი უნდა შეგვიქმნას. რეალობისგან შორს მდგარი და მითუმეტეს შეთხზული არაფერი არ დამიწერია, არც ვილაცის მიერ ყურით მოთრეული ჭორები არ ამიკინძავს და არც გაზვიადებული ფაქტები არ გადამიტანია ფურცლებზე.

რაც აქ ამოიკითხეთ, ყველაფერი ეს უკუღმართობა საკუთარი თვალთ მინახავს და საკუთარ თავზე გამომიცდია. დარწმუნებული ვარ, თქვენც ასე ხართ და თითოეული თქვენგანი გამხდარა იმ უსამართლობის მომსწრე, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. უბრალოდ, ყოველივე რომ აღიარო და

უმსგავსობად ჩათვალო, მაშინ თავად არ უნდა იყო დანაშაულებრივი ჯაჭვის ერთ-ერთი რიგითი რგოლი.

საქმეს მარტო დანახვა არ შველის, ვინაიდან სხვის მიერ ჩადენილ ნებისმიერ ავ საქმეს ავაზაკებიც, ყაჩაღებიც, დამტაცებლებიცა და მლიქვნელებიც კარგად ხედავენ, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარ ქმედით ნაბიჯებს არ დგამენ. მდგომარეობა მხოლოდ მაშინ დაიძვრება უკეთესობისკენ თუ უზნეობის დანახვისთანავე თავს სირაქლემასავით კი არ ჩავრგავთ მიწაში, არამედ ეს უმსგავსობა გულზე ლოდად დაგვაწვება და განგაშის ზარებს შემოვკრავთ.

რომ ჰკითხოთ, ზღაპარში ცხოვრება ყველას უნდა, იქ, სადაც სიკეთე ბოროტებას ამარცხებს, სიმართლე უძლეველი რაინდივითაა და ყველაფერი არ იყიდება, არ ხურდავდება და არ უფერულდება.

ჩვენდა საუბედუროდ, ასეთ ქვეყანაში ცხოვრებაზე უფრო ხშირად იმ ადამიანებს ვატყობ ოცნებას, რომლებიც საკუთარი გალალეზული ცხოვრების კიდევ უფრო შესაღამაზებლად, საჭიროების შემთხვევაში სწორედ ყველაზე მეტად იყიდებიან, ხურდავდებიან და უფერულდებიან. სამწუხაროდ ეს არ ახსოვთ და არც სჭირდებათ, რომ ახსოვდეთ. ესენი ხომ თავისი ყალბი ცრემლებით, წინასწარ გათვლილი ნაბიჯებით, ენის მიამიტურად მოჩლექითა და სიამოვნებისგან ყბა-ტუჩის მლიქვნელურად ცახცახით ჩვენ დროს მშვენივრად მორგებული ნიღბოსნები არიან.

მოკლედ, ყველა ცოდვილსა თუ უცოდველს, მლიქვნელსა თუ ალაღმართალს, ურწმუნოსა თუ მორწმუნეს ზღაპრული სამყაროსი სჯერა და იმ სიღამაზეში შესვლის დაუოკებელი სურვილი ტანჯავს.

მაგრამ ზღაპრულ სამყაროში ცხოვრებისთვის მარტო ადამიანების სურვილი რომ იყოს საკმარისი, მაშინ დღეს ქვეყნიერებაზე აღარც ციხე იქნებოდა საჭირო, აღარც პოლიცია და აღარც ჯარი.

ჩვენ კი მართლაც ზღაპარში ვიცხოვრებდით, იქ, სადაც ყველაფერს კეთილი და სამართლიანი დასასრული აქვს.

## სარჩევი

- 1 იქ, სადაც ახსოვთ შვეიცარია;
- 2 ეკ, ჩვენ, ქართველები;
- 3 არც ამერიკა და არც რუსეთი! ამის თქმა მხოლოდ სუფრაზეა ლამაზი;
- 4 პრესა ოპიუმია;
- 5 ასე იწყებოდა;
- 6 როცა ტვინში ვირუსებია;
- 7 ერთი ქალის თეატრი და რა არ მოსწონთ რუსებს?;
- 8 ლუდმილა გურჩენკოდან შერონ სტოუნამდე;
- 9 დარწმუნებული ვარ;
- 10 მოდი და დაარქვი ამას ექსპერტი;
- 11 რისთვის?;
- 12 ვორონეჟში გატარებული სტუდენტობა და სამადარიზო დისერტაციები;
- 13 სახალხო კრება თუ შულავერის კომიტეტი?;
- 14 მაისის წვიმით გადარეცხილი ილუზიები;
- 15 აქაც საჭიროა გენერაცია;